

რუსუდან ჭუბაბრია

ლექსებად წაკითხული  
კარდიოგრამა და გულიდან  
ამოცვენილი თარგმანები

თბილისი  
2018

გარეკანზე გამოყენებულია ავტორის კარდიოგრამა და ლალი ზეიკიძის გადაღებული ცენტრალ პარკის ფოტოები.

გარეკანის მეორე გვერდზე – ელენე ზეიკიძის გადაღებული ავტორის ფოტო

© რუსუდან ჭუბაზია, 2018

გამომცემლობა „ნეკერი“, 2018

ISBN 978-9941-479-11-3

## სარჩევი

შესავალი .....	6
<b>ლექსები .....</b>	<b>7</b>
წვიმს და მზეს.....	8
ნუ დამიტოვებ იისფერ ცრემლებს .....	9
ძველი ალბომი .....	10
გარეთ ბარდნის და ბინდი სეირნობს .....	11
ო, რა მსუყეა დუმილის ენა.....	12
ტკბილი ბამბა .....	13
გამომიგონე .....	14
სადაფის მთვარე .....	15
ნულარ ჩაქრები.....	17
ფოკა .....	18
მზერა დამიხშო.....	20
მე შენ ყოველთვის განთებ და გაქრობ .....	21
მე? მე არა ვარ! .....	22
გოდერძი ჩოხელის ხსოვნას .....	23
მსურს, პატიება გამოგთხოვო გულის ძირიდან .....	24
ბელურების მწყემსი .....	25
მე შენ მაჩუქე პატარა გული.....	27
გაუცხოება.....	28
თვალს ნუ შეაჩვევ .....	29
აკრობატი ვარ.....	30
შენს ცხელ ხელისგულს ვეყრდნობი ნდობით .....	31
უცხო დუმილი .....	32
გესმის? ვერ მოვალ ვერასდროს შენთან! .....	33
საღამო .....	34
თუ შეგისრულე, რაც გითხოვნია .....	36
ეს... ისე .....	37
მთლა ამაოა ყველაფერი.....	38
ღამე მოვკალი.....	39
ბებოს სათვალე .....	40
ბროწეული .....	41
მსუბუქი .....	42
ვისაც წვიმა უყვარს, ანუ ზღაპარი წვიმის შესახებ .....	43

ფიქრი ანუ მეათეკლასელის დღიურიდან.....	45
მე რომ ბებია ვიქნები ოდეს .....	46
გთხოვ, ხელისგულზე დამისვა წამით .....	48
16 წლის ასაკს .....	49
ბედურა.....	50
ფოთლის თავგადასავალი .....	52
დამის საყურე .....	54
გობელენი.....	56
ტყუოდა ხელი .....	57
შენს დამწვარ სულში ვეძებ ნაპერწკალს .....	58
გავყვები ნისლებს .....	59
<b>პოეტური თარგმანები.....</b>	<b>61</b>
<b>ემილი დიკინსონი (1862)</b>	
ოღონდაც დაგცდეს., რომ დაბრუნდები .....	62
გულო, მოდი... დავივიწყოთ .....	64
<b>რობერტ ფროსტი (1916)</b>	
სხვა გზა .....	65
<b>პერსი ბიში შელი</b>	
ნაკადულები მდინარეებში ჰპოვებენ შვებას .....	67
ნაკადულები მდინარეებში ეძენებ შვებას .....	69
<b>ვადიმ შეფნერი (1945)</b>	
ძველ ბაღში, სადაც ხმელ ფოთლებს წვავენ.....	70
<b>ნიკოლაი გუმბილიოვი</b>	
მხოლოდ შენს გამო .....	72
<b>ალექსანდრე კოჩეტკოვი</b>	
ო, რა მძიმეა, ძვირფასო ჩემო .....	74
<b>ანნა ახმატოვა</b>	
ფერდაკარგული ფარდაგი ხატთან .....	78
ყინვით და ქარით მომზრალს .....	80

ჩუმი ნაბიჯები ოთახს აშფოთებდა .....	82
სულის ძირიდან ხმამ წამჩურჩულა .....	84
მგონი, სიდინჯე შემომეჩვია .....	86
ჩვენ წყალს არ მოვსვამთ ერთი ჭიქიდან .....	88
ისევ მოვედი, მხრებდაშვებული .....	90
<b>ბელა ახმადულინა</b>	
სიზმრები საქართველოზე .....	92
<b>იური ლევიტანსკი</b>	
მივყვები დახლებს .....	94
<b>რომან ჩაბლატოვი</b>	
მასწავლე, როგორ უნდა ვიცხოვრო .....	96
<b>ჩანახატები</b> .....	99
სახურავები .....	100
ოთახი .....	104
ასეც შეიძლება მოხდეს .....	106
ამ ხვრელშიც ვიყავით. უფროსო და იმ ვხრელშიც .....	112
მარტოობა გავასეირნე .....	117
არ შემიბერო სული, გთხოვ! .....	122
<b>პროზაული თარგმანები</b> .....	125
<b>ანდრე მორუა</b>	
სიბერე .....	126
<b>ოლგა ვასერდამი</b> .....	141
ნინა ლისაგორსკაია .....	142
ჩემი ფესტივალი.....	148
რედი .....	165
სერიოჟა .....	170

## შესავალი

ამ კრებულს ვუძღვნი ჩემს მეგობრებს! მათი მნიშვნელობა და წვლილი ჩემს ცხოვრებაში განუზომელია. ისინი ყოველთვის გვერდში მედგნენ ჩემი სიცოცხლის ყველაზე რთულ მომენტებსა და განსაკუთრებით სიხარულში. მე ვფიქრობ, არა, დარწმუნებული ვარ, რომ ესაა ამ ზეურთიერთობის განმსაზღვრელი ნიშანი. გასაჭირში გვერდით დგომა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე სიხარულის თანაბარ დონეზე გაზიარება. უფალმა სხვა მრავალთან ერთად ამ მხრივაც დამაჯილდოვა და გამანებივრა! ჩემი მეგობრები მიგზავნიდნენ სათარგმნად ლექსებს, მიწონებდნენ და მისწორებდნენ, მუხტს მიძლიერებდნენ, ელოდნენ და, ფაქტობრივად, ნებსით თუ უნებლიედ, ჩემთან ერთად მონაწილეობდნენ ჩემი მოთხოვნებისა თუ ლექსების წერის პროცესში. მათ მიერ ნათქვამ სიტყვას თუ მონათხრობს ზოგჯერ საოცრად შთამბეჭდავი ძალა ჰქონდა და ჩემი გული ტვინთან ერთად დაუყოვნებლივ იწყებდა დუღილს.

მინდა სრულიად განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემს უახლოეს მეგობარს – ნანა ფრიდონაშვილ-ბარნაველს, რომელმაც პირველმა ირწმუნა ჩემი წერისა და თარგმანის უნარის. მახსოვს სიონში ვიყავით, გევორგ ემინით გატაცებულმა პირველი თარგმანი წავუკითხე. როგორც სჩვევია, უხმოდ „გამომკეტა“ სახლის სხვენი და დროდადრო დაჭრილი ხილი შემოჰქონდა „თარგმნე და პირი გაისველეო“. ასე დაიწყო ის, რაც ახლა ასე მიყვარს და ჩემს ნამდვილ თავშესაფრად იქცა.

ამას წინათ ერთი მშვენიერი წიგნი ჩამივიარდა ხელში, სახელწოდებით „ეს ხომ გერდტია“. წიგნში ზინოვი გერდტის მეგობართა მოგონებებია თავმოყრილი. შედგენილია მისი არაჩვეულებრივი და მეტად ჭკვიანი მეუღლის მიერ. ამ წიგნში გადავაწყდი ერთ საოცარ ფრაზას, რომელიც ასე ჟღერს: „მე სიყვარულზე უფრო მაღლა ვაყენებ მეგობრობას. სიყვარული შეიძლება იყოს ცალმხრივი, მეგობრობა კი არასდროს“. როგორი მარტივია და როგორი გენიალური, არა? მაშ, გაგიმარჯოთ, ჩემო უსაყვარლესო მეგობრებო... იყავით ჯანმრთელად და ბედნიერად! დიდხანს, დიდხანს გვყავდეს ერთმანეთი. ვაი, მას, ვინც ბოლო შემორჩება ამ ცოდვილ და ამავე დროს ასეთ მადლიან და მომხიბლავ დედამიწას! დიდი მადლობა ყველაფრისთვის!!!!

# ლექსები

## წვიმს და მზეა

წვიმს და მზეა  
მზე პირს იბანს,  
ცრემლი სევდას გამითიბავს,  
დრო მოვა და უფლის ხელი  
სულ ყველაფერს ახსნის ნიღაბს.  
გულს დაგიგდებ ხელისგულზე  
გაგაყრუებს მისი ფეთქვა,  
თვითონ გეტყვის, რაც ვერა ვთქვი,  
დიდი ხნის წინ მსურდა მეთქვა.  
კუპიდონის ისრებს დავტებ,  
ავატირებ ცხარე ცრემლით,  
ბაგეს ცხრაგზით დავდებ კლიტეს,  
რომ არ დამცდეს არაფერი.  
მუჭით წვიმის წვეთებს შევსვამ  
და აბეზარს დავსჯი მზერას შვებას  
ვიგრძნობ, თუკი ოდეს  
გულის ყელთან ვიგრძნობ ძგერას.  
წვიმს და მზეა  
მზე პირს იბანს,  
ზეცამ ლურჯად გაიღიმა  
ცისარტყელა შვიდი ფერით  
ცაზე ზანტად გაიჭიმა  
წვიმს და მზეა  
სიცოცხლეა!!!!



## ნუ დამიტოვებ იისფერ ცრემლებს

ნუ დამიტოვებ ხელისგულზე იისფერ ცრემლებს,  
ნუ დაფეთდები ქუჩაში გავლილს, თუ დამინახავ,  
მე კარგად ვიცნობ შენს უთქმელ მზერას, ნათელს და მძიმეს  
და კარგად ვიცი, სახელი შენი, ისიც – ვინა ხარ  
მზერა ასხლტება, ცაში მტვერივით დაიწყებს თრთოლვას,  
შუქს გამოტყორცნილს ჩააბრუნებს უმალ უპეში  
ჩაიღვენთება, გულის ძირზე მოიკალათებს  
ვით თაფლში ფიჭის ანათალი, ვით ხმა ნუგეშის  
ციცქნა სანთლებად იგიზგიზებს უცხო სინათლე  
არას ვიკითხავ, უცნაურ სტუმარს მივიღებ შვებით  
და გულის კარებს ფეხაკრეფით გამოვიკეტავ  
რომ გზას გაუდგეს, როცა ისურვებს, საკუთარ ნებით  
მოწისფერ ფიფქებს შემომაფრქვევს თებერვლის დილა  
ძველი საათი ბოლთას ცემას მოჰყვება ბნელში  
მძიმე ნაბიჯით განუწყვეტლივ ივლის ოთახში  
შემომაჩეჩებს მოგონებებს უმწეოდ ხელში  
ჩარჩოს კედლები მარცვლებივით გაიბნევიან  
და მოჰყვებიან სახეები ოთახში ბზრიალს  
მშვიდი ჩურჩულით, გულწრფელობით იმ თუ ამ ქვეყნის  
გულს გამიხსნიან, ვით მათი დარდის ქომაცს და ზიარს  
სევდას დავჩეხავ უმოწყალოდ ძველი ნაჯახით  
და არ დარჩება არსად ამქვეყნად დარდის ნასახი  
პეშვს შევაგებებ ცისარტყელას გადმოღვრილს ცაზე  
შვიდგზის ნათელით, უცხო სილადით ვიქნები სავსე.  
ნუ დამანახებ იისფერ ცრემლებს, ნუ მომგვრი სევდას...  
ხომ ვთქვი პირწმინდად ამოვხაპე მარაგი დარდის.  
მოწისფერ ფიფქებს ნაძვის ჭაღარა მკლავებზე სძინავთ  
დრო კარს იხურავს და ფეხაკრეფით „სახლისკენ“ გარბის.

## ძველი ალბომი

მე ძველ ალბომში ვაწყობ სურათებს,  
მხურვალე ხელით ვცდილობ გათბობას  
იმ სახეების, რომელიც წმინდად  
შემოინახა ჩემმა ბავშვობამ.  
მე ძველ ალბომში ვაწყობ სურათებს,  
კიდემორღვეულს, უკვე გაცვეთილს...  
ნაცნობ თვალებში დავეძებ სითბოს  
არ მსურს გამომრჩეს მზერა არც ერთი  
მე რახანია გავცდი მათ ასაკს,  
ზოგიერთს კიდევ გადავასწარი,  
და მათი ხსოვნა გაცვეთილ მკერდში  
გიზგიზებს როგორც ცივი ხანძარი.  
როგორ გაცურდა წელი ამდენი,  
ციცქნა ალბომი ტომად ქცეულა  
ზღვარს აქეთ მდგომი, თქვენსკენ მზირალი  
თავს ვგრძნობ უთქვენოდ ერთობ ეულად.  
არ ვიცი, რომელს გადასცდით საზღვარს,  
ცის რომელ თალში დაიდეთ ბინა  
იქნებ პასუხად თქვენთან საუბრის  
ციდან მიგზავნით ფიფქებს და წვიმას.  
თქვენ ხომ ბავშვობა შემომაცალეთ,  
ახალგაზრდობაც კვალდაკვალ გაჰყვა  
და ცაში დიდხანს ყურების შემდეგ  
მახარებს თქვენი სიზმარში ნახვა.  
ვინ იცის, როდის ჩამორეკს ზარი...  
როდის მომიხმობს ძახილი „მისი“ ...  
მაგრამ მსურს ყველა ერთად გიხილოთ  
მთლა მისალებში - გზის დასაწყისში)))

## გარეთ ბარდნის

გარეთ ბარდნის და ბინდი სეირნობს,  
შენ კი ზიხარ და ფანტელებს ითვლი...  
ძველ ლამპიონებს ხიდებთან სძინავთ,  
თავმოზეზრებულს დროით და ფიქრით.  
ბარდნის და თითქოს დროც შედგა... სუნთქვა  
ფშვინვას უფრო ჰგავს, უშფოთველს, ნეტარს,  
მეც ჭკუას ვხმარობ და დაუნდობლად  
დროს ჩემს პატარა ოთახში ვკეტავ!  
პირწატეხილი ფინჯანი ყავით.  
ცისფერ ყვავილთა არშია გასდევს,  
ისეთი ძველი, როგორც ბავშვობა  
სიამითა და ხალისით სავსე.  
ციდან ბარდნის და სველ ფილაქანზე  
ბორბლები სველი შრიალით რბიან  
და მტკვრის ტალღებში ანთებულ ქალაქს  
თბილისის ზამთრის საღამო ჰქვია!  
ღრმა ნაოჭებით შუბლდაღარული  
დრო გაჭირვებით კითხულობს ნოტებს  
აღარც შენა ხარ! და აღარც მე ვარ!  
ფიქრი კი ობლად ჰკიდია ტოტებს.  
პირმოტეხილი ფინჯანი ყავით...  
და ყვავილები.... მიჰქრიან ცაში...  
ღამის სადაფის კარნიზზე მსხდომნი  
თვალს მიბრმავებენ ლურჯი კაშკაშით.  
„თოვს... ასეთი დღის ხარებამ ლურჯი“...  
რას ხატავს უფლის გრძნეული ფუნჯი?  
ციცქნა ფოთოლი მტკვრის პირას გოდებს...  
ფიქრი კი მძიმედ ჰკიდია ტოტებს

## ო, რა მსუყეა დუმილის ენა

ო, რა მსუყეა დუმილის ენა,  
ენა, რომელიც საფეთქლებს გიმტვრევს,  
ზიხარ სიჩუმის ქვადქცეულ სვეტში,  
მალული მზერით დაჰყურებ ციფრებს.  
ო, რა მკაცრია დუმილის ენა  
ტყვის მარწუხი შუბლზე მარღვს ხეთქავს,  
აზრი სიმივით ბასრი და ცივი  
დაჩირქებული თითივით ფეთქავს.  
ნუთუ გაამტვრევს სულის კარიბჭეს,  
ნუთუ აქამდე არ ნათქვამს იტყვის...  
არა!!!! ავჭედე ყველა სარკმელი!  
არ მაქვს უფლება არც ერთი სიტყვის!!!

## ტკბილი ზამბა

ო, როგორ მინდა, რომ შენში მოვკვდე,  
სულში ჩაგექცე ღრუბლის ნამქერად,  
და ისე გავქრე, ვით ტკბილი ზამბა  
ვერ მოვახერხო იმის გამხელა  
როგორ მიყვარდი, ან არ მიყვარდი!!!!  
და რა უძირო ტკივილით გგრძნობდი  
რომ არ გვეწერა... არც არაფერი,  
რომ გზაზე უცებ დახვავდა თოვლი!  
არ მიძებნია, არ მითხოვია  
და არც არავის ვუხმობდი ჩემთან,  
ჩემი გული კი შენს ბაც სხეულში  
თურმე მიმწუხრის ზარებად რეკდა.  
ძველი ნათურის მკრთალ, მიმცხრალ შუქში  
ვიდრე ბინდბუნდი ღვინოს დალევდა  
ფანჯრის ღრიჭოდან დეკემბრის ქარი  
მოქარგულ ფარდას აფრიალებდა  
და თოვდა, თოვდა დაუსრულებლად  
დაუზარებლად, როგორც ზღაპარში  
და ძილგამკრთალმა შეშის ტკაცუნით  
მოგონებებმა იწყეს პარპაში  
ო, როგორ მინდა, რომ მოვკვდე შენში  
სულში ჩაგექცე ღრუბლის ნამქერად  
და ისე გავქრე, ვით ტკბილი ზამბა...  
ნეტარებაა, ალბათ, რამხელა...

## გამომიგონე

გამომიგონე, კიდევ ერთხელ გამომიგონე,  
დამღალა ფიქრმა...  
ნურაფერს იტყვი, რაც არა თქმულა, არც უნდა ითქვას,  
მზეს გაატანე სულს ჩაკირული ჩვენი ცრემლები  
არას დავეძებ, ბედს გაფითრებულს უხმოდ ვნებდები  
უცხო ამბორი დამიწვავს სხეულს და სულს დამიჭყლეტს  
მუჭში მოაქცევს, სისხლისგან დაცლის ასე... წვეთ-წვეთად  
მე კი როგორმე დავუსხლტები რკინის მარწუხებს  
ცას მივაშურებ გადაქცეულ შუქის თეთრ სვეტად  
ჩემი ნაღველი ცისარტყელას მძივად ჰკიდია  
მზის შუქზე ელავს, არაფრის თქმა არ შემიძლია  
მატარებელი აღმა-დაღმა სრიალით დაჰქრის  
და ბედისწერა ამ დღესაც მალე გადაშლის ფანქრით  
დამხატე კიდევ, აბა, სცადე. იქნებ მიპოვო  
ზეთით, პასტელით, უბრ ალოდ ფანქრით, მომრთე ბისერით  
ვიდრემდის სულში ჯერ ანთია ერთი სარკმელი  
ვიდრე ჩემს ლურჯ ფერს მოედება ტალახისფერი  
სანამ თვალეები ალერსის შუქით ფეთქავს, ინთება  
დილა ყოველი რაღაც ახალზე ფიქრით იწყება  
ვიდრე ოცნებას შევაგებებ გაფრენილ ჩიტებს  
ვიდრემდის გული გამალებით სუნთქავს და მიტევს.  
გამომიგონე... კიდევ სცადე... გამომიგონე...  
სანამ ვიცინი და ხალისით მივსდევ სტრიქონებს  
ჩემი ნაღველი ცისარტყელას ჰკიდია მძივად  
მძივის მარცვლები მერე კი ციდან მოდიან წვიმად.

## სადაფის მთვარე

სადაფის მთვარე ეკიდა ცაზე,  
ზღაპრის რ იყოს, იდო მჭადივით  
ფითრის ჩარჩოში გულდაბრაწული,  
სადღაც გრძნეული, სადღაც ფაქიზი  
სადაფის მთვარე ეკიდა ცაზე,  
ორთქლით ითბობდა გათოშილ თითებს  
ღრუბლის სათბურში ოდნავ ჩამჯდარი  
მუქ სახურავებს აყრიდა ფიფქებს  
მთვარე სუნთქავდა, აშკარად ვგრძნობდი,  
დაბრაწულ მკერდში გული უთრთოდა,  
თითქოს რაღაცის თქმას ვერ ბედავდა,  
თითქოს რაღაცის თქმა არ უნდოდა  
თოვდა „ამქვეყნად“, ო, როგორ თოვდა...  
მათრობდა ფერი ელენეს ფუნჯის,  
ხის იატაკი ოხრავდა მძიმედ,  
და ვიღაც ზრუნვით ავსებდა ხურჯინს.  
ციცქნა ხელისგულს ჰკოცნიდა მთვარე  
შუშებს ალმური დაჰკრავდა ჭირხლის,  
თეთრი ხინკლები ხტებოდნენ გობზე  
სუნთქვას ვწყვეტიდი და ლაღობდა სისხლი  
თაფლის სანთლები დრეკით დნებოდნენ  
და ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა შეშას  
პირველ გასროლის მძაფრი ტკივილი  
მაგონდება და მაცინებს დღესაც  
ჭრელი ჩითები შრებოდნენ თოკზე  
და თბილი თოვლით თოვდა და თოვდა  
ღრმა ნაკვალევი იისფერ თოვლში  
ვინ იცის საით... გზას მიაპობდა  
დაღლილი მთვარე კრთებოდა ძილში  
ბარდნიდა გარეთ, ო, როგორ თოვდა  
დაღლილ სუფრაზე დაცლილი დოქი  
მაინც მხნედ იდგა და თამაღობდა.

საკვამურები უხმოდ ბოლავდნენ  
და ეს დუმილი, სულის რომ აქანებს...  
მუდამ მიკვირდა, შუშებზე ყინვა  
როგორ ქარგავდა ასეთ მაქმანებს  
იყო და არა, იყო თუ არა...  
მჭადივით მთვარე თვლემდა განცხრომით  
და ღამეს მზირალს თოვლის ბინდბუნდში  
ჰქონდა სურნელი ჩემი ბავშვობის  
ელენეს ფუნჯი ხატავდა ქუჩებს  
და ჭრელა-ჭრულა ფარდაგებს ფენდა  
ხის რიკულებით მორთულ აივნებს  
მეც ვაწყდებოდი ბავშვებთან ერთად  
სადაფის მთვარე ეკიდა ცაზე  
საოცრად თოვდა „ამ ქვეყანაზე“....



## ნულარ ჩაქრები!

ნულარ ჩაქრები, ილიცლიცე ცადაჭრილ სვეტად, ვარსებობ ვიდრე!  
მინდა, რომ მზერა დადინჯდეს, ჩუმად ცად ავყვე ფიქრებს,  
ცადაწვდილ სვეტად, რომელსაც მუჭში მოვიქცევ ვედარ,  
რომლის ნათელიც თვალს დამიბრმავებს, სულს გამიხერხავს.  
გაიჭრიალებს ძველი კარები, ჯიქურ შედგება,  
წვრილი რღიჭოთი შემოდგომა გამიხმობს გარეთ,  
და კიბის თავში ჩამომჯდარი, ვით ანცი გოგო  
ხმელი ფოთლების საიდუმლოს გავანდობ მთვარეს.  
მძიმე თუთები დრუნჩებს დახრიან, უტყვი ალერსით  
ამილოკავენ ხელისგულებს, დამღვრიან ცრემლად,  
თაფარავანის და მღვრიე მტკვარის ჩუმი ღიღინი  
იარალს ამყრის, საკუთარ ნებით დავრჩები მძევლად,  
ისრადგაფრენილ ბავშვურ ოცნებებს რა გზა ეწია?  
ზოგმა გაასწრო, ფრთამალი მზერაც ვერ დაეწია...  
ზოგი კი ასე... დაუნდობლად ჩამატყდა ხელში,  
ზოგს შუა გზაზე მოეწია სეტყვა და თქეში  
ისევ ხერთვისი, ხის იატაკზე მუხლმორთხმით ვსხედვართ,  
ღამის აჩრდილი აწოწილა შეღებულ კართან,  
და აბრეშუმის ჭურბრებივით მკერდსავსე თუთებს  
შავებს და თეთრებს, ფანჯრის რაფაზე ხალისით ფანტავს  
გიტარის სიმებს მოსვენება არ ეღირსებათ,  
დამარღვეულ თითებს ჰქონიათ თურმე ძალა ჯადოქრის,  
მე უკვე ვიცი, რომ ხვალ ყოველი იქნება „გუშინ“  
და ვიმალები, ვიდრემდის აწმყო თვალებს გამომთხრის.  
დაჭედილ ცაზე ძველი ციხე ანთია შავად,  
და მოჭიქული ამფორები უბეში უდევს,  
მთვარე კი ცაზე დაკიდული ოქროს ლაპლაპით  
ძველ თუთებს ისევ დარაჯად უდგას და ღამეს უთევს.  
ღამის სიჩუმეს გიტარის ჰანგი მაქმანად გასდევს,  
აბეზარ ჩრდილებს ძირძველი ციხე კარებს არ უღებს,  
გავირინდები, ნეტარი გრძნობით მოვისხამ ღამეს  
დეიდა ლენა როცა იმღერებს თავის „ალუბლებს“.  
მძიმედ დახუნძლულ გადაღლილ ტოტებს ლოკავს სიბნელე,  
მუჭაში ვიყრი მზის ოხშივარით გათანგულ თუთებს,  
სპილენძის მთვარე აცა-ბაცა მიჰყვება დაღმართს,  
და ცისკრის ვარსკვლავს თან ეგებება და თანაც უტევს.

## ფოკა

თაფარავანთან... ცას რომ სიცივის ედება ფერი  
გაყინულ გზაზე ქარს რომ მიჰყვება თოვლის ნამქერი  
სად ვარდისფერი ბაზილიკა გიზგიზებს ჩუმად  
სად რწმენის ეყენებს გულის კარიბჭის შეღება სურდათ  
სად უმკაცრესი ზამთარი დგება, ასე ამბობენ,  
ჩახერგილ გზათა საიდუმლოს არვის ანდობენ,  
როს გაზაფხული, თოვლის საბანში დამეს გაათევს  
მეორე დღესვე მზეს ცის გასაღებს ჩუმად აართმევს...  
მონაზვნის თხელი სილუეტი სერავს სითეთრეს  
სახე ასხივებს უჩვეულოდ უცნობ სიკეთეს  
რა მადლი მოდის, რა ძალაა ღვთიური ნეტავ  
მონაზვნის კალთა თოვლის ნამქერს ქარივით ხვეტავს  
რა საფიქრალი, რა უჩვეულო დარდი აწვალეებს  
უხმოდ მიყვება გაყინულ გზაზე წინოს ნაკვალევს.  
თხელი თითები ნეკისსისხო სანთლებს ანთებენ  
და მოსაქარგად ძაფს მოსირმულს ნემსში აგებენ  
მშვიდი ნათელი შუქი მინანქრის იძინებს მზეში  
როგორც ზღაპარში სურნელი ასდის წრფელი ნუგეშის  
ყველის ქათქათა გორაკები თავს იწონებენ  
პატარა მთები დამარღვულნი თითქოს სუნთქავენ  
და მაგიდაზე შემოსუკუპულ მსხლებს კი მგონია  
მზის მხურვალეებს და სხივების ნათელს უდგამენ  
ცის გახამებულ თეთრ საყელოს მკაცრი მზერა აქვს  
და ბაზილიკას ვარდისფრად მფეთქავს შორიდან ვხედავ  
ქარი წულით აფრიალებს ყორნისფერ კაბას  
მონაზვნის კალთა თოვლის საბურველს ქარივით ხვეტავს  
და შოკოლადი იზმორება მოგრძო ჭურჭელში  
ზედ კი აკვდება ნაირფერი ხმელი ბალახი  
მაშინ კი ხედები, რომ ამ ქვეყნად უსიყვარულოდ  
არც არაფერი არ არსებობს და არც არა ღირს  
ხმელი ბალახი გაბურძმვულ თავს ჯიუტად მიქნევს  
გრძელი ეკლები ამოსვლია ველურ ტიხრებად  
ელამ თვალს უცებ მომაგებებს და უცნაურად  
პატივის ნიშნად თითქოს მიწამდე წელში იხრება.  
ვტოვებ სავანეს ჯავახეთის თოვლიან მთებში,

ოზოლი ცრემლი უხმოდ მოგორავს, სხვა ოზოლს ერთვის,  
და მოკრძალებით შევბედავ შავად მოსილ მონაზონს...  
თუ შეიძლება, ოდესმე მაინც ილოცეთ ჩემთვის.



**მტრედები ქაშვეთის დეკორატიულ თაღედზე.  
სანდრო ბარნაველის ფოტო**

## მზერა დამიხშო

მზერა დამიხშო ბლანტმა ბურუსმა სველი თითებით,  
მაინც ბავშვური დაჟინებით ვემებ თვალებით  
ციცქნა სამრეკლოს, საძირკვლად რომ ქცევია რწმენა  
ცაში ჰკიდია ძაძადქმნილი, ძალდატანებით  
დამაგვიანდა ბედისწერის კარზე წარდგომა  
ამაოდ ვლამობ თავგანწირვით შიგნით შეღწევას,  
ჩვენ ჩვენი წილი გზები უკვე ამოვიარეთ  
თუმც გააზრება და დაჯერება ამის გვეძნელა  
არაფერია... იფუთფუთონ გულში იებმა.  
ზოგჯერ გაგვექცეს მზერა პირსავსე ყრმობის ალერსით.  
მერე რა თუკი გზას არ ჰქონდა ბოლო და თავი.  
ფრთებდაცხრილული ანგელოზივით პირქვე დავეციით.  
რა მოხდა მერე, თუკი მანძილი ხსნად იქცა თურმე.  
სამრეკლოებმა ჩამორეკეს მწუხრის ზარები,  
მზე დასიცხული მოსასმენად გზისპირას შედგა  
და მერე ჩაქრა ჩვეულ სიდინჯით და ბრწყინვალეებით  
არ ვაყურადებ ყრუ ნაბიჯებს, არას დავემებ,  
ლურჯი ფრინველი გულყვითელა შვებას მომიტანს...  
კარსუკან მფეთქვს, გუგებს მიღმა სავსე ცრემლებით  
ყურის ბარაზნებს დამიხეთქავს ქარი შორიდან.  
ფერფლით დაპენტილ ბილიკებზე სხვები ივლიან  
და დედამიწა იზზრიალებს ღრუბლის პერანგში.  
ჩვენს წარსულს, აწმყოს მოკიდებულს ზურგზე ტომსიკით  
ველარ ვუგანებთ, განვშორდებით უკვე ვერაგზით.  
ზღაპრად ქცეული ზღაპრებად დარჩეს, ასე სჯობია  
ნუთუ ყველაფერს ამქვეყნიურს სჭირდება ბოლო?  
რატომღაც მინდა, ყველა სწორ ფორმას ხელი წავავლო  
ცოტა ხნით მაინც ვაქციო... რაღაც... უსწორმასწოროდ.  
ცოტა ხნით მაინც... გულუბრყვილოდ... დროს ვეჯიბრები  
რას ვფახთაფუცხობ, ასე ჯიუტად რას ვლამობ, ნეტავ,  
დრო ხომ სულ მალე ყურში წამწვდება ცელქი ბავშვივით  
ამბოხს კი არა, თვით ურჩობასაც ვერ გაუზუბდავ.

## მე შენ ყოველ დღე განთებ და გაქრობ

მე შენ ყოველ დღე განთებ და გაქრობ.  
შუქის ათინათს ვეთამაშები,  
დილაადრიან წვიმის ხმას ვუსმენ,  
ან როგორ სტვენენ შენთან შაშვები.  
მე გდებ ბაბუას გაცრეცილ წიგნში,  
როგორც ზამზახის ფურცელს იისფერს,  
ღობის ძირას რომ იზრდება ბაღში,  
და სიმაღლისკენ უტყვად მიიწევს...  
იისფერ ფურცელს, კრძალვით მოსირმულს,  
მკერდს რომ უსერავს ოქროს ნაჭდევი,  
ნიშნად მხურვალე ამბორის მზისა,  
დამლად სინაზის და აღმაფრენის,  
ეს გაცრეცილი ბებერი წიგნი  
გახდება ჩემი თანამზრახველი,  
მესაიდუმლე ჩემი ტკივილის  
და ერთგულების წმინდა სახელით  
არსად გაამხელს უჩუმრად ნათქვამს  
და სათითაოდ ადგილს მიუჩენს  
ნიღბებს. უმიზნოდ მიგდებულს ყველგან  
და ნათამაშებ უტებ სიურჩეს.  
ოდესმე... მერე... თუკი მავანი  
გადააწყდება ფურცელს ზამზახის.  
სამარადისოდ დაგმანულს ბნელში  
გულგადასერილს ოქროს არტახით  
თვალს აუჭრელებს ნათება იის.  
თხელი ძარღვები ბადედ ქცეული,  
მაგრამ მზის ამბორს შერჩება ელვა,  
ძოწის მარცვლების ან ბროწეულის.  
იის ნათება გაჰკვეთავს ზეცას,  
და ზამზახისფერ ღრუბლებს მოდენის,  
რომ საიდუმლოს წიგნში ჩამარხულს  
შვება მოჰგვაროს ცოტაოდენი.  
მე შენ ყოველ დღე განთებ და გაქრობ,  
შუქის ფანტელებს ვეთამაშები,  
შენ ზოგჯერ წვიმის ხმას აყურადებ,  
ხან როგორ სტვენენ ჩემთან შაშვები.

## მე? მე არა ვარ!

მე? მე არა ვარ... ვიღაც სულ სხვაა მე მას არ ვიცნობ...  
არა, კი ვიცნობ, მაგრამ მათებს დანახვა მისი,  
თითქოს უცნობი მეგობება დილით აჩრდილი  
და სარკიდანაც შემომყურებს ღიმილი სხვისი.  
ეს მე არა ვარ... თვალის ბუდეში სკდება სიცილი,  
და მარგალიტის მარცვლებით ცვივა, მოგორავს  
უცხო ნაკადი, მოელვარე თეთრი მძივების  
ამოდ ვცდილობ მათ შეჩერებას მუჭით როგორღაც.  
თავგადაკვეთილ იმედის აჩრდილს ვაბარებ მიწას,  
სისხლით ლაქებით ამოშანთულ ვმარხავ ფიალებს,  
ნუთუ სათუთად აკინძულ და მსუნთქავ ფოლიანტს  
ასანთს გავკრავ და თივის ზვინებად ავაბრიალებ!  
ავაბრიალებ და თვითმკვლელის ხელით უძღვებით  
სხვის შვების მომგვრელს საამებელს გავხსნი საკინძქეს,  
და სადმე ზემოთ... ციურ ტაძრის წმინდა ნიშაში  
ატირებული ანგელოზი სანთელს დამინთებს!  
მანამ კი მძივებს მონდომებით ავმარცვლავ ძაფზე,  
და ლამაზ წყებად დავიკიდებ ზღვისფერ კაბაზე,  
და სიცილისგან გულგახეთქილ მარგალიტებით  
ჩემს უჩვეულო არსებობას გავილამაზებ.  
მერე კი მოვა სიმსუბუქე ღია მტვრისფერი,  
ნაცრის ღრუბელი ირიბად მოსულ წვიმას ემთხვევა,  
სარკის პირისპირ თავმოქონეს ზღვისფერ კაბაში  
მარგალიტების ყელსაბამი შემომემსხვრევა.  
მაგრამ არასდროს არ გავნელდები როგორც სურნელი.  
და ელვარება მაყვლისფერი ნუშის თვალების,  
ჩემს გულდა-ნაბადს შვებით ავიკრეფ და ბროწეულის  
ჯიუტ ყვავილში ნებიერად შევიმალე.  
მე? მე არა ვარ, მე მას არ ვიცნობ, მაგრამ მეცნობა  
მძივის მარცვლები ასკინკილით დახტიან ქვაზე,  
და ბროწეულის ურჩი ყვავილის მსხვილი ფურცლები  
იდრიკებიან, გულს იღლავენ ჩემს დანახვაზე.

## გოდერძი ჩოხელის ხსოვნას

უცნაურ ნაღველს შემოგაგებებს,  
მოულოდნელად ცისკენ გაგტყორცნის,  
ჭრელ ფარდაგებზე მამლებად დაგსვამს,  
და უცებ სევდას მხრიდან ჩამოგხსნის.  
კლდეს წამოქცეულს შემოგაფარებს  
და კომბლის ქნევით დაგიფრთხობს დევებს  
ნაძვად გაქცევს და ცას გაგიყოლებს  
თვით ჩაუყვება სირბილით ხეებს  
ბავშვური თრთოლვით ჩოხში მიიბრუნს  
და უფალს შესთხოვს სითეთრეს თოვლის,  
თვით გაოცდება, როცა ფანტელებს  
ციდან დაუშვებს განმგები ყოვლის.  
გულთაბომბებთან ჩაიმუხლება,  
და ჩუქურთმებად ჩამოთლის ფიქრებს,  
და ამოტვიფრულ ბორჯღალას ხეზე,  
მზის ულამაზეს ხატებად გიქცევს.  
ცას მიბჯენილი უსიტყვო მთები.  
ღვთის სამადლობელს ყანწით რომ სვამენ.  
მატყლის ფთილებად გაწოლილ ღრუბლებს.  
ვით კვირისტავი ძაფივით რთავენ.  
შავი არაგვის ველური ყეფა,  
თევზადქცეული სულის ამბოხი,  
ჯღუნა და ბერი – ძარღვები სულის  
და ჩოხი, უკვე თითქმის არ მყოფი...  
ამ უკაცრიელ მტვრიან შარაგზას  
თუ მოაკითხავს ჭრელი ოფოფი,  
სევდას წაიღებს სხვისთვის სათქმელად  
მიტოვებული სოფლის, ორღობის....  
მაგრამ სიცოცხლეს თავის წესი აქვს  
და გაზაფხული კვლავ გახსნის ხურჯინს  
ცას ძველი ნდობით შეჰკლიმილებენ  
გუდამაყრული იები ლურჯი...

## მსურს, პატიება გამოგთხოვო გულის ძირიდან

მსურს, პატიება გამოგთხოვო გულის ძირიდან,  
მალამო უკვე ვერ უწამლებს დახეთქილ წვივებს,  
სცადე, უსიტყვოდ ყური მიუგდო სულის ფორიაქს  
ვიდრე სალამო ზეცას აკოცებს და გააცივებს.  
შენს ბავშვურ ნდობას თუ ვუგანე თუნდაც ამისთვის,  
ცაში ჩაშვებულ ეჭვით დახუნძლულ მძიმე ნავისთვის,  
გულის სიღრმეში გაჩენილი უცხო ჩქამისთვის,  
დათენებული მარტოობის გრილი ღამისთვის,  
უმისამართოდ გამოწვდილი ხელისგულისთვის,  
თითქოს პირსავსე, ცარიელი ჩემი სულისთვის,  
დუმილისათვის, ვერ შეკრული შუშის წყლულისთვის,  
თან მზით გამთბარი, თან წვიმიანი გაზაფხულისთვის,  
ბედნიერების უსაზღვრობის მწვავე განცდისთვის,  
თავდავიწყების ტალღისათვის, ასე ანცისთვის,  
ზღვაში უაფროდ მოტივტივე კენტად ანძისთვის,  
და სამუდამოდ ჩაკარგული ფსკერზე განძისთვის....  
თითქოს პატარა, მაგრამ უქრობი დიდი ხანძრისთვის,  
სიჯიუტისთვის, ზოგჯერ უაზროდ თავის დაცვისთვის,  
გულისტკენისთვის უნებურად, ზოგჯერ ავისთვის...  
რით გავამართლო, რა მოვუხერხო ზოგჯერ არც ვიცი  
მსურს პატიება გამოგთხოვო სულის ძირიდან.  
მჯერა, ჩემს ნათქვამს ყურს მიუგდებ, გულთან მიიტან,  
ნუ შეეცდები, გამომცვალო, როგორც თავიდან,  
გვერდით მიგულე, თუკი რაცა ვარ, ისეთს ამიტან!



## ბელურების მწყემსი

მე შენ ოდესღაც გხიბლავდი თურმე,  
მაგრამ ახლა მსურს, ამაზე დუმდე!  
რადგან იმ ნაზ და შეურყვნელ ელვას  
ახლა მე სულ სხვა სინაზით ვუმზერ.  
ამ მოგონების წმინდა ემბაზში,  
სიცარიელის მკვლელის ძებნაში,  
წაგაწყდი ისე, რომ ვერც კი მივხვდი  
როცა მეგონა, ჩაიმტვრა ხიდი  
და ჭექა-გრგვინვით მოვიდა თქეში  
უცებ აცივდა.... ოქტომბრის თვეში...  
შენ მე ოდესღაც თურმე მიცნობდი,  
მღვრიე ნიაღვრის მე რა ვიცოდი...  
გზას რომ წალეკავს და ქვებს მიაყრის,  
სასოწარკვეთის, იმ განთიადის  
რიდეს რომ ახსნის ღამის წყვდიადი..  
ცის მოიისფრო საბურველს მიღმა  
გზას დაულოცავს გუშინდელ სიზმარს  
და თხელ მოსასხამს ჩიტებს რომ მიაქვთ,  
მზრებზე მოიგდებს და როგორც ნიავს  
სუნთქვას შთაბერავს და არათითზე  
ცისკრის ვარსკვლავად დაიწყებს ციაგს.  
მე დიდი ხნის წინ მეძებდი თურმე,  
ისე მოხდა, რომ შენ უნდა დუმდე....  
ხსოვნას რაღაც აქვს ზღაპრისმაგვარი  
თითქოს გამქრალი, მაგრამ არმკვდარი  
და თან სურნელი თავბრუდამხვევი  
და ცხრამთას იქით წამში წამლები  
და უცაბედად... ბედის განგებით  
თუ ჯადოსნური რაღაც ამბებით...  
გაირღვა გული და ბელურების  
პატარა ჯგუფი მეწვია სტუმრად  
და ჩამონგრეულ გულის კედელზე

ყჳინა დასცეს... დამრგვალდნენ გუნდად...  
მას მერე ვმწყემსავ ციცქნა ბელურებს  
და ზეცას სულ სხვა თვალით შევყურებ  
განთიადისას... მზე რომ ამოვა,  
და ჩაიმუხლებს ქვემოთ, წყაროსთან  
დილა იწყება ჩუმი ჟივჳივით,  
გულში იშლება რაღაც კვირტივით  
და სიმსუბუქე ლალი ზვირთივით  
ვით შადრევანი სწვდება თაღს ზეცის,  
ზოგჯერ უღრუბლოს, ზოგჯერ ატკეცილს  
და მარტოობით სნეული თუ ხარ,  
შვების ცრემლებად ბრუნდება უკან.  
შენ მე ოდესღაც დამკარგე თურმე,  
და მსურს, რომ ახლა ამაზეც დუმდე,  
თურმე ბელურებს ციცქნა კენჭებით  
ოქროს სირმებით და იმედებით  
ამოუვსიათ გულის კედელი,  
და, ალბათ, უკვე უბერებელი  
უჳანგავი და დარდისმდევნელი  
გულის კაუჭზე ჩამოუბიათ ...  
თიხის ჟღერადი ზანზალაკები,  
რომლებიც დილას უფლის განგებით  
წკარუნს ატეხენ!... ვიდრე  
ავდგები ცვრის ბროლის ბურთებს მომაგებებენ,  
პეშვით ჩავიკლავ წყურვილს, მოწოლილს,  
მშვიდად მომზირალ თვალებს ვუამბობ  
ფიქრს აბდაუბდას, ამბავს მოგონილს..  
მზე ჩაგორდება გულის უბეში  
და სადმე ძირში გაიტრუნება,  
და ჩემს სიგიჟეს, ლექსად მოხეთქილს  
ალბათ, არასდროს გაემტყუნება....  
ოდესღაც როგორც ლურჯ ზღვაში აფრა,  
ცაზე ვარსკვლავი გაჩნდა... და ჩაქრა...

## შენ მე მაჩუქე პატარა გული

შენ მე მაჩუქე პატარა გული,  
დაცხრილული და თითქოს ჩამქრალი,  
მაგრამ მივხვდი, რომ ნაღვერდალივით  
რალაც ღვიოდა, მიუსაფარი.  
შენ მე მაჩუქე ფიქრების აცმა.  
მარჯნის ბურთების მზე რომ ჰკიდია,  
და, თუმცა ზოგჯერ კისერს მისერავს,  
რატომღაც მოხსნა არ შემიძლია.  
შენ გამახსენე გემო ოცნების,  
თუმც ყავლგასული, მაგრამ ლამაზი  
და ყოველ დღე რომ ამ მარცვლებს ვნამავ  
მინდა მადლობა გითხრა ამაზე.  
შენ მე მასწავლე ლოდინით ტკბობა,  
უცნაურად ჟღერს, მაგრამ ასეა.  
თუმც ღრუბლებს ხშირად მორეკავს ქარი,  
ცა ვარსკვლავებით მაინც სავსეა,  
შენგან ვგრძნობ წვიმის წვეთების სითბოს  
და მართობს ძილის გაკრთობის ხიბლი  
ასე მგონია, შიშველი ფეხით  
ეკლიან გზაზეც ხალისით ვივლი  
ხარბად ვისრუტავ მინდვრის ყვავილთა,  
გადათელილი ბალახის სურნელს,  
და გვირილების თეთრი შხაპიდან  
ცის ღრმა სილურჯეს შევხარი, ულევს...  
შენ მე მაჩუქე პატარა გული,  
დაცხრილული და თითქოს ჩამქრალი  
მაგრამ მივხვდი, რომ ის ერთ ღროს ძგერდა,  
და იქნებოდა, ცამდე მართალი.

## გაუცხოება

გაუცხოებამ საფეთქლებთან დაიდო ბინა,  
ტაატ-ტაატით მოუყვება გულის ბილიკებს,  
თვალმოჭუტული ბედისწერა, თეთრი კვამლისგან,  
კარტს აზარტულად გადათვლის და ჩამომირიგებს.  
ყელთან ძადვი რომ ლურჯად ფეთქავს, სისხლით იტირებს,  
ყვითელი ქარვა თეთრ საყელოზე გაწვება მძიმედ,  
ძველი ჩარჩოდან სულ სხვა მხერა შემომანათებს,  
და თითს დამიქნევს, რომ არასოდეს ვკარგავდე იმედს  
ბებერი ქარვა გაიხსენებს გარდასულ ამბებს,  
გულს აუჩუყებს საფერფლედ ქცეულ რძისფერ ნიჟარებს,  
დაჭორფლილ სხეულს გამომწვევად გამოაშიშვლებს,  
და ჟაბოს ხვეულს თავმომწონედ გადაიფარებს  
ცისფერ ფაიფურს იის კვირტები ასხია უხვად,  
და გადაშლილი გვირგვინებიც ჰკიდია ზოგან,  
ნატიფი ხელი რქის სათვალეს ტუჩით აწვალებს,  
და არათითზე მთლად გალუული ბეჭედი ტოკავს...  
თვალის უპესთან უცნაური გაჩნდება ცრემლი  
ვინ იცის შვების? თუ აკინძული უთქმელ დარდებად?  
მე ვერასოდეს ვერ ჩავწვდები ამ მზერის სიღრმეს,  
ვიდრე ეს ცრემლი ჩემს თვალის უპეს არ მოადგება.  
ძველი მაქმანი მთლად გაცრეცილი, სიმძვლის სუნი,  
ისეთი შორი და ახლობელი... რაღაც გრძნეული  
ძველ ცხვირსახოცში ჩაფერფლილი უცხო სუნამო  
ხელშესახები, თანაც როგორღაც სიზმრისეული.  
ნატიფი ხელი ქარვის გულსაბნევს სარკის წინ იხსნის,  
სარკე მალულად უთვალთვალებს სიშიშვლეს ყვითელს,  
გვერდს რომ ინაცვლებს უდარდელად ვერცხლის ბუდეში  
უკვე მთვლემარე იდრიკება და გარეთ იწევს.  
ძველი ტორშერი თავდახრილი ჩუმად ჩიფჩიფებს.  
ჯიუტად ითვლის ციცქნა ლამბაქზე ჩამომსხდარ აბებს  
და აყურადებს ძველი ფარდების უცნაურ შრიალს  
ღამის ნიავთან საუბარსა და კეკლუცს რომ თან სდევს  
ღამაზი ხელი ასვენია საბნის კიდესთან,  
ჭალარა თმები გაბნეულან ვერცხლის სირმებად,  
ძველი ბეჭედი მთლად გალუული დახალულ ხელზე  
მარადიული სიყვარულის ამბავს მიყვება.

## თვალს ნუ შეაჩვევ

თვალს ნუ შეაჩვევ ზეცის სილურჯეს  
მას სძალუმს უცბად შეიკრას შუბლი,  
თავზე დაგექცეს წამლევკავ წვიმად,  
ვერსად წაუხვალ, გვერდს ვერ აუვლი.  
ნუ მიეჩვევი ციცქნა სიხარულს  
უბრალო ამზად ნუ აქცევ, რადგან  
ცხოვრების მკაცრი კანონი უმალ  
შემოგაჩეჩებს ნაცრისფერ ანბანს  
ღია თვალეებში შუქი დალანდე?  
გამთბარ ხელისგულს გვერდს ნუ ჩაუვლი,  
რადგან ამქვეყნად ბევრს არ რგებია  
ნდობა-გაცემის ეს სასწაული.  
ვინმემ იმედით მოგაპყრო მზერა?  
გული ძირამდე დაგიპირქვა?  
მის ანგელოზად ყოფნა ცოტა ხნით  
უფალმა იქნებ შენთვის ითავა.  
სასწაულია ყოველი დილა,  
საოცარია ღამის დადგომა,  
და ვარსკვლავებით სავსე სუფრაზე  
სადაფის მთვარის ყრუ თამადობა  
ქოჩრიან ღრუბლის თამაში ქართან,  
ფერთა ლივლივი ყვავილთა ფრთებზე,  
მარილდაყრილი წვიმის წვეთები,  
მტრედები მსხდარნი სველ ჩუქურთმებზე.  
ამას ყველაფერს დანახვა უნდა,  
და გარინდება, როგორც ლოცვისას  
და საოცრება, ღვთით ბოძებული,  
სულში შვებას და ნათელს მოგიტანს.  
უფალს შევთხოვ და თან ვაყურადებ  
ქართან წილნაყარ მიმწუხრის ზარებს,  
განურჩევლობის რუხი ფერები  
ნუ შემომიღებს ნურასდროს კარებს!!!

## აკრომატი ვარ

აკრომატი ვარ და ვცდილობ მარდად ვიარო თოვზე,  
და სიმაღლიდან ფრთხილად ვუჭვრეტ წითელ არენას  
ამ სიმაღლიდან ისე სხვა არის მთელი სამყარო,  
მაგრამ მჯერა, რომ მშვიდობით მელის ქვემოთ დაფრენა.  
რატომ მიყურებ შემკრთალი, განა რას ვამბობ ასეთს  
ცირკის ჭალამდე ნუთუ მანძილი ასე შორია?  
თუ არ გაფრინდი ერთხელ მაინც, არ მოსწყდი მიწას  
ჩათვალე, ქვეყნად არც მოსულხარ, არც გიცხოვრია...  
თეთრი მტრედები „გახედნილნი“ თაღის კენწეროს  
რომ შეფარვიან, მრგვალი თვალების ჩუმი ცეცებით,  
ფრთების თქარუნით, ჩუმი ღუღუნით გულს მიმაგრებენ  
ვგრძნობ, რომ გარკვევით დასამსხვრევად არ ვემეტები  
მე კი დავდივარ გრძელ ბაგირზე სწრაფად, სიცილით  
და მაყურებლის მფრთხალი ყიჟინა მართობს, მაცინებს  
თან თვალს ვადევნებ ფსკერის სიღრმიდან ანთებულ ნაკადს  
ყველა მაღაყი სულს რომ უკრავს, აკრთობს, აშინებს  
სალტოს ვაკეთებ და მსუბუქად ვდგები ბაგირზე,  
ხელისგულები მოფრენილი ბნელში მტრედებად  
ისევ ნახტომი, ჰაერში სალტო და ლალი ფრენა  
ამ ხელებისკენ, რომლისაც სჯერათ, ეიმედებათ.  
ვაითუ ხელებს დაავიწყდეთ დროზე მოფრენა,  
ძალაგამოცლილთ შვების მომგვრელად კვლავ უხმოს მიწამ  
შუქის ბინდბუნდში გაფრენილი უხმოდ სხეული  
თეთრი ბუმბულის კორიანტელად იქცევა იმწამს  
წითელ არენას თეთრად დაათოვს ზანტი ფიფქებით  
და ამ სასწაულს დააბრალებენ ცირკის ჯადოქარს,  
მხოლოდ ჯამბაზი, სევდიანი, ხელს აიფარებს  
და ნიღაბს მიღმა იქვითინებს ჩუმად... მარტოკა...  
მაყურებელი ზანტად, ხმაურით გაიკრიფება  
წითელ არენას გახვეტავენ ცოცხით უხემით...  
ჯამბაზი ჩუმად გაუყვება ცირკის დერეფანს  
თეთრი ბუმბულით... ჩაკირულით სულის უბეში.

## შენს ცხელ ხელისგულს ვეყრდნობი ნდობით

შენს ცხელ ხელისგულს ვეყრდნობი ნდობით  
და შენს ბალიშზე მხურვალედ მიძინავს  
ყოველ დღე ვუსმენ შენს გამოჩენას  
როგორც ვუსმენდი დიდი ხნის წინათ  
გული მეხსნება, გაფხევილ კედლებს  
ჯერ შერჩენიათ ხატების კვალი  
და მიმცხრალ ცისფერს სერავს სილურჯე  
ჩამწვარი სანთლის და ფერი ჩალის  
ცხელ ხელისგულზე დაგიდებ ჩემს გულს  
ნუ შეაწუხებ, ეძინოს მშვიდად  
აღბათ, მძიმეა, მაგრამ ცოტა ხნით...  
არ შეგაწუხებს, მერწმუნე დიდად  
გაიღვიძებს და უმაღლეს გაკრთება  
შერჩება ხელებს უცხო სურნელი  
რაღაც ისეთი... თან მშობლიური  
თან უცნაურად განუკურნელი  
ყელამდე ბალახს მივარღვევ მკერდით  
და მიმაცილებს გვირილის თქეში  
ტყემლისფერ გულებს მიწვდიან ლაღად  
თეთრი ფურცლების კორიანტელში  
დღეს ღამე მოსდევს, ღამეს კი დილა  
არ მიიკაროთ ნაღველის ფთილა  
წვიმას მზე მოსდევს, დარს კი ავდარი  
ცხოვრების წესიარის ამგვარი!

## უცხო დუმილი

სიტყვა არ თქმული არასდროს არსად, სრული დუმილი, სამარის მსგავსად გარინდებული და მომშვილდული თან გამჭვირვალე, თან დაბინდული სიტყვა – არასდროს არსად ართქმული მზერის ქვესკნელში ნებით დანთქმული ბორკილდაყრილი, არ დაფანტული ვერ გატეხილი, წელგამართული დუმილი უცხო, ცას რომ გაარღვევს და გულის ყველა ფიცარს ჩაარღვევს სულის მზორგავი მოქცევ-მიქცევა სიტყვად არასდროს რომ არ იქცევა ცის სილურჯე და ფრენის უნარი ჭრილობა დროით განუკურნალი ფიქრი, ქცეული ღრუბლის ქულეზად ცა რომ ვერასდროს დაემდურება სიტყვა უთქმელი, დუმილი უცხო სულს რომ დააჩნდა წითელ ლაქებად მადლობის მეტი რა ვუთხრა უფალს რომ ამ დუმილის სიტკბო მაგემა.



## გესმის... ვერ მოვალ ვერასდროს შენთან!!!!

გესმის? ვერ მოვალ ვერასდროს შენთან.  
სავალ ბილიკებს მოედო ხავსი,  
კუთხეში მჯდომი ფართო თვალებით  
ბედნიერებით ვიქნები სავსე  
მერე რა... თუკი ვერ მოვალ შენთან?  
განა ესაა მიზეზი დარდის?  
ნეტავ, იმ ტალღას ვინ აღუდგება  
შენ და ჩემს შორის ჩუმად რომ დარბის?  
განა ხელი ხელს თუკი არ ხვდება,  
ვერა გრძნობ? როგორ თქრიალებს სისხლი?  
როგორ მოღელავს ბედნიერებით,  
აღისფერ შხეფებს ხმაურით ისვრის...  
რა ბედენაა, თუკი ვერ გხედავ,  
თვალი ვერ მწვდება? ნეტაი ერთი...  
ფრთადახეთქილი თეთრი პეპელა  
ცის ღრმა სითეთრეს მორჩილად ერთვის.  
ჩუუუ, ნურც ნურაფერს იტყვი ამიერ,  
ჩუუუ, ნურც ნურავის განსჯი ამისთვის!  
მადლობა ბრძანე სიყვარულისთვის  
გათენებული ყველა ღამისთვის!

## საღამო

სადა ხარ... წვიმა მოაწყდა სარკმელს  
და დაუნდობლად დასცხო და დასცხო  
ჭადრის ფოთოლი ტოტს შერჩენილი  
თან სევდიანობს და თანაც ანცობს  
შავყურა კატა დამრგვალდა სკამზე  
და ნეტარ სიზმრებს მიეცა გრძნობით  
ძველი ტორშერი, ოდეს კეკლუცი  
წელშემართული, ნაქარგი ქობით...  
ებრძვის შაკიკს და აბეზარ წელკავს  
და თან მაკვარანცხ რეპლიკებს ისვრის  
თან ძველ სავარძელს ეჯუჯღუნება:  
„უძილობა მჭირს... ტკივილი კისრის...“  
ოთახში ყავის ნელდება სუნი  
ზეცამ აისხა ნაოჭი ფერთა  
და საკერავი მანქანის კაკუნს  
ყურს ვუგდებ წვიმის წვეთებთან ერთად  
ოთახში ბინდი უჩუმრად დადის  
კაკაკუკს ებრძვის ძველი მანქანის  
და მიზიარებს უცნაურ ამბებს  
წუთისოფლის თუ დარი-ავდარის  
და უცნაური შემოდის შფოთი  
კარიბჭეს ვაღებ თითქოსდა უმალ  
და, როგორც სარკე, ვირეკლავ ამბებს  
რაზედაც ძველი კედლები დუმან  
სარეცხს ხელახლა გარეცხავს წვიმა  
იდრიკებიან მძიმედ თოკები  
მკერდსავსე ქალი „შპილკებით“ ხელში  
ვის ემუქრება დაწიოკებით?  
ვხედავ გაბერილ ციცქნა ბელურებს  
სველ სადენებზე ჩამწკრივებულან  
გათოშილები ეკვრიან ერთურთს  
და ჟივჟივებენ კვლავინდებურად

ცივ თითებს ვითბობ ყავის ფინჯანზე  
ძველმოდურ სევდით ისევ ვლონდები  
და ვხედავ ქუჩას, სადაც დარბიან  
სველ ფილაქანზე მუქი ქოლგები,  
ძველ ტელეფონზე დარეკავს ვინმე  
და, ალბათ, არჩევს „ბევრისმთქმელ დუმილს“  
თვალს გავუსწორებ ამღვრეულ ზეცას  
წარბაწეული დავკიდებ ყურმილს.  
ძველი ტორშერი კვნესის და მაინც  
მიხმობს თავისთან, მელაციცება  
ყდამორღვეული ნაცნობი წიგნიც  
ხელისგულებზე ნდობით მიწვება.  
შავყურა კატა გვერდს იცვლის ძილში  
ბოხორა თავი თათებზე უდევს  
და ღამეს უკვე სარკმელთან მომდგარს  
წვიმარ უშვებს და ჯიქურ უტევს.  
ლამპიონების მიმცხრალი შუქი  
ქუჩებს ატყვია მღვრიე ზოლებად  
ყავის მომწარო მწკლარტე სურნელი  
ძველმოდურ სევდას კვლავ ებრძოლება  
ფარდებს ჩამოვშლი და წვიმის მსგავსად  
არ დავნებდები ღამეს შავფრთიანს,  
კვლავ მოვადუღებ ჟეზევეში ყავას  
ერთად შევხვდებით ფერმკრთალ განთიადს.  
ძველი ტორშერი კვლავ ივიშიშვებს,  
ძველ წიგნში ისევ ფხიზლობს სანიშნი...  
ამ აღმაფრენას – სიცოცხლით ტკბობას,  
უკვე ვერავინ ვეღარ დამიშლის!!!

## თუ შეგისრულე

თუ შეგისრულე, რაც გითხოვნია,  
აღბათ, ტყუილად არ მიცხოვრია.  
თუ გაგაცინე თუნდ ერთხელ მაინც,  
თუ შემოდგომა მოჰგავდა მაისს,  
თუ თვალში ცრემლი ჩამოგდგომია,  
გზა გულისაკენ თუ მიპოვნია,  
სიხარული და შვება მოგგვრია,  
მაშინ ტყუილად არ მიცხოვრია..  
ბედნიერების ტალღით ატანილს  
ცა თუკი ქუდად მოგჩვენებია,  
თუ სიმსუბუქის გაშლილი ფრთებით  
მთის მწვერვალებზე ფრენა გჩვევია,  
თუ ეჭვმა გვერდით ჩაიწუილა,  
არ მიცხოვრია მაშინ ტყუილად!!!  
თუ ცას ახედე და ცა გალურჯდა  
და ვარსკვლავების გაწვიმდა წვიმა,  
ვინც ვერ იგემა ეს ნეტარება,  
შენ არ იდარდო, იდარდოს იმან))

## ეს... ისე

ღია ფანჯარას ცამ მიუგდო შავი თავშალი  
მიწის ძირიდან ამომცქერის გუბე დამშრალი  
გაძვრა-გამოდვრა ბნელ ქუჩებში ქარი აშარი  
და მთებმა ერთხმად გადაიცვეს ლურჯი ჯავშანი  
ტვინის ხვეულებს „შეეყარა“ მოგონებები  
სასიხარულო, სევდიანი, უცხო ვნებები  
სად აღარა ვარ, ცას და მიწას ერთად ვედები  
ძილმა მიაგნოს და უშველოს ტკივილს ეგების  
მშრალი სარეცხით დახუნძლული თოკი ქანაობს  
მთვარე ბურთივით მიგორავს და ცაში ბანაობს  
ლურჯი ღრუბელი, მთვარეს ეტრფის ანაბანაობს  
აბუჩად მიგდებს – რა დარდი გაქვს ამისთანაო?  
იქ... შორს ფანჯრებში მოკისკისე შუქი ციალებს  
ღამის სიდინჯეს ეანცება, ხტის და ტრიალებს  
ანთებულ სარკმელს სხვა ხიბლი აქვს, შუქს გიზიარებს  
და თან სალბუნად დაედება სულის იარებს  
ღია ფანჯარამ გამონასკვა შავი თავშალი  
ძილმა იოლად ჩამომართვა შიშის აბჯარი  
სიზმრის ანგელოზს მივაბარე სულის „ავდარი“  
და დღევანდელი გადაფურცლა ღამემ დავთარი.

## მთლა ამაოა ყველაფერი

მთლა ამაოა ყველაფერი, განა არ ვიცი  
და მაინც ჩუმად განუწყვეტლივ ფიქრში ვსაუბრობ,  
და, ვიდრე გონი შემომრჩება და მუხლში ძალა  
ამ თბილ მიწაყრილს ყვავილების კონებს დავუწყობ  
და ყოველ დილით გარიჟრაჟზე სანთელს დავუნთებ,  
და ლოცვას კრძალვით გავაყოლებ გულის უბიდან,  
სარკმელს შევადებ და ბელურებს მოვეფერები,  
როს ხმელ ნამცეცებს აკენკავენ ხელისგულიდან.  
წვიმიან ამინდს, ძაღლს რომ ვერავინ გააგდებს გარეთ,  
ხმელი ფოთლებით ახორხლილი გავიკვლევ ბილიკს,  
ფეხის გულები მძიმედ მავალი ვერცხი იგრძნობენ  
ბასრი კენჭებით და ნამსხვრევებით დასერილ ტკივილს.  
ტყის სველ სიჩუმეს შევატოვებ მძიმე საწვიმარს,  
გზად ფიქრიანად მომყვებიან ფიჭვის მწკრივები,  
და როცა ფარდა გარიჟრაჟის აიკრეფს ნაკეცს,  
უმაღლესს მომჭრის ბზინვარება ოქროს წვივების...  
მკლავებზე ლაღად გავიგორებ მზეს გაღვიძებულს.  
და მის მძაფრ სურნელს დახარბდება ირგვლივ ყოველი.  
ანთებულ ციდან მზით დაპენტილ მიწას მისწვდება  
ოდითგანდელი სიცოცხლის მწველი საგალობელი.  
მთლად ამაოა ყველაფერი, განა არ ვიცი  
და მაინც ჩუმად განუწყვეტლივ ფიქრში ვსაუბრობ,  
და, ვიდრე გონი შემომრჩება და მუხლში ძალა  
ამ თბილ მიწაყრილს ყვავილების კონებს დავუწყობ!

## ღამე მოვკალი

გარგრისფერ ღრუბელს ვეძებდი დიდხანს,  
ის ყოველ დილით მხვდებოდა სახლთან,  
შიშმა გაკვნიტა გულის ფიცარი,  
ვგრძნობდი, რომ ძრწოლა მტოვებდა სახტად.  
ვეძებდი ღრუბელს, გარგრისფრად მსუბუქს  
ის კი მზის წითელ ისრებს ეკიდა,  
დასჯილ ბავშვს ჰგავდა კუთხეში მიმჯდარს,  
გამოძევებულს გამოცდებიდან...  
შუბლი შევკარი, ხელით ვანიშნე,  
დარდის მიზეზი მსურდა გამეგო,  
მან გამილიმა უცნაურ სევდით  
ჩემს ტკივილს ველარ დამიამებო..  
„ღამე მოიხმობს გრძნეულ ჯადოქრებს  
ცამდე ავარდნილ ცეცხლს რომ ანთებენ  
და მე სულ მალე, დაუკითხავად  
ვარდისფერ რიფად გადამაქცევენ“  
ეს განაჩენი სასტიკად ჟღერდა  
განზრახული და არა მომხდარი!  
გარგრისფერ ღრუბელს სულ რომ ეცოცხლა  
ერთი გასროლით ღამე მოვკალი!

## ბებოს სათვალე

მე მძინავს ლამაზ ცისფერ ბალიშზე,  
თმას ნაზად მწიწკნის ბებოს ნაქარგი,  
ჩუმიად მიაშობს – დაღლილმა ხელმა  
როგორ ჩაქარგა ფიქრის ავკარგი.  
როგორ არჩევდა სათუთად ნემსებს  
და ნაირფერა ძაფებს ახვევდა,  
ჯვრებად მოქარგულ ბალიშზე თითქოს  
იმ დროის სუნთქვა შედგა, გახვევდა.  
დალაქულ ხელით თმას ისწორებდა,  
სათვალეს ცხვირის წვერზე ეძინა,  
და ძველ სათითის დაცხრილულ ცილინდრს  
მის არათითზე თვლელმა ერჩინა.  
მე მძინავს ლამაზ ცისფერ ბალიშზე  
და ამ ძველ სურნელს ვეღარ ველევი,  
ზოგჯერ გულისთქმა კარებს გამოტეხს  
ბალიშს მოსინჯავს სველი ხელებით,  
ბებია უზის ანთებულ ლამფას,  
ღამე კი დრუნჩით სარკმელს აწვება,  
თვალმოჭუტული წვალობს, ამაოდ  
ძაფი არაფრით ყუნწში არ ძვრება,  
თან დიდი ლამფის ქანაობს ჩრდილი  
ძველი მაგიდის მიმქრალ სუფრაზე  
ჩემი ბალიშის ცისფერ სიდრმეში  
ვხედავ იმ დროის ფერებს უნაზესს.  
ვიცი, რომ ბებოს გამხდარი ხელი  
უმაღლ მოთოკავს აშლილ სიურჩეს  
და აბდაუბდა მშფოთვარე სიზმრებს  
უწინდებურად ადგილს მიუჩენს.  
ყოველ დილით კი, ცა რომ იღვიძებს,  
მთვარე რომ მზესთან ჭიდილს ამთავრებს,  
ჩემი წიგნების ძველი თაროდან  
მიმზერს და მლოცავს ბებოს სათვალე.



## ბროწეული

ბროწეული ვარ, დაბზარული მოწის მარცვლებად,  
მზის მხურვალემა მიქცევიან შინდისფერ ფერად,  
უხემ სარჩულში ჩაკირული ჩემი მიძვები  
გამსკდარ მკერდიდან აპარებენ უცოდველ მზერას,  
ბუჩქის რტოებზე მსუყე კვირტები თვალებს იფშვნიტენ  
მალე დრო მოვა, სისხლის ლაქებად აფეთქდებიან,  
ყვითელ საკინძეს გამომწვევად ჩაიღელავენ,  
მზის მაცდურ ალერსს უნებურად დანებდებიან.  
სისხლის წვეთებად დააჩნდება ჩემი ამბორი  
მიწას გამომშრალს, ნაოჭებად დახეთქილ გზაზე,  
ფესვებს გაიდგამს და ალისფერ სუნთქვად გაწვება  
ჩემი ცხოვრების და სხვა სიცოცხლის ყრუ გასაყარზე,  
ბროწეული ვარ, დაკბილულ გვირგვინს ძლივსლა ვიმაგრებ,  
დაბერილ მკერდში ჯანყდებიან ლალის მარცვლები,  
ვნების აღმურით გათანგული ამ უტყვე ჭიდილში,  
წინასწარ ვიცი, ალბათ ისევე მე დავმარცხდები!  
მზე სველ ბალახში შიშველი ფეხით თამამად დადის,  
და გადაყვლეფილ მუხლისთავებს სუნთქვით იგრილებს,  
მერე გაწვება არხეინად, ვითომ შემთხვევით  
და თავგზას უბნევს გამოუცდელ რძისფერ გვირილებს.  
ეჭვიგამიპობს გულს გადაქანცულს უტყვი საუბრით,  
და სველ ბალახში მოილხენენ მოწის მარცვლები,  
მე კი ნოტიო აბრეშუმის თეთრი მანტიით  
მზის ხელისგულში ჩასაწოლად გავემართები,  
ბროწეული ვარ, დაბზარული, კანდახეთქილი,  
მკვრივი სარჩული ჩემს გულისცემას აჩერებს თითქოს  
დროის მტევანი ძველი კალენდრის ჩამოხვეს ფურცელს  
რაც მოხდა, მოხდა.... ხვალ ის იქნება, რაც უნდა იყოს...

## მსუბუქი

გთხოვ, ჩამიყარე ფიქრები მუქში  
მე გასაღების ავასხამ აცმას,  
თან ვაჩხრიალებ, არაფერს გკითხავ,  
ისედაც ვიცი, რად მინდა ახსნა?  
მსურს შენი მზერა მათხოვო წამით,  
თმაში ჩავმაღავ, გაჩერდეს ძნელად,  
გაძვრება ჩუმიად სადღაც კეფასთან  
გადაიქცევა ცივინათელად,  
მსურს შენი სუნთქვა მოვიგდო ხელში  
და თეთრ პეპლებად ავფრთხიალებ,  
რომ შენმა გულმა შეწყვიტოს ბორგვა,  
ვიწრო ბილიკზე მშვიდად იარო.  
მსურს შენი გულის დარაჯად ვიქცე,  
შეგებად გიქციო ღამე უძილო,  
და მისი დარდი და სატკივარი  
ქვეყნად არავის არ გავუმხილო,  
გთხოვ, ჩამიყარე ფიქრები მუქში  
ასე იოლი იქნება შენთვის.  
გაკოცებს ნისლი ლაღს და უდარდელს,  
შენს უთქმელ სათქმელს ისედაც მეტყვის.

ვისაც წვიმა უყვარს,  
ანუ ზღაპარი წვიმის შესახებ

ღამე წვიმდა და წვიმის სურნელი  
ჩემს ფანჯარასთან კვამლივით გაწვა  
ლამპიონების ოქროს ისრებმა  
ითავეს ჩემი სიზმრების დაცვა  
სიზმრის სამყარო წააგავს ძველი  
ქრელი ხურჯინის ზიგზაგა ტილოს,  
და ანთებული სარკმლის დანახვას  
ზოგჯერ ხის ტოტზე ამძვრალი ვცდილობ  
ამ ნეტარების უძირო გრძნობა  
ოცნებასავით უმართავია,  
ნეტავი იმათ, ვინც ამ სასწაულს  
უძირო ფსკერზე დაუტანია  
წვიმდა ამ ღამით... ლამაზად, მშვიდად  
ციცქნა წვეთების ნათითურები  
ჩემს სარკმელს აჩნდა მზონავ ბურთებად  
და ვერ ვძლებოდი მათი ყურებით  
ხელისგული კი ფართოდ გაშლილი  
დიდი ბალიშის ზურგსუკან თვლემდა  
და მალვიძარას უტიფარ ტიკტიკს  
ყურს არ უგდებდა, არ დაეძებდა  
მალვიძარა კი სიბრაზით ხტოდა  
და წვიმის წვეთებს ბოლმას ახლიდა  
ულვაშებივით იპრებდა ისრებს  
და დროს ცხოვრებას აღარ აცლიდა,  
წვიმდა და წვიმა დაცლილ ქუჩებში  
ლამაზი ზღაპრის თავშალს იხვევდა,  
მე კი ვითომდა არც ვადარდებდი...  
ანდა აშკარად გარეთ მიწვევდა  
დიდური მზერით თვალს ვადევნებდი  
თამაშის წესი კარგად ვიცოდი  
ხელით ვანიშნე, რომ ამ ამინდში

გარეთ ვერაფრით ვერ გავიდოდი.  
შუბლი შეიკრა, დასცხო და დასცხო  
თითქოს შევბღალე მისი ღირსება  
და დამცინავად მომიგდო მყისვე:  
„ასაკი არის სულის თვისება“.  
მომანდე სული სულ ხუთი წუთით  
შევხედავ ზეცას ნიცას თვალებით,  
ან მარიამის ფრთხილი სიმშვიდით  
ელენეს სიღრმის აციალებით  
ვენდე, როგორღაც დამიყოლია  
ავაწრიალე ჩაწნული ბუდე  
და ჩემი სული ჩიტად ქცეული  
სველ ხელისგულში მევე ჩავუდე  
და ჩამეძინა უსულოდ თითქოს  
არ ვიცი, როდის მობრუნდა წვიმა  
ერთი კი მახსოვს, რომ თვალი მომჭრა  
სარკმელს მომწყდარმა უცნობმა სხივმა  
წვიმის ნატერფალს ვეძებდი ცაში  
გრილი ნიავი ლოკავდა ქუჩებს  
და სველ ბალახზე ვარდისფრად, თეთრად  
ეტირათ ტყემლებს, ვაშლებს და ნუშებს  
ნიცას თვალებით ვხედავდი ზეცას  
მარის სიმშვიდე ჰაერში თრთოდა  
ელოს ნაცრისფერ თვალების ჩრდილში  
მართლაც არაფრის არ მეშინოდა  
ციცქნა წვეთები პემში ჩავყარე  
ვით მზესუმზირის მკვრივი მარცვლები  
თითქოს მორჩილი და გარინდულნი  
სინამდვილეში, მეტად ანცები  
და შევისუნთქე სურნელი ზეცის  
და წვიმის გემოს ვწრუპავდი ნელა  
მღვრიე გუბიდან, ცას რომ ეძინა,  
შემომღიმოდა კვლავ ცისარტყელამ.

## ფიქრი... ანუ მეათეკლასელის დღიურიდან)))

ისე... მომენტრე, დღეს ცა ჩამოიქცა...  
უცებ შემომაკლდი სუფთა ჰაერივით,  
მხრები ავიწურე, ფიქრი მოვიწყვიტე  
და ქარს გავატანე შენი სახელივით!  
რა არ ვიღონე და რა არ ვიჯახირე,  
მაინც უკან მდევდი, სად არ მარბენინე,  
სადაც გავიარე, ყველგან შემეფეთე,  
ღმერთო ეს რა ხდება? ნეტავ, სად ხარ კიდევ?  
თითქოს გაგექეცი, მეტროს მივაშურე  
და ქვის ფილაქანზე ძლივს მოვითქვი სული,  
მზერამ მომახედა დინჯად მომზირალმა  
იქვე, დიდ სვეტებთან დამხვდი ატუზული...  
ხალხის მღვრიე ტალღას უმალ შევერიე,  
ჩუმიად ავიძურწე სახლის კიბეებზე...  
იმედს ვიტოვებდი – თავგზა აგიბნიე  
იქნებ, გაგსხლტომოდი, იქნებ... კიდევ ისე...  
სახლი დამხვდა ჩუმი... შვებამ დამიარა,  
შუშა გადავწმინდე წვიმით დანამული,  
ჰოი საოცრებავ, რა დროს სიმშვიდეა  
იქვე, მწვანე ბურთად დამხვდი დაკიდული...  
ხელი დაგავლე და ცაში აგისროლე:  
„რით ვერ მოგიშორე, რად არ მთავრდები-თქო?“  
ციდან ჩამომცინე: “მე ხომ ფიქრი მქვია,  
ნუთუ ვერ მიხვდი, რომ ვერას გახდებო?”

## მე რომ ბებია ვიქნები ოდეს..

მე რომ ბებია ვიქნები ოდეს,  
მინდა მხურვალე ხელები მქონდეს,  
მზერა გამჭოლი და არა მკაცრი  
და რომ არ ვგავდე „სიცილოზე აცრილს“  
მინდა ვხარშავდე კომპოტს და ტყემალს  
და ამას ბებოს „ნობათი“ ერქვას  
არ მაწუხებდეს წნევის თამაში  
დილას ჩავაკრა თეთრი ლავაში  
გამთენიისას მზე რომ ცას ხეთქავს  
არ მაშფოთებდეს გულის ყრუ ფეთქვა  
ვიყო გამხდარი თხელი ხელებით  
ძარღვიანით და არა ლაქებით  
წელგამართული, თავამართული  
რადაც ისეთი „მოქანდაკური“))  
არ დავიზარო მოხარშვა ფაფის  
ვერიდო სიტყვებს ავსა და მწარეს  
არ ვიბუზღუნო შვილიშვილებმა  
თუ ტანსაცმელი მიყარ-მოყარეს  
არ დავიზარო ზღაპრების კითხვა  
შუა ზღაპრის დროს, ღმერთო, ნუ ჩამთვლემს...  
არც შუბლში ტყვიის დახლა არ მინდა  
როგორც ბებიას, მშობელს და „გამზრდელს“.  
შუბლზე მსურს მქონდეს სამი ნაოჭი  
კეფაზე ყულფი ვერცხლისფერ თმების  
ძვლის თმის სარჭებით დამაგრებული  
ნიშნად სიძველის და გემოვნების  
მინდა გონება დამირჩეს საღი  
და არ დამერღვეს ღირსების თალი  
შვილიშვილების უმწიკვლო გულებს  
დავასვა შუქის მსუბუქი დალი  
და გზაზე ჩემი ციციკნა სახლისკენ  
ისწრაფონ თვითონ და არა ძალით

მე დავუხვდები გაცვეთილ ზღურბლზე  
მხრებზე მოგდებულ ნაცრისფერ შალით  
და ვისაუბრებს დღისით და ღამით  
ამ საუბარში ჩაემინებათ  
და თბილი შუქი ძველი ლამფების  
მათ ნორჩ სახეებს დაეფინება  
ახლა დავფიქრდი.... დიდი შრომაა...  
ასაკით? ახლა შემოდგომაა...  
ვერ გამიგია... მინდა? არ მინდა?  
იქნებ სჯობს ისევ ვიყილო წინდა  
ერთი შავი და ერთიც წითელი  
ან იქნებ მწვანე, იქნებ ყვითელი???  
მინდა მე ახლა ამდენი „ოფლი“???  
სჯობს დავიხატო ცხვირს ირგვლივ ჭორფლი.  
ვერ მივაწვები ცხოვრებას რქებით  
გულწრფელად ვამბობ, საკუთარ ნებით  
არ გამომივა, რომ ვიყო „ბები“  
მუდამ ვიქნები „ბებია – პეპი“))))

## გთხოვ, ხელისგულზე დამისვა წამით

გთხოვ, ხელისგულზე დამისვა წამით,  
არ ვიფრთხილებ, მშვიდად ვიჯდები,  
თუმც თავს ვერ დავდებ... კაცმა არ იცის  
იქნებ, მომინდეს სროლა გირჩების...  
გთხოვ, სულ ცოტა ხნით დამისვა მხარზე  
თუმცა... არა ღირს... დავიწყებ რატრატს  
და სინანულით მიხვდები მალე  
შენი ცხოვრება ნორმალურს არ ჰგავს  
გთხოვ სულ ცოტა ხნით დამისვა გულზე  
მაგრამ ეტყობა, დაფიქრდე უნდა  
ღვინის ჭიქაში ჩავხტები მყისვე  
თუ მოვინდომე შენი გაწუწვა  
გთხოვ სულ ცოტა ხნით შემომსვა მუხლზე  
ომახიანად დავიწყებ ჭიკჭიკს  
მაშინ მიხვდები, რომ ჩემი ყოფნა  
შვებად გექცევა, როდესაც გიჭირს  
ხოდა როდესაც თავს გრძნობ მშვიდობით  
და ჩემი ყოფნა არ დაგჭირდება  
მოძებნე დიიდი რკინის გალია  
ჭერზე რომ შესძლო ჩამოკიდება  
მოზრდილი მძიმე ოქროს ბოქლომით  
მაგრამ გალია.... მჭირდება მწვანე  
თორემ არაფრით არ გავჩუმდები  
და „ვიგალობებ“ დღისით და ღამე...  
გასაღებს მარტო შენ ჩაგაბარებ  
იმედიანად რომ იგრძნო თავი...  
მაგრამ გაფრთხილებ – ნუ გამაბრაზებ  
მე კარგად ვუწყი ჩემი ამბავი  
რკინის გისოსებს ნისკარტით გავკვნიტ  
იოლად გავთხრი ბებერ აგურებს  
შემოვფრინდები და დაუნდობლად  
თან გვარიანად ჩაგიკაკუნებ,  
ამიტომ გირჩევ, წამკვეთო ფრთები  
ფეხზე დამადო ხუნდები მტკიცე  
ნისკარტზეც მყარი ციციქნა ბოქლომი  
რომ ასე მაინც „მორჩილად“ ვიქცე.



## 16 წლის ასაკს

ვაშლის რტოებით დახუნძლული მოარღვევ ქუჩას,  
შენს მსუბუქ ნაბიჯს ქარი ფეხდაფეხ ასდევნებია,  
და შავ კაბაზე მოფრიალე შენს თეთრ წინსაფარს,  
ცაში საფრენად მოფარფატე ცელქი ფრთები აქვს,  
ჩერდები, რადგან ველარ უძლებ მოხეთქილ ტალღას  
თეთრ წინსაფარზე აცა-ბაცა ვხედავ წარწერებს,  
სკოლა დამთავრდა მთელი ცხოვრება ჯერ ხომ წინაა  
ფრთიან ოცნების კორიანტელს რა შეაჩერებს...  
იციანი ისე, რომ აყრუებ ირგვლივ ყველაფერს  
ამვლელ-ჩამვლელნი უცნაური მზერით გივლიან,  
ნუ გეწყინება, სადღაც ჩაკვარგეთ ჩვენ ეს ასაკი  
და შენებურად გახარება არ შეგვიძლია  
რარიგად გშვენის ეს სიცილი ლაღი და მჟღერი  
ყურზე გკიდია წითელი ბლების გრძელი კუნწულა  
ო, როგორ მინდა, რომ არასდროს დაგიცდეს ფეხი  
და ეს სამყარო არასდროს გექცეს ეულ კუნძულად.  
რომ არ დაკარგო რწმენა, იმედი სიცოცხლის, ნდობის,  
როცა ცხოვრების ლაბირინთში ხელის ცეცებით  
მოგიწევს გავლა თვალდახუჭულს... ღმერთმა გაშოროს...  
ეს ყრუ სიბნელე, რომლისთვისაც არ მემეტები  
მანამ კი ასე გაგვაყრუე შენი ბავშვობით...  
მშვიდობით გველოს.... უსასრულოდ გქონდეს სავალი,  
სკოლა დამთავრდა... და დასასრულს საწყისი მოსდევს...  
თექვსმეტი წლის ხარ, დღეს კი ესაა შენთვის მთავარი.

## ბელურა

ისევ ამბობი... და რია-რია,  
შორით განგაშმა ხმა დამაწია,  
ფეხქვეშ გამხმარი ცრემლები ყრია,  
ვერ მოუსწრებენ განთიადს მზიანს.  
ფეხებით ვლექავ შუშებად ქცეულ  
უფრთო ოცნებებს, სულმკვდარ საშოში  
და ცხელ ხელისგულს იმედით ვუწვდი  
ციცქნა ჩიტუნას ყინვით გათოშილს,  
მთლად არ მენდობა, მიახლოვდება.  
აღმაცერ მზერით იკავებს მანძილს  
ჩემს ხელისგულს კი სითბოს, იმედის  
და ხმელი პურის სურნელი ასდის,  
ო, რა ძნელია ზამთრის ცივ დილას...  
თან ცთუნებაა როგორი დიდი...  
პურის ნაფხვენებს სიფრთხილით ვუყრი  
და ციცქნა ჯამით წყალს ვუწევ თითით.  
კვლავ არ მენდობა, აშლილ სველ ბუმბულს  
ჩემს დასანახად ისწორებს მშვიდად  
მერე კი, ვითომ არაფრად მაგდებს  
სულ არ დაემებს ვინა ვარ... დიდად...  
ჩემს დარაბაზე მოჰყვება ხტუნვას.  
და უცაბედად დასჭყვივლებს გზნებით  
მერე კი თითქოს... ბუდე იპოვა...  
გამოხრულ მკერდში ჩაჯდება ნებით,  
და იჟივჟივებს, აფრთხილდება.  
და გულს ჩაკირულს გაათბობს ფრთებით.  
და, ვიდრე გულის ხმას არ გაიგებს  
არ გაფრინდება არასდიდებით.  
სალბუნად ქცეულს, მუჭში მოვიმწყვდევი,  
გული რომ ცრემლის ხელა აქვს მხოლოდ.  
მზის სხივი ბრწყინვით უბრმავეს თვალებს,  
რომ გაიტყუოს ბოლოსდაბოლოს.

წინასწარ ვიცი, განწირულია.  
სულს არ გაყიდის, სუფთას ბროლივით.  
ხელით ვიფარავ მის ციციქნა სხეულს.  
სულ ერთიბეწოს, მსუბუქს ბოლივით.  
ისევ ფრთხიალებს და გული უცებ  
იხუვლებს, როგორც წვიმის ღრუბელი.  
ჩიტს კი იმედის და სიყვარულის  
და თან სიკვდილის ასდის სურნელი.

## ფოთლის თავგადასავალი

გუშინ საღამოს ვიქეცი ფოთლად,  
თავი ვიგრძენი საშინლად ოზლად,  
ტოტს მოწყვეტილი და განდეგილი,  
რადაცნაირად გულგატეხილი...  
ძველ ხის რიკულებს გამოვერიდე,  
მერე სარკმელთან დიდხანს ვევიდე,  
ქარმა მიყურა, ცოტა მაცალა  
მერე საყრდენი გამომაცალა...  
და ამიტაცა ჰაერში ანცად  
ჯერ მაფარფატა, ყიჟინი დასცა,  
ვცდილობდი სადმე სული მომეთქვა,  
სადმე კიბესთან, ან ძველ ღობესთან,  
გაგიგონია? არ დამსვა არსად  
არც კი მოსვლია მსგავსი რამ აზრად,  
ბზრიალ-ბზრიალით სიცილ-ხარხარით  
არ განმიცდია შიში ამგვარი,  
აღმა და დაღმა დამაქროლებდა,  
ერთი წუთითაც არა მტოვებდა,  
და უნებურად ფართო თვალებით  
ჩემთვის უცნობი ძალდატანებით  
ვსერავდი ქუჩებს და ფილაქანზე  
ბურთივით ვხტოდი უცხო სიცილით  
ხან კი დავქროდი დედის წინ ლაღად  
გაჭენებული თეთრი კვიცივით.  
ჩამოვიბერტყე თითქოს მხრებიდან  
საზრუნავი და ფიქრების ტვირთი,  
და თბილ ჰაერში შევცურდი როგორც  
ზღვის ლურჯ სარკეში მბორგავი ზვირთი  
ქარმა კი დინჯად დახედა საათს  
თან მოსასხამის თასმებს ჭიმავდა  
წარბებშეკრულმა გადაჭრა ქუჩა  
და უცბად სადღაც გაუჩინარდა.

და მე ფარფატით დავეშვი ქვემოთ  
ქუჩის მტვერს ფრთხილად დავკარი თავი,  
მან კი ამრეზით შემომიკურთხა  
კეთილგანწყობა? არავითარი!!!  
და მე მივხვდი, რომ არ ვიცი ფრენა,  
რომ ფოთოლი ვარ ხმელი და ციცქნა,  
ჩემი სილადის და აღმაფრენის  
საწყისად თურმე სულ სხვა რამ იქცა.  
ტაატ-ტაატით ჩავეშვი წყალში,  
და თავი კოხტა ნავად ვიგრძენი,  
კიდევ ვიცურებ და ვიოცნებებ  
ჯერ კიდევ შემრჩა ძალა იმდენი)))



## ღამის საყურე

შემოდგომაა, გამიღე კარი  
გარეთ წვიმაა, დავსველდი... მართლა...  
სველი ფეხებით შემოვალ, კარგი????  
ახლა არ მთხოვო ბოტების გახდა  
ძველ ხის აივანს გადავჭრი ფრთხილად  
დავტოვებ ყველგან სველ ნაფეხურებს  
და მზერით ჩუმად მივაყურადებ  
თოკზე ჩამომსხდარ დაღლილ ბელურებს  
შენ მომიმზადე მაგარი ყავა  
ან მუქი ჩაი ლიმნის ნათალით  
და მე გაიმბობ ათასგვარ ამბებს  
შენ თვითონ მიხვდი, რაა მართალი...  
რახათლუხუმზეც არ ვიტყვი უარს  
ყველის ნაჭერზე, გახუხულ პურზეც  
საკმარისია, ხოდა მას მერე  
ვილაპარაკოთ, რამდენიც გსურდეს  
გაიმბობ როგორ ჩავარდა მთვარე  
ზარმაც გუბეში და დიდხანს იწვა  
მე არ ვიცოდი, რომ მთვარე ღამის  
საყურე იყო და მთვარედ იქცა,  
რომელსაც ღამე გამთენიისას  
საგულდაგულოდ მალავს ღრუბლის ქვეშ  
და მიტკლისფერი თხელი სამოსით  
ასრიალდება დილით უფლისკენ  
იცოდი? როცა თეთრი ღრუბლები  
დაჯგუფდებიან ცაში აფრებად  
ცა დაიხრება მხურვალე ლოცვით  
და მიწას კოცნით დაეწაფება  
იცოდი, თურმე თოვლის ფანტელებს  
ანგელოზები ქაფისგან ჭრიან  
და დახვავებულს მაღალ გოდრებში  
უფლის ბრძანებით მიწაზე ყრიან

ქაფის ფიფქები ბზრიალ-ბზრიალით  
მოდიან ქვევით და ძლიერ ცივათ  
და დედამიწის ყელზე წვებიან  
ულამაზეს და უთეთრეს მძივად.  
მოიცა... ყავა... რა გამოვიდა?  
მე აქ ვრატრატებ და ამბებს ვყვები  
შენ კი... არ მჯერა... ჩაგძინებია...  
ახლა ავდგები და... გავვიყუდები...  
გინდა ახტი და გინდა გადახტი...  
აფთარ მუქარას სიცილი შეცვლის  
მერე დავისხამ მე თვითონ ყავას  
ძველ სავარძელში ჩავჯდები ჩემთვის  
და ცას ავხედავ, ვეება მთვარე  
თბილი ღიმილით თავს რომ დამყურებს  
და დავუჯერებ ჩემს შეთხზულ ზღაპარს.  
მთვარე რომ არის ღამის საყურე.

## გობელენი

მე დაგიტოვებ ჩემს ხელისგულს სარკმლის შუშაზე და უსასრულო მზერას გატყორცნილს ამღვრეულ ცაში, ლიანდაგებთან ამოწვერილ ყვითელ ყვავილებს, იდუმალ ნატვრას, ასე რომ უყვარს შენთან თამაში. მე დაგიტოვებ მარილის ცრემლებს აწ ქცეულს ნამად, და მოგონებებს, ასე სათუთად გულით ნატარებს, ან გარინდებული ნეტარების და ცრემლის სითბოს, და შენს ზურგსუკან ადევნებულ უცნობ ნაკვალევს. მე ჩემს გულისთქმას გადავჭიმავ ძველ ხის ჩარჩოზე, და ვით გობელენს, გასაშრობად მზეზე გავკიდებ. და მზეს გვერდულად შემოსკუპულს ჩარჩოს კიდეზე ყულფით დავაბამ, რომ არასდროს აღარ გაფრინდეს ძველი ჩანგალი მძიმედ ჩამოქნის ძაფის გისოსებს, და ნასკვებს შორის სულს ჩავუდგამ ფერმკრთალ ირისებს, გულიდან ფრთხილად ამოვფანტავ სევდის კრისტალებს და გობელეების ჭრელ სხეულში ჩავაგვირისტებ. გაშლილი ხელი წვიმით დაბზარულ სარკმლის მინაზე ცრემლებს ჩაამსხვრევს და ნამსხვრევებს ფეხქვეშ დამიყრის, მე ყოველ დილით მუხლს მოვუყრი ფერმკრთალ განთიადს ვიდრე საათი ხურდასავით წუთებს ჩამითვლის, ყრუ ლიანდაგებს გადასერავს მატარებელი, ბასრი ბორბლები თავს წააცლის ყვითელ ყვავილებს რელსების სუნი დამაბრუნებს იმ შორ დღეებთან მინდვრის ყვავილთა გამოწვევა თავგზას ამირევს. მე დაგიტოვებ მხურვალეებას დასიცხულ მიწის და გულისძგერას, მიწის ბურთს რომ ღერძზე აქანებს და თავგონჯორა ძველ ლურსმნებზე „ჯვარზე გაკრული“ მზით მოსირმული ჩემი გულისთქმის ჩამქრალ ნაკვალევს.



## ტყუოდა ხელი

ტყუოდა ხელი და მაინც იდო გადაშლილ მხარზე  
და დაორთქლილი უიმედოდ იწევდა ქვევით,  
ტყუოდა მზერა და იჩრდილავდა დარცხვენით თვალებს,  
და სითბოს ნაცვლად ჩასდგომოდა ყინულისფერი!!!  
ტყუოდა ტანი და ფიქრებს ფიქრი მისდევდა მდორედ,  
გონების ცელი დაუნდობლად კეპავდა გვამებს...  
გული ბორგავდა და აწყდებოდა კიდიდან კიდეს,  
და ბედისწერის საათი ცივად ცხრილავდა წამებს,  
ჰგავდა თოჯინას უსიცოცხლოდ გარინდულს თოვზე.  
ნაწნავებით რომ გაეკიდათ ძველი სარჭებით,  
მჭიდროდ ჩაწნული და ჩაგრეხილი უსულო თმებით  
ძირს „გადაჭრილი“ გაცვეთილი ძველი ბაფთებით...  
ბორგავდა გული, გონების ღვედებს ამაოდ წყვეტდა  
ცრემლივით ნადდი და უთბილესი ვით ბავშვის ნატვრა.  
და ტყვეობაში უმწეოდ ყოფნა და მორჩილება  
გულმა ვერ შეძლო და სარკესავით ხმაურით ჩატყდა.

## შენს დამწვარ სულში ვეძებ ნაპერწკალს

შენს დამწვარ სულში ვეძებ ნაპერწკალს  
და ველოდები როდის იფეთქებს  
ქარიშხალივით მოულოდნელად  
მოვარდება და ამოიყეფებს  
მიწაში ჩაზრდილ თვალებს შევყურებ  
და ვცდილობ დავძრა, მიწას ვარიდო  
რომ ჩემთან ერთად ან ჩემს გარეშე  
სევდამ არ დაგხრას... მხოლოდ მაგიტომ  
ამ არეულ და მარტოსულ დროში  
ბუნება რჩება ერთგულ სადგურად  
მას შეაფარე უთქმელი სიტყვა  
და ნურასოდეს ეტყვი სამდურავს  
სხეულზე საბნად დაგეფინება  
ფიქრები ჩემზე არსად არმტევი  
ვით ბალიშიდან გამოხეთქილი  
ბუმბულის თეთრი კორიანტელი  
ნუ გეშინია... არსად არ წავალ  
ოდეს ხილული ქცეული აფრად  
ოცნებასავით ვიქნები მყუდრო  
და სასურველი ჩუმად და მძაფრად  
შენს დამწვარ სულში ვეძებ ნაპერწკალს  
მზეს ცის საკინძე ჩაურღვევია  
შენ აფეთქდები იის ფურცლებად  
ულამაზესად როგორც გჩვევია.

## გავყვები ნისლებს

### დიდი მადლობა სოფიო ჯაფარიძეს მშვენიერი წიგნისთვის „სულის პური“

სიცარიელის დავფერთხავ კალთას  
მზეს შევაგორებ გულის ძირამდე,  
და ჩემს გაცვეთილ ფიქრთა ყულაბას,  
მივიწყებულს და სავსეს პირამდე  
მშვიდი სინდისით დავაპირქვავებ  
არარსებულის დავიწყებ ძებნას  
მაგრამ ვიპოვნე, ასე ყოფილა  
თუკი გწამს, ნახავ, რაც უნდა ერქვას!  
ნაწნავებს წელზე მოგდებულს მძიმედ  
დავშლი და მზეში ცხელ ქვებზე გავფენ,  
მოგონებათა ჭრელი გორგალი  
კვლავ დაეშვება სირბილით თავქვე.  
გამშრალი თივის აპყვება გემო,  
თმებს თავთუხისფერს გამომწვარს მზეში  
და სურნელება დაღლილი სხივის,  
მთის სხვა ჰაერის და სულ სხვა ემზის.  
ჩამოივლიან ჩუმად ნისლები,  
შეისვენებენ სოფლის ჩარდახთან,  
სისხლში გასული სიყვარულისთვის  
დინჯად მომთხოვენ ხარკის გადახდას.  
ძველი მაკრატელით წავიკვეთ ძირში  
მძიმე ნაწნავებს, ნატარებს წლობით,  
და ცის თაღამდე აწოწილ ნისლებს  
სველ ხელისგულში ჩავუდებ ნდობით  
დაიძრებიან ნისლები მძიმედ,  
დაიგრძელებენ საეჭვოდ კისრებს,  
და მთელს სამყაროს კიდით კიდემდე  
უცბად გახდიან ზღაპრულს და რძისფერს.

ვერცხლის შიბებით შევიმკობ გულმკერდს  
სიმღერას ვიტყვი ჯერ არ გაგონილს  
და ჩემს ხმას ცაში გატყორცნილს, ვიცი,  
ფრთებად გაჰყვება კვნესა გარმონის  
იქნება მზე და იქნება მთვარე,  
სუულ ყველაფერი იქნება ისევ...  
თმაწაკვეთილი შემდეგ მოსვლაზე.  
ასე სჯობს, ალბათ, რომ გავყვე ნისლებს.

# პოეტური თარგმანები

## Эмили Дикинсон

\* \* \*

Шепни, что осенью придешь –  
И лето я смахну,  
Как надоевшего шмеля,  
Прилипшего к окну.  
А если год придется ждать –  
Чтобы ускорить счет –  
Смотаю месяцы в клубки  
И суну их в комод.  
И если впереди – века,  
Я буду ждать – пускай  
Плывут века, как облака  
В заокеанский рай.  
И если встреча суждена  
Не здесь – в ином миру,  
Я жизнь сдору – как шелуху –  
И вечность изберу.  
Но мне – увы – неведом срок,  
И день в тумане скрыт,  
И ожиданье – как оса  
Голодная – язвит.

1862

## ემილი დიკინსონი

\* \* \*

ოღონდაც დაგცდეს, რომ დაბრუნდები  
შემოდგომაზე არ წახვალ არსად  
ზაფხულს მაშინვე ჩამოვიბერტყავ,  
შუშაზე მიმჯდარ კალიის მსგავსად.  
თუ მთელი წელი მომიწევს მოცდა,  
რა გაეწყობა, ველოდო უნდა,  
თვეებს დავახვევ ლამაზ გორგლებად  
და თავს კომოდის უჯრაში ვუკრავ.  
და, თუ მოლოდინს არ უჩანს ბოლო,  
დავმორჩილდები უსიტყვოდ იღბალს,  
წლებმა იცურონ ღრუბლის ქულებად  
ოკეანისკენ, ჰორიზონტს მიღმა.  
მაგრამ შეხვედრა თუ გვიწერია,  
იმ უცხო მხარეს, ცა რომ იყოფა,  
სიცოცხლის მერქანს მტვრად ჩამოვიშლი  
მივეახლები მარადისობას,  
მაგრამ დრო მაჯას ზურგსუკან მალავს  
და დღე ნელ-ნელა ჩრდილებს იცილებს,  
როგორ წააგავს ეს მოლოდინი  
კოლოს „მონოლოგს“ გულს რომ მიწვრილებს...

## Эмили Дикинсон

### Давай Забудем, Сердце!

Давай забудем, сердце!  
Ведь больше его нет.  
Ты позабудь его тепло,  
А я забуду свет.  
Когда закончишь, скажешь,  
Чтоб я могла начать,  
А то, пока ты медлишь,  
Я буду вспоминать.

## ემილი დიკინსონი

### გულო, მოდი, დავივიწყოთ

მოდი, იცი რა, დავივიწყოთ, ასე აჯობებს,  
ის აღარ არის, ასე მოხდა, არ ღირს გოდებად,  
შენ შეეცადე, რომ სითბო მისი, წარსულს მიანდო  
მე კი სინათლეს დავიბრმავებ, სულს რომ მოჰყვება  
ძალებს ვიკრებ და შეუპოვრად დავდგები, ვიცი  
როცა მორჩები, მითხარი უმალ, მინდა ვიცოდე  
თორემ ვიდრემდის ფეხს ითრევ და აჭიანურებ  
სულ თვალწინ მიდგას, მაგონდება და სულს მიშფოთებს.



## Роберт Фрост

### Другая Дорога

Скрещенье тропинок в осеннем лесу,  
Когда б раздвоился, я выбрал бы обе,  
А так – словно держишь судьбу на весу,  
Стоишь и глядишь сквозь сухую листву  
На ту, что теряется в темной чашобе.  
Я выбрал другую, – она посветлей,  
И мне показалась еще нелюдимей,  
Приятней на вид и трава зеленей;  
Хотя для того, кто проходит по ней,  
Отличия вряд ли уже различимы, –  
Их, если и были, укрыл листопад,  
Еще не примял его грубый ботинок.  
О, если бы снова вернуться назад!  
Но вряд ли решусь на сердечный разлад,  
На зов и соблазны бегущих тропинок.  
Со вздохом припомню, годы спустя,  
Как чаша весов в равновесье застыла:  
Тропинки скрестились в лесу, и я –  
Пошел по заброшенной. Может быть, зря...  
Но это все прочее определило.

1916

## რობერტ ფროსტი

### სხვა გზა

ტყე შემოდგომის. ორი ბილიკი ერთმანეთს ეკვრის,  
რომ გაიყაროს? ავირჩევდი, ალბათ, ორივეს...  
თითქოს ცხოვრების საწყაული მიჭირავს ხელში  
რიდით შევყურებ ხმელი ფოთლებით დაფენილ  
ბილიკს ფეხქვეშ რომ რიდით იკარგება ქარვისფერ ტყეში  
მე ავირჩიე უფრო ნათელი, შუქით ფენილი  
თითქოს არც არვის არასოდეს დაუდგამს ფეხი  
ნორჩი ბალახის ხასხასა მწვანემ მონუსხა თვალი  
გზაზე მავალი ვერც ერთი მგზავრი ვერცკი მიხვდება  
ბილიკებს შორის განსხვავების სადაა კვალი  
ორი ბილიკი, დაფენილი ხმელი ფოთლებით  
ჯერ რომ ნაჭდები მძიმე ლანჩის არ დასტყობია  
დავბრუნდებოდე, ნეტავ, უკან, შევცვლიდი რამეს  
ყურს მივუგდებდი გულში ატეხილ უცხო ფორიაქს,  
ხიბლს ცთუნებისას ნუთუ ოდეს დავენებდებოდი?  
ვერ გავბედავდი... ვერასოდეს.... ასე მგონია..  
წლები ჩაივლის და მხოლოდ მერე მეწვევა ფიქრი  
ბედის სასწორი, ო, როგორ უღვთოდ გაქვავდა მაშინ  
ქარვისფერ ტყეში ბილიკი ბილიკს ჩაეწნა თურმე  
მე უკაცური ავირჩიე სავალად ჩემთვის,  
იქნებ ამაო, იქნება მცდარი იყო ნაბიჯი  
მაგრამ რაღა დროს, ამ წლების მიღმა განა რა მეთქმის.

## Перси Биши Шелли

### Философия Любви

Ручьи сливаются с рекою,  
Река стремится в океан;  
Несется ветер над землею,  
К нему ласкается туман.  
Все существа, как в дружбе тесной,  
В союз любви заключены,  
О, почему ж, мой друг прелестный,  
С тобой мы слиться не должны? –  
Смотри, уходят к небу горы,  
А волны к берегу бегут;  
Цветы, склоняя нежно взоры,  
Как брат к сестре, друг к другу льнут.  
Целует ночь – морские струи,  
А землю – блеск лучистый дня:  
Но что мне эти поцелуи,  
Коль не целуешь ты меня?

1819

## პერსი ბიში შელი

\* \* \*

ნაკადულები მდინარეში ჰპოვებენ შვებას,  
მდინარეები თავს იხრჩობენ ოკეანეში,  
ქარი ფრთამალი დედამიწას შხუილით სერავს,  
ბურუსს კი სუნთქვაც არ შეუძლია ქარის გარეშე!  
სამყარო ფეთქავს ნეტარებით, ზეობს სიცოცხლე  
და სიყვარული უქცევია საზრისად თვისად,  
ხოდა მაკვირვებს – ასე რატომ გაგვწირა ბედმა,  
და ერთად ყოფნის სასწაული რას არ გვადირსა?  
მთის მწვერვალები ცის თავანზე ლაღად წვებიან  
ტალღები ნდობით აწყდებიან ქვიან ნაპირებს,  
თავჩაკიდული ყვავილები მალული თრთოლვით  
ერთურთს ელტვიან იდუმალ მზერით, ტვინს რომ აგირევს.  
ღამე ეშვება, ტრფობით ერთვის ზღვის ანც ხვეულებს,  
მიწას აკვდება დღის ნათელი, ვნება აყოლილს.  
მე რას დავემებ ამ სინაზეს, თუკი ვიცი, რომ  
აღარასოდეს გამაბრუებ შენი ამბორით.

## პერსი ბიში შელი

\* \* \*

ნაკადულები მდინარეებში ეძებენ შვებას  
მდინარეები ოკეანეს ნდობით ერთვიან  
ქარს, მონავარდეს უდარდელი ანცი სილადით  
ნისლი სინაზით და ალერსით ადევენებია  
ირგვლივ ყოველი სიყვარულით თრთის და ენთება  
თითქოს ყოველი, რაც გარს გვერტყმის, ტრფობის ფერია  
არ ვიცი რატომ, როგორ მოხდა, ნეტავ, ძვირფასო,  
მაგრამ ამქვეყნად ერთად ყოფნა არ გვიწერია  
მთებს ცადაზიდულს ცის სილურჯე თავბრუს დაახვევს  
ცელქი ტალღები, ქაფმორეულნი ნაპირს ელტვიან  
ყვავილი ყვავილს ტრფობით ეკვრის, ელაციცება  
უხმოდ ერთმანეთს სიყვარულში ეფიცებიან  
ღამე პირქუში ზღვის ტალღებთან ვნებას იგრილებს  
მიწას რიჟრაჟის ანგელოზი ნაზად მთხვევია  
მე რას დავემებ ჩემს მხურვალე ამაო ამბორს  
ბაგენი შენი თუკი მდუმარედ ეგებებთან.

## Вадим Шефнер

\* \* \*

А в старом парке листья жгут,  
Он в сизой дымке весь.  
Там листья жгут и счастья ждут,  
Как будто счастье есть.  
Но счастье выпито до дна  
И сожжено дотла, –  
А ты, как ночь, была темна,  
Как зарево – светла.  
Я все дороги обойду,  
Где не видать ни зги,  
Я буду звать тебя в бреду:  
«Вернись – и снова лги.  
Вернись, вернись туда, где ждут,  
Скажи, что счастье – есть».  
А в старом парке листья жгут,  
Он в сизой дымке весь...

1945

## ვადიმ შეფნერი

\* \* \*

ძველ პარკში სადღაც ხმელ ფოთლებს წვავენ,  
და ბინდისფერი იღვრება კვამლი,  
იქ, სადაც წვავენ გადამხმარ ფოთლებს,  
ბედნიერებას ელიან... ჩავლილს...  
ბედნიერების სასმისი თურმე  
დაცლილია და ქცეულა ფერფლად,  
შენ ჰგავდი ღამეს იღუმალებით,  
გარიჟრაჟივით ფეთქავდი თეთრად.  
მზად ვარ დაკბილულ ბილიკებს მივყვე,  
წყვდიადში, თუკი ბრძანა განგებამ,  
ოღონდ იყავი! შენს ბაგეთაგან  
თქმული ტყუილი არ მედარდება...  
დაბრუნდი ოღონდ! და მაგრძნობინე  
ბედნიერების სუნთქვა და ხიბლი,  
ცეცხლი აწვალებს გადამხმარ ფოთლებს  
და ბინდისფერი კვამლი თრთის ირგვლივ.

## Гумилев Николай

### О Тебе

О тебе, о тебе, о тебе,  
Ничего, ничего обо мне!  
В человеческой, темной судьбе  
Ты – крылатый призыв к вышине.

Благородное сердце твое –  
Словно герб отошедших времен.  
Освящается им бытие  
Всех земных, всех бескрылых племен.

Если звезды, ясны и горды,  
Отвернутся от нашей земли,  
У нее есть две лучших звезды:  
Это – смелые очи твои.

И когда золотой серафим  
Протрубит, что исполнился срок,  
Мы поднимем тогда перед ним,  
Как защиту, твой белый платок.

Звук замрет в задрожавшей трубе,  
Серафим пропадет в вышине...  
...О тебе, о тебе, о тебе,  
Ничего, ничего обо мне



## ნიკოლაი გუმილიოვი

\* \* \*

მხოლოდ შენს გამო და მხოლოდ შენთვის მინდა რომ ვწერო,  
და ჩემს შესახებ არ იყოს თქმული არც ერთი სიტყვა,  
ადამიანურ არეულ და მღვრიე ყოფაში  
შენ ფრთაშესხმული ძახილი ხარ მიწიერს მიღმა  
კეთილშობილი და უნაპირო ბუნება შენი  
რად მომაგონებს უძველეს ღერბებს გარდასულ დროთა...  
ნათელს რომ აფრქვევს და უშურველად ედება სულებს  
ყველა მიწიერ და აღმაფრენას დანატრულ ტომთა!  
თუკი მნათობნი შუქჩამდგარნი ამაყი მზერით  
ზურგს შეაქცევენ დედამიწას, განუდგებიან  
სანაცვლოდ, ალბათ, ორ ვარსკვლავად გაბრწყინებული  
შენი თვალები თამამად მნათნი ჩამოდგებიან.  
და, როცა ოქროს სერაფიმი ფრთა ფრთას შემოჰკრავს,  
საყვირს ჩაჰბერავს და უფლის ნებას გაგვიზიარებს,  
ჩვენ შენს მიტკლისფერ თხელ ხილაბანდს უსიტყვოდ გავშლით  
და ჩვენს თავს ზევით თავდაცვის ნიშნად ავაფრიალებთ.  
ხმა გაქვავდება! ხელს აღმართავს მყისვე განგება  
და სერაფიმი ცის ლაჟვარდში ჩაიკარგება!  
მხოლოდ შენს გამო და მხოლოდ შენთვის მინდა რომ ვწერო...  
და ჩემს შესახებ არ იყოს თქმული არც ერთი სიტყვა...

## Кочетков Александр

### Баллада О Прокуренном Вагоне

– Как больно, милая, как странно,  
Сроднясь в земле, сплетясь ветвями, –  
Как больно, милая, как странно  
Раздваиваться под пилой.  
Не зарастет на сердце рана,  
Прольется чистыми слезами,  
Не зарастет на сердце рана –  
Прольется пламенной смолой.

– Пока жива, с тобой я буду –  
Душа и кровь неразделимы, –  
Пока жива, с тобой я буду –  
Любовь и смерть всегда вдвоем.  
Ты понесешь с собой повсюду –  
Ты понесешь с собой, любимый, –  
Ты понесешь с собой повсюду  
Родную землю, милый дом.

– Но если мне укрыться нечем  
От жалости неисцелимой,  
Но если мне укрыться нечем  
От холода и темноты?  
– За расставаньем будет встреча,  
Не забывай меня, любимый,  
За расставаньем будет встреча,  
Вернемся оба – я и ты.

— Но если я безвестно кану —  
Короткий свет луча дневного, —  
Но если я безвестно кану  
За звездный пояс, в млечный дым?

– Я за тебя молиться стану,  
Чтоб не забыл пути земного,  
Я за тебя молиться стану,  
Чтоб ты вернулся невредим.

Трясаясь в прокуренном вагоне,  
Он стал бездомным и смиренным,  
Трясаясь в прокуренном вагоне,  
Он полуплакал, полуспал,  
Когда состав на скользком склоне  
Вдруг изогнулся страшным креном,  
Когда состав на скользком склоне  
От рельс колеса оторвал.

Нечеловеческая сила,  
В одной давилъне всех калеча,  
Нечеловеческая сила  
Земное сбросила с земли.  
И никого не защитила  
Вдали обещанная встреча,  
И никого не защитила  
Рука, зовущая вдали.

С любимыми не расставайтесь!  
С любимыми не расставайтесь!  
С любимыми не расставайтесь!  
Всею кровью прорастайте в них,-  
И каждый раз навек прощайтесь!  
И каждый раз навек прощайтесь!  
И каждый раз навек прощайтесь!  
Когда уходите на миг!

1932

## ალექსანდრ კოჩეტკოვი

\* \* \*

ო, რა მძიმეა ძვირფასო ჩემო, რა უცნაური,  
შეგრძნება მიწის და მარწუხების ფესვთა ხლართების,  
ო, რა მძიმეა გაპოზა ორად და განცდა ძრწოლის  
როცა მოწყვეტით, ბრმა სიბნელისკენ თავქვე ვარდები  
პირს არ შეიკრავს ჭრილობა ღია, ხახადაფჩენილს  
არ ეშველება გულს გადასერილს ღრმა ნაჭდევებად  
მდუღარე ლავა, მოხეთქილი გაარღვევს ჯგებირს  
და წმინდა ცრემლი სანუგეშოდ დაედევნება...

ვიდრე ვიცოცხლებ, ვიქნები შენთან, გჯეროდეს, გწამდეს!  
სული და სისხლი – მარადქამს ერთად – არსი, მთავარი!  
არ მიგატოვებ, ვიდრე განგება სულს ამომართმევს,  
სიკვდილ-სიყვარულს იმქვეყნად ერთი გზა აქვთ სავალი.  
რაც უნდა მოხდეს... დანამდვილებით გექნება, ვიცი,  
შეგრძნება სახლის და სიყვარული მშობლიურ მიწის...  
მაგრამ ვაითუ ვედარ დავუსხლტი სიბრალულს ბედკრულს  
სიცივე მომზრავს, ხედვას დამიხშობს ღამის წყვდიადი

ნუ შეშინდები, გჯეროდეს, გაყრას შეხვედრა შეცვლის  
დაგიბრუნდები, ღამეს ხომ მუდამ სდევს განთიადი  
გულს ნუ გაიტებ უფლის იმედად... იყავ მიმნდობი  
დამიბრუნდები, ყოვლად უვნებლად, ვიცი... მშვიდობით.  
მაგრამ ვაითუ უკვალოდ გავქრე ამ ცისქვეშეთში  
ვერცხლისფერ მტვერში გავციაგდე ციციქნა ნაპერწკლად  
მხურვალე ლოცვით შეგავედრებ უფალს ძვირფასო  
უკან სავალი ბილიკები რომ არ დაგებნას...

კვამლი ვაგონში ნებივრად იწვა და ირწეოდა  
მას ძილ-ღვიძილში უკრთოდა თვალთან ცრემლი მომწყდარი  
როდესაც ტანი აითრია მატარებელმა  
და ყრუ გრუხუნით ლიანდაგს მოსწყდა რკინის ბორბალი

მოსწყდა და ვაი.... ღრმა უფსკრულში ჩაინთქა, ჩაწყდა  
არ დაგიდევდა, ბედის ბრმა ჩარხი ბრუნავდა რისხვით  
არვინ დაინდო, ვერვინ დაუსხლტა ავადმომზირალ  
დამაყრუებლად მოზზორიალე ცხოვრების წისქვილს.....

ჩადულდა ერთად, ჩაიღვენთა ერთბაშად ყველა  
გაწვდილი ხელი ვიღაცას სთხოვდა ამოდ შველას.....  
ნუ მიატოვებთ, ვინც ძვირფასია და მართლა გიყვართ  
ნუ მიატოვებთ, ვისთვის სინაზე არ გენანებათ  
ვისი დაკარგვაც ფიქრშიც გაკრთობთ, თრთოლვით დაჰხარით  
და სიახლოვე იწვევს ჟრუნტელს და ნეტარებას  
ნუ მიატოვებთ მათ, ვინც გახარებთ, გტკივათ და გათბობთ.  
ყური მიუგდეთ მათ გულისცემას დღისით თუ ღამით  
მშვიდობით! უთხართ, მაშინაც თუკი ცოტა ხნით ტოვებთ  
მაშინაც, როცა გადიხართ გარეთ.... სულ ერთი წამით.

## Анна Ахматова

\* \* \*

Протертый коврик под иконой,  
В прохладной комнате темно,  
И густо плющ темно-зеленый  
Завил широкое окно  
От роз струится запах сладкий,  
Трещет лампадка, чуть горя,  
Пестро расписаны укладки  
Рукой любовной кустаря  
И у окна белеют пальцы  
Твой профиль тонок и жесток,  
Ты зацелованные пальцы  
Брезгливо прячешь под платок  
А сердцу стало страшно биться,  
Такая в нем теперь тоска  
И в косах спутанных таится  
Чуть слышный запах табака.

14 ноябрь 1912

## ანნა ახმატოვა

\* \* \*

ფერდაკარგული ფარდაგი ხატთან,  
გრილ სიჩუმეში სიბნელეს სძინავს,  
მწვანე ფოთლების მსხვილი არშია  
განიერ სარკმლის აჰკვრია მინას.  
ვარდების სიტკბო ამმაფრებს ყნოსვას,  
ჭრიალებს ლამფა, ძლივს რომ ანთია,  
ნაირფერადი ორნამენტებით  
ოსტატს რომ გრძნობით მოუხატია.  
სითეთრე მორცხვად ფეთქავს სარკმელთან  
შენი პროფილი მკაცრი და თლილი,  
დაკოცნილ თითებს ხილაბანდის ქვეშ  
მაღავ პირქუში და ამრეზილი,  
გულისცემაც კი გაჭირდა თითქოს  
გულში ჩაგუბდა სევდა უთქმელი  
დაშლილ ნაწნავებს მაინც შემორჩა  
თამბაქოს სუსტი, მკრთალი სურნელი.

## Анна Ахматова

\* \* \*

После ветра и мороза было  
Любо мне погрется у огня,  
Там за сердцем я не уследила,  
И его украли у меня  
Новогодний праздник длился пышно,  
Влажны стебли новогодних роз,  
А в груди моей уже не слышно  
Трепетания стрекоз  
Ах! не трудно угадать мне вора,  
Я его узнала по глазам,  
Только страшно так, что скоро  
Он вернет свою добычу сам

Январь 1914



## ანნა ახმატოვა

\* \* \*

ყინვით და ქარით მომზრალს, გათოშილს  
ბუხრის გიზგიზმა ტკბობა მაცალა,  
მაგრამ მივხვდი, რომ დაუკითხავად  
ვიღაცამ გული ამომაცალა...  
ახალწლის ღამეს სვამდნენ, ხარობდნენ  
ინამებოდნენ რტოები ვარდის..  
და გარინდული კუტკალიები  
ცარიელ მკერდში ეძებდნენ ადგილს.  
მნელი არ იყო იმის მიხვედრა,  
ვის წასცდა ხელი, ვიცნობდი თვალებს,  
თან შიში მკლავდა, რომ ამ ნაქურდალს  
დამიბრუნებდა თვითონვე მალე...

## Анна Ахматова

\* \* \*

Бесшумно ходили по дому,  
Не ждали уже ничего,  
Меня привели к больному,  
И я не узнала его  
Он сказал: «Теперь слава  
Богу И еще задумчивей стал, –  
Давно мне пора в дорогу,  
Я только тебя поджидал  
Так ты меня в бреду тревожишь,  
Все слова твои берегу,  
Скажи, ты простить не можешь?»  
И я сказала: «Могу»  
Казалось стены сияли  
От пола до потолка  
На шелковом одеяле  
Сухая лежала рука  
А закинутый профиль хищный  
Стал так страшно тяжел и груб,  
И было дыханья не слышно  
У искусанных темных губ  
Но вдруг последняя сила  
В синних глазах ожила:  
«Хорошо, что ты отпустила,  
Не всегда ты доброй была»  
И стало лицо моложе,  
Я опять узнала его  
И сказала: «Господи Боже,  
Прости раба Твоего»

Июль 1914

Слепнево

## ანნა ახმატოვა

\* \* \*

ჩუმი ნაბიჯები ოთახს აშფოთებდა,  
საშველი არ ჩანდა, სასწაულს ელოდნენ,  
სნეულის სარეცელთან ფრთხილად ჩამუხლულმა  
ვერაფრით ვიცანი, შეცვლილი ესოდენ...  
თვალი შემავლო და უფალს შეჰღაღადა,  
ფიქრმა დაუმძიმა სახე ნაწამები,  
ძლივსლა წამჩურჩულა: „შენი უნახავი  
გზას კი დავადექი, მაგრამ ვერ წავედი  
შფოთი ატეხილი ვერა, ვერ ჩავაცხრე,  
შენი სიტყვებია სულს რომ წეწენ, ცრიან,  
ნუთუ ველარ შესძლებ, ცოდვის მიტევებას?“  
ჩუმად ვუპასუხე: „ვფიქრობ ... შემძლია!“  
სხივი აციაგდა, მშვიდად აჰყვა კედლებს  
ჭერთან გაირინდა, როგორც ფიქრი... ისე...  
ხმელი მტევანი კი შვებით ისვენებდა,  
მზინავ აბრეშუმის საბნის ზედაპირზე.  
პროფილს გადაჩეხილს, გეშით მტაცებელის  
თითქოს ქვა ჩაუდგეს სითბოდაწრეტილი,  
სუნთქვართმეულნი, წამით გაირინდნენ,  
ლურჯი ბაგეები, სიმწრით დაკვნეტილი.  
მაგრამ უცაბედად შეკრთა, შეიმართა...  
თვალის სილურჯეში გასხლტა შუქი თბილი  
გმადლობ, მიჩურჩულა... რაღაც თითქოს მახსოვს  
ასე არცთუ ხშირად იყავ გულკეთილი!  
ნაკვებებს დავაცქერდი, ჰოი, საოცრებავ,  
უცებ ამომენტო სახე წარსულისა  
უფალს შევვედრე და ნდობით მივაბარე  
ზეცას გაფრენილი სული მონა ღვთისა.

## Анна Ахматова

\* \* \*

Тихий голос моей души – говорит мнеты – жить спеши  
... не печалься и не хандри... жизнь дается... а ты бери..  
ты возьми... этот теплый свет... где-то там его... просто нет.  
.. ты поймай... этот яркий луч... даже если он ... из-за туч..  
шелест листьев и детский крик – ты бери... и в себе храни.  
.. летний дождь... невесомый снег... ты бери..  
тихий плач и смех... и любовь – что тебе дана...  
ты испей её всю до дна....даже если придёт беда..  
ты возьми её навсегда... я спрошу у своей души – может быть  
... посидим в тиши? Улыбнется не зло она – ещё будет у нас тишина...

## ანნა ახმატოვა

\* \* \*

სულის ძირიდან ხმამ წამჩურჩულა  
ცხოვრება გადის, უნდა მოასწრო,  
მიიღე რასაც სიცოცხლე გაძლევს.  
ნუ დანებდები წუხილს უაზროდ!  
თბილ სხივს იოლად გვერდს ნუ აუვლი,  
სხვაგან ის, ეგებ, აღარც კი შეგხვდეს,  
ნურსად გაუშვებ სხივს მოკამკამეს,  
ღრუბლის მიღმიდან კიდეც რომ გდევდეს,  
მიუგდე ყური ფოთლების შრიალს,  
ბავშვების ყიჟინს, ცას რომ ედება,  
სული გაგითბოს ზაფხულის წვიმამ  
უწონელ თოვლის შემოფეთებამ.  
ჩუმი ტირილი, სიცილი ლაღი,  
ღმერთმა გარგუნა ნებით, თავისით,  
და სიყვარულის, ღვთითბომებულის  
დააპირქვავე სავსე სასმისი.  
თუ მწუხარება კარს შემოგიღებს,  
ისიც მიიღე მუდმივ მეგზურად...  
და მიუჩინე სადმე ადგილი  
სტუმართმოყვრულად და შენებურად.  
სულს ვთხოვე, იქნებ ჩუმად ჩამოვსხდეთ,  
ასე მომინდა... რაღაც... მე თვითონ  
ღიმილით მითხრა, არა ბოროტად,  
მაგას ისედაც მოვესწრებითო!

## Анна Ахматова

\* \* \*

Я научилась просто, мудро жить,  
Смотреть на небо и молиться Богу,  
И долго перед вечером бродить,  
Чтобы утомить ненужную тревогу  
Когда шуршат в овраге лапухи  
И никнет гроздь рябины желто-красной,  
Слагаю я веселые стихи  
О жизни тленной, тленной и прекрасной,  
Я возвращаюсь, лижет мне ладонь  
Пушистый кот, мурлыкает умильней,  
И яркий загорается огонь  
На башенке озерной лесопильный  
Лишь изредка прорезывает тишь  
Крик аиста, слетевшего на крышу,  
И если в дверь мою ты постучишь,  
Мне кажется, я даже не услышу

Май 1912  
Флоренция

## ანა ახმატოვა

\*\*\*

მგონი, სიდინჯე შემომეჩვია, სიბრძნე მესტუმრა  
რაღაც ხანგრძლივად ავყურებ ზეცას ჩუმი ლოცვაში  
სალამოს ბინდში შევეჩვიე დიდხანს ბოდიას,  
უცხო დარდი რომ გავიქარვო მარტოობაში.

ხევში ფოთლები შრიალებენ ჩუმი ჩურჩულით,  
დახრილ კუნწულას წითელ-ყვითელი ალერსით ლოკავს.  
მე ისევ დავწერ ხალისიან, მხიარულ ლექსებს,  
სიცოცხლის ჰიმნს და ამავე დროს სევდას რომ მოჰკავს.

სახლში კი მისულს მეგებება ფუმფულა კატა,  
და ჩემს ხელისგულს კრუტუნით ლოკავს ხორკლიან ენით,  
ხის ძველ სახერხთან ტბის მახლობლად კოხტა კომპურა  
შემომანათებს თავის ობოლ თვალს ნათელი მზერით.

და იშვიათად წეროს ძახილი გასერავს დუმილს,  
აწოწილ ფეხებს როს სახურავზე ორად მოკეცავს,  
ასე მგონია, ვერც კი გავიგებ, თუ მოხვალ ჩემთან  
და ჩემს კარებზე კაკუნს მოჰყვები თუკი ოდესღაც.

## Анна Ахматова

\* \* \*

Не будем пить из одного стакана  
Ни воду мы, ни сладкое вино,  
Не поцелуемся мы утром рано,  
А к вечеру не поглядим в окно.  
Ты дышишь солнцем, я дышу луною,  
Но живы мы любовьию одною.

Со мной всегда мой верный, нежный друг,  
С тобой твоя веселая подруга.  
Но мне понятен серых глаз испуг,  
И ты виновник моего недуга.  
Коротких мы не учащаем встреч.  
Так наш покой нам суждено беречь.

Лишь голос твой поет в моих стихах,  
В твоих стихах мое дыханье веет.  
О, есть костер, которого не смеет  
Коснуться ни забвение, ни страх.  
И если б знал ты, как сейчас мне любы  
Твои сухие, розовые губы!

Осень 1913



## ანნა ახმატოვა

\* \* \*

წყალს ჩვენ არ მოვსვამთ ერთი ჭიქიდან  
არც ღვინოს შევსვამთ ერთი სასმისით  
დილის ამბორი არ დასწვავს ბაგეს  
სარკმელთან ერთად ჩვენ არ დავიცდით  
შენ მზეს შეჰხარი, მე კიდე – მთვარეს  
მაგრამ სიყვარულს ერთს დავატარებთ  
გვერდით მომყვება ჩემი მეგზური  
მუდამ ნაზი და მეტად ერთგული  
შენ გვერდს გიმშვენებს ლამაზი ქალი  
სიცოცხლით სავსე და მომღიმარი  
ნაცრისფერ თვალებს შიში ბრმად სერავს  
ვიცი, შენს გამო დამიფრთხა მზერა  
შეხვედრებს შორის დრო არ მცირდება  
სულის სიმშვიდეს ასე სჭირდება  
შენი ხმა ფეთქავს ყველა სტრიქონში  
შენს ლექსებს ჩემი სუნთქვა დაათრობს  
მივიწყების თუ, შიშის ნესტარი  
ამ ცეცხლთან, ვფიქრობ, ვერას გააწყობს  
ნეტავ იცოდე, როგორ მაკლია,  
და მენატრება... ვერ ვეურჩები...  
ნაზი შეხება და სიტკბოება  
შენი ფერმკრთალი, მშრალი ტუჩების.

## Анна Ахматова

\* \* \*

Я пришла сюда, бездельница,  
Все равно мне, где скучать!  
На пригорке дремлет мельница.  
Годы можно здесь молчать.

Над засохшей повиликою  
Мягко плавает пчела;  
У пруда русалку кликаю,  
А русалка умерла.

Затянулся ржавой тиною  
Пруд широкий, обмелел,  
Над трепещущей осиною  
Легкий месяц заблестел.

Замечаю все как новое.  
Влажно пахнут тополя.  
Я молчу. Молчу, готовая  
Снова стать тобой, земля.

23 февраля 1911, Царское Село

## ანნა ახმატოვა

\* \* \*

ისევ მოვედი, მხრებდაშვეებული  
სევდას კარიბჭე ფართოდ გავულე  
გორაკზე ძილში კრთება წისქვილი  
აქ შემიძლია წლობით დავდუმდე  
გადამშრლ სკასთან ფუტკარი თითქოს  
უფრენდა დროით გადამხმარ ხურმებს,  
სირინოზს ვუხმე მდინარის პირას  
არ მიპასუხა... მომკვდარა თურმე...  
ჟანგი მოედო ბალახს აწოწილს.  
საგუბარს ირგვლივ ტანს რომ ირხევდა,  
და ათრთოლებულ ლერწმებს გადაღმა  
მსუბუქად მთვარემ გამოიხედა.  
ყველგან სიახლის დავლანდე კვალი,  
ვერხვის სურნელი თავბრუს მახვევდა,  
ვდუმდი და მიწის ველოდი ძახილს  
თავისკენ როდის დამიძახებდა.

Белла Ахмадулина

**СНЫ О ГРУЗИИ**

Сны о грузии – вот радость!  
И под утро так чиста  
виноградовая сладость  
осенявшая уста,  
ни о чем я не жалею,  
ничего я не хочу –  
в золотом Свети-цховели  
ставлю бедную свечу,  
малым камушкам во Мцхета  
воздаю хвалу и честь  
Господи, пусть будет это  
вечно так, как ныне есть!  
Пусть всегда мне будет в новость  
и колдуют надо мной  
родины родной суровость,  
нежность родины чужой!

1960

## ბელა ახმადულინა

### სიზმრები საქართველოზე

საქართველოა სიზმრად აღმხდარი,  
და სიხარულით სული ვერ ძღება,  
მზით გადამთვრალი ყურძნის მტევნისგან  
ტუჩებს ღვთიური სიტკბო ეღვრება.  
არაფერს ვნანობ, არც რა მინდა რა,  
განა რას ვითხოვ ამქვეყნად ამდენს,  
სვეტიცხოველის ოქროს ტაძარში  
პატარა სანთელს იმედით ვანთებ.  
მცხეთის კენჭებს და ქვებს მიმობნეულს  
პატივს მივაგებ, მივეახლები,  
როგორც დღესაა, ისევე დარჩეს,  
უფალო, შეგთხოვ, ეს ყველაფერი!  
დაე, ყოველთვის სიხარულს მგვრიდეს  
და ჯადოქრობის მნუსხავდეს წნები  
ჩემი სამშობლოს ცივი სიმკაცრის.  
და სხვა სინაზე შორეულ ქვეყნის.

## Юрий Левитанский

\* \* \*

Прохожу по рынку,  
словно иду сквозь годы.  
– Молодой человек, –  
окликают меня  
в цветочном ряду, –  
вот, пожалуйста, –  
замечательные хризантемы!  
– Мужчина, –  
взывает ко мне  
продащица фруктов, –  
посмотрите, какие персики, –  
специально для вас!  
– Папаша, –  
вопрошает меня  
девица,  
торгующая овощами, –  
не желаете ли капустки  
для свеженьких щец?  
А паренек по соседству  
кричит мне  
чуть не в самое ухо:  
– Дедуля,  
укропчика не забудьте,  
петрушечки  
не забудьте купить!  
И я малодушно,  
едва ль не бегом,  
возвращаюсь туда,  
где продают  
ненужные мне  
хризантемы,  
в тайной надежде  
снова услышать –  
молодой человек,  
молодой человек!

## იური ლევიტანსკი

\* \* \*

მივეყვები დახლებს

თითქოს ცხოვრების მივდევ დერეფანს,

– ე, ბიჭო, მოდი, – მომძახის ვიღაც და სვლას არ მაცდის,  
მიახლოვდება მოულოდნელად სწრაფი ნაბიჯით  
და ულამაზეს ქრიზანთემას ხალისით მაწვდის.

„მომხედეთ აქეთ, ბატონო ჩემო“,

– მომმართავს ქალი, მოვაჭრე ხილით,  
ქარვისფერ ატმებს მთავაზობს გულით:

«სწორედ რომ თქვენთვის დავკრიფე დილით!»!

ნორჩი გოგონა შემეყურებს რიდით,

ყიდის ბადრიჯანს, ხახვსა და ბოლოკს,

– ბიძია, ალბათ, გჭირდებათ რამე...

იქნებ, კომბოსტო ხელს გააყოლოთ...

პატარა ბიჭი ყურში ჩამძახის:

„ჰე, ძია-კაცო“, სიტყვა მაშეშებს,

არ დაგავიწყდეს „პეტრუშკა“, კამა...

სახლში ნუ წახვალ ქინძის გარეშე...

მე კი გავრბივარ სულმოუთქმელად,

სულმოკლედ, თითქოს მიწა იწვოდეს...

ქრიზანთემებთან – თუმც არ მჭირდება,

მაგრამ იქ!!! სადაც „ბიჭი“ მიწოდეს.

## Роман Чаблатов (Роман Ангелис)

\* \* \*

Научи меня жить, по дыханью, по нотам,  
Без суждений и боли, падений и взлетов.  
И в густой суете прошепчи мое имя,  
Чтоб на сердце усталом расплавился иней...

Научи меня жить, губ, касаясь губами,  
Чтобы стало прочней все, что есть между нами.  
Разжигая огонь, не бояться пожара –  
Мы с тобою вдвоем, мы с тобою недаром...

Научи меня жить, я тебе доверяю  
Это сердце, а в нем – чем дышу, чем страдаю.  
Позови меня вдаль, где никто не услышит,  
Там, где ветер седой вдохновением дышит...

Научи меня жить, научи, ты же можешь,  
И я стану другим, сбросив старые кожи.  
Разобьются века о тяжелые своды,  
Но мы будем вдвоем оживать год за годом...

Научи меня жить, обними еще крепче –  
И забудется все, и дышать станет легче...  
Я не знаю, что там, за завесою будет,  
Но я буду любить...  
Как бы путь ни был труден...  
Научи меня жить.



## რომან ჩაბლატოვი

### მასწავლე, როგორ უნდა ვიცხოვრო

მასწავლე, როგორ უნდა ვიცხოვრო,  
თრთოლვით, ფაქიზად, ნაზი ნოტებით,  
მიღმა დაცემის და აღმაფრენის  
მწარე ტკივილის და შეშფოთების.  
გთხოვ, ყოველდღიურ ნაცრისფერ კვამლში  
ჩუმად წარმოთქვა სახელი ჩემი,  
რომ გულს დაბზარულს სალბუნად ექცეს  
მოედოს შვების კორიანტელი.  
მითხარი, როგორ უნდა ვიცხოვრო,  
ბაგე ბაგესთან – ნეტარი გზნებით,  
რომ ყოველივე, რაც არს ჩვენს შორის  
შეიკრას მტკიცე, ურყევი ნებით!  
ნუ შეგაშინებს შეშის ტკაცუნი,  
ცეცხლის ენები ყალყზე დამდგარი  
ნურც ის დაგაფრთხოვს, თუ უცაბედად  
აბრიალდება ცამდე ხანძარი.  
გჯეროდეს! თუკი ახლა ვართ ერთად  
ღმერთმა ტყუილად არ შეგვახვედრა!  
მასწავლე, როგორ უნდა ვიცხოვრო...  
მე შენ გენდობი – ჰა, ჩემი გული!  
იქ კი... მიხვდები, რა დულს, ტრიალებს  
თუკი რამ დამრჩა იქ დაფარული...  
გამიხმე სადმე... შორს. შორს აქედან,  
სად ვერცხლისფერი ფერი აქვს ზეცას,  
სად შთაგონებით დაღლილი ქარი  
თავის ნისლისფერ დალალებს წეწავს.  
მჯერა, რომ შეგწევს ძალა... სამყოფი  
და მაშინ ნახავ საუკუნეებს  
მაღალ თაღებთან პირქვე დამხობილს  
ჩამოვიბერტყავ ძველ მერქანს უმაღ

ვერც კი მიხვდები ჩვენს თავს რა ხდება...  
ვიქნებით ერთად... ჩვენ ორნი... მარტო  
სულში სიცოცხლე ჩაგვისახლდება.  
მასწავლე, როგორ უნდა ვიცხოვრო,  
გულში ჩამიკარ, რაც კი ღონე გაქვს!  
და ნახავ, სუნთქვაც უმაღვე ჩათვლემს  
ფიქრს გაუფანტავს მყისვე გონებას.  
არას დავეძებ – რა არის იქით,  
იმ ყრუ ზღვარს მიღმა, ...იყოს, რაც გინდა  
მაგრამ ის ვიცი, რომ მეყვარები,  
რომ მეყვარები და ამ გზას წმინდას  
სავსე ტკივილით, ეკლით და ღორღით  
მაინც გავივლით შენ და მე... ორნი...  
მასწავლე, როგორ უნდა ვიცხოვრო...

# ჩანახატები

## სახურავები

სახურავი... სწორი და დაფერდებული, შიგ ჩატანებული მაკვარანცხი ფანჯრებითა თუ სარკმლებით, ზღაპრის შეგრძნებას რომ ბადებს, ზოგან შეფრენილი მამლებით თუ სხვა ფრთოსნებით, ზოგან კი ამოჩრილი სატელევიზიო ანტენებითა თუ გაჭვარტლული საკვამურებით... მიყვარს სახურავებზე ზემოდან ყურება, დიდი წითელ-წითელი პირგაშლილი კრამიტებივით რომაა გაბნეული ქალაქში, ღამით კი ანთებული ფანჯრების ყურება, შიგ შეჭყეტა ნაკლებად... მაგრამ თავისთავად რომ იქ სიცოცხლეა, ეს იმედს და სასიამოვნო გრძნობას ბადებს. მიყვარს ნეილონის ძველი ფარდებიც... ძველი აბაჟურები... მათ შუქზე მოგოგმანე გადიდებული ჩრდილები რომ მოძრაობენ, ამ დროს შემოდლია დიდხანს, დიდხანს ვიჯდე ხმელი ფოთლებით სავსე ბაღში და ვუყურო ამ ჩრდილების სახელდახელო თეატრს და ვიფიქრო და ვიფიქრო... ამ ფიქრებს კი აუცილებლად გამოჰყვება თბილი და კეთილი ცრემლი, რომელიც გულს შვებას მისცემს და აუცილებლად სადმე თბილ თაღში შეგკუჭავთ.

12 წლის ვარ. ისევ ბაზა, ისევ ბაკურიანი.

- სტუკ, სტუკ!

- რა სტუკ, სტუკ... მე მოგასწარი! იმ ხეზე არ იჯექი? (ამ ხეზე დაახლოებით 25 წლის შემდეგ ისევ ავძვრები და დიდხანს ვიქნები ტოტზე ჩამომჯდარი. ბელადიმე ამომხედავს და მისთვის ჩვეული მაკვარანცხი ღიმილით მკითხავს: „რამდენი ხანი უნდა იჯდე მანდ, მანდ რას აკეთებ?“ მეც ჩამოვხედავ და გულწრფელად ვეტყვი: „ბავშვობის ნაკვალევს დავსდე“.

„მერე ეგ ნაკვალევი ქვემოთ არ ჩამოდის, თუ როგორაა შენი საქმე“ გამეცინება).

- ვიჯექი... მერე?

- მერე ის, რომ დაგინახე და დაგასტუკე...

- ნუ ჟილკობ...

- არაფერსაც არ ვჟილკობ.

ვიდაც ჩამორღვეული აუზიდან მორბის, ბნელდება და გარჩევა ჭირს.

- ბავშვებო.... ძილის დროა....
- მოიცა რა, დე.... კიდეც 20 წთ.
- გვიანაა, ამოდით...
- ხო, გავიგეთ.

მე სახლის სახურავზე ვწევარ... ეს ხმაური ხელს სულაც არ მიშლის, მეც ვიმალები, მაგრამ, ისეთი შავია და ისეთი შორია ეს უკიდევანო ცა და ისეთი სავსე ვარსკვლავებით ახალწლის სათამაშოებივით რომ ბრჭყვიალებენ... ციმციმებენ... ტყიდან მონაბერი ნიავი საბნად გეფარება, მაგრამ გრილია და ეს სიგრილე ძვალსა და რბილში ატანს... არა, სახლში ავალ, დავლევ ცხელ ჩაის... იქნებ, დედას დეიდა თამარას გამომცხვარი ნაზუქიც შემორჩა... სიტყვა „დიეტა“ მეტად უცხოდა და არასაჭიროდ ჟღერს. ნაძვის კენწეროები რაღაც ავისმომასწავებლად იმზირებიან. „შავი ხელი“ მახსენდება... ნაბიჯს ვუმატებ...

დილას კი ეს ტოროლა მანჯავიძე დამადგება და დაიწყება: „პადიოლომ“: აჩიმ დორე დოიდორე ყუმ ჯელა იარო...

ან „შოლ ოდინ ვერბლიუდ, ჯიმზარიბარიბარი ჯიმზარიბა“... მანამ არ გაჩერდება, ვიდრე ყურებს და ტვინს არ გაგიხვრიტავს „ვერბლიუდების“ რაოდენობის გაზრდით. ზურგს ვაქცევ და მინდა ამ ვერბლიუდომანიისგან ყურთასმენა დავიხშო, მაგრამ გაგიგონია? არც დაყვირება ჭრის და არც ბალიშის სროლა... რა გაეწყობა, უნდა ავდგე.

16 წლის ვარ. სახურავზე. კრამიტი. მზით გამთბარი და მისი სურნელით გაჯერებული. ცა ცოტა მიახლოვდება, აქა-იქ კრამიტებს შორის რაღაც ბალახია ამოჩრილი და მგონი ყვავილიც ყელყელაობს. არა... სურნელი არ აქვს... ან რა სურნელი ექნება, მზემ ამოუშანთა გული, გონებაც და სულიც. ფეხზე ძლივს დგას და თავს აქანქალებს...

რა კარგია სახურავზე გულდადმა წოლა და ყურება. თან სახურავიდან მისი ოთახის ფანჯარაც ჩანს... სინათლე ანთია...

ნეტავ, რას აკეთებს ახლა.... მეცადინეობს? მეტი არაა ჩემი მტერი. ჯერ არ არსებობს მობილური, თორემ დარეკვა და ხმის მოსმენაც ხომ შეიძლებოდა. ხვალ კი ისე ჩაუვლი, თითქოს სულაც არ გაინტერესებს და, როცა რაღაცას გკითხავს, აგდებულად უპასუხებ, თვალეშიც კი არ შეხედავ, ვითომ სულერთია, სინამდვილეში კი არ შეხედავ, რადგან შეგეშინდება, თვალეშა არ გაგთქვან.

ზურგზე წვები და ოცნებობ. ახლა ცა სხვანაირია, ვიდრე 5 წლის წინ. ახლა ცისთვის იმდენად არ გცალია, როგორც მაშინ.

ირინას თედო უყვარს, ეს იცი.

- თედოოოოოო.... - ყურში ჩაგესმის ირინას ხმა, - ცალხა-ზიანი რვეული გააქვს?

- არა! - პასუხობს თედო

- გინდა ამოგიტან...

სიცილით კვდები და ფიქრობ: „ახლა რომ დავურეკო და ვკითხო იგივე, რას მეტყვის“... რას მეტყვის და, გაცეხული შემომხედავს თავისი განმგმირავი მზერით და გადაწყვეტს, რომ გავგიჟდი. ნეტაი, ვის რაში სჭირდება. „ნეტაი ერთი“.

ფანჯარაში სინათლე ქვრება... დაიძინა. შენც ჩამოდიხარ სახურავიდან. ცხოვრება ინტერესს ჰკარგავს.

მე 54 წლის ვარ.

მძიმედ, მაგრამ მაინც ავდივარ სახურავზე. კიდესთან მისვლას ვუფრთხი, მეშინია სიმაღლის, რაღაც თავბრუსხვევის მსგავსი მეწყება. რამ მომანდომა აქ ამოსვლა... სულ მგონია, რომ კარნიზს როგორც კი შევეხები, გაირღვევა და სულ სრიალ-სრიალით ჩავუქროლებ სართულებს, თან გზადაგზა ჭრელა-ჭრულა ტანსაცმელს მოვხვეტ და ბოშა ქალივით შემოსილი ვიღაცას მოვუსწრაფავ სიცოცხლეს, ჩემზე რომ არაფერი ვთქვა...

ის სახლი რახანია დაანგრის, ახლა იქ სამორინეა... ეს უკვე აღარაა საინტერესო. ბინდება. ისევ ინთება ფანჯრები და ციალი ისევე მიზიდავს, როგორც 42 წლის წინ, ვწვები, უფრო სწორედ, კარგად ვთავსდები ბრტყელ სახურავზე და ცას ვუყურებ,

რომელიც ახლა უფრო ახლოს მეჩვენება. აქა-იქ ინთებიან ვარკვლავები, თითქოს უფალი ღილაკს აჭერს და სათითაოდ რთავს ნათურებს, რატომ აღარაა ისე დახუნძლული ცა ვარსკვლავებით???? იქნებ, ღრუბლები ფარავენ ცას... იქნებ, ვიღაცას დასჭირდა, ჩამოკრიფა და ახლა წინსაფრის კალთაში ჩაყრილს გამჭვირვალე გრძელ სიმზე მიძვებად ასხამს.... ვინ იცის... ახლა ვწევარ და ვისვენებ... ახლა ვწევარ და ვიგონებ და ვუსმენ მოგონებებს, მათ ხომ თავისი ხმაური მოჰყვებათ და სურნელი დასდევთ. ვვოცნებობ? კი... მაგრამ რატომღაც ამის აღიარება მრცხვენია.... ცა ისე ახლოაააააააა... თან რაღაცნაირად თითქოს გაცვეთილი.... მაგრამ რაღაცნაირად თბილი....

მე 84 წლის ვარ!

არა, ჯერ არა... მაგრამ მალე....

მაშინ ცა მთლად ახლოს იქნება ჩემთან... იმდენად, რომ სასურველ ვარსკვლავს ხელსაც შევაკლებ, მოვწყვეტ და მკერდთან ჩავიცურებ.... რომ მთბილოდეს....



## ოთახი

ოთახი, მოგრძო და არცთუ ძალიან ვიწრო. ფანჯრები აქა-იქ აქვს დატანებული, აცაბაცად, ხანდახან გადახედვა რომ გინდა და ვერც კი სწვდები, რა უცნაურადაა ეს ყველაფერი დაპროექტებული.... იატაკი – ქვიშაყრილი, არც ხითნაგები ფიცრული... თითქოს მშენებლობა დაუსრულებელი დარჩენიათ, კედლები ხორკლიანია და ალაგ-ალაგ წვეთავს, ჭერი მაღალია... ადრე მოხატული უნდა ყოფილიყო.... ძნელია გარკვევა... მოცისფრო ფერი კრთება ალაგ-ალაგ. აქა-იქ ოქროსფერი, უფრო სპილენძისფერი გაისრიალებს უხსენებელივით და იკარგება... დამტვერილი დიდთავიანი ნათურები ძველმოდურ, თითქოს ნაჭრის გადაჯვარედინებულ მავთულებზე უიმედოდ კონწიალებენ, შუმის წირპლიან თვალებს დამაბულად ჭუტავენ, რომ იატაკზე უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილ ნამტვრევებს შორის რაიმე საინტერესო გამოარჩიონ. ამ დერეფანში მხოლოდ ფეხშიშველი შეიძლება შემოსვლა... ყოველგვარი სამკაულის გარეშე... კარს ძველ საღებავგადაცლილ ურდულს ჩამოხსნი, მძიმე გასაღებს გადაატრიალებ და კარიც იოლად დაგყვება, თუ ბოლომდე გააღებ, ერთი გულიანად შეიძლება ამოიხვნეშოს და ისევ ჩათვლიმოს მორიგ ადგილმონაცვლეობამდე.

ფეხსაცმელს ვიხდი... ფრთხილად ვაბიჯებ... საკმარისია რაიმე ნამტვრევს წამოკრა ფეხი და ოთხ-ხუთ ადგილას გადაგასკდება კანი და სისხლი წვრილ წითელ ნაკადულებად შეერევა ცემენტმოყრილ იატაკს. როგორი ბასრი კიდეები აქვს თითოეულ ნატეხს, როგორ მწარედ და დაუნდობლად გჩხვლეტს, თითქოს ფეხს კი არა, გულს გიპობს. წელში სწორდები და თავაწეული მიაბიჯებ. ძველ უსარგებლო ლანდებს ასაკეცი სკამებივით აყუდებ ხორკლიან კედლებზე და წინ მიიწევ, მაგრამ საით. საქმე ისაა, რომ ყოველ ნატეხს სული აქვს, მიძინებული, მაგრამ სული და მათი გამოღვიძების ძალიან მეშინია. ჰაერი გუბდება, ოფლის წვეთები სახეზე და ზურგზე იწყებენ სრიალს, ქვემოთ ცვივიან და ვერცხლისწყლის ბურთულებივით ანცი კიაფით თავს ნაცრისფერ ფერფლისმაგვარ ქვიშას უხერხულად



ერევიან ან ნამტვრევებს შორის იმალებიან. სუნთქვა მიჭირს. სარკმლიდან მზის ირიბი შუქი შემოდის, ვერ ვწვდები, რომ გავაღო. უკან ვიყურები, მზის შუქი თვალს მჭრის და ისეთი გრძნობა მეუფლება, რომ კარი თავის ადგილას აღარაა.... გაქრა... გულის ძგერას ყელში ვრძნობ და პირში სისხლის მჟავე გემო გუბდება. ვბრუნდები და ოთახში შემთხვევით შემოფრენილი ჩიტივით ვაწყდები კედლებს. აღარაფერს დავეძებ, კი არ გავრბივარ, მივფრინავ, ქვიშაზე კი სისხლიან ნაკვალევს ვტოვებ. კარი ადგილზეა... ის მშვიდად და დარბაისლურად იღება და ჩემს უკან მძიმედ, ხმაურით იკეტება. დიდი გასაღები ღრიჭოში ისვენებს. 2 ბრუნს ვაკეთებ და გასაღებს ფანჯრიდან შორს, შორს ვისვრი... „ტყლუმპ“ – მესმის მოგუდული ხმა... აშკარაა, წყალში ჩავარდა სამუდამოდ. კიბეზე ჩასვლას ვაპირებ და უცებ ვშემდები.... ოთახიდან სიცილი ისმის... გამოვადვიძე.... სულები...

## ასეც შეიძლება მოხდეს...

აირღუმელის კარი უკვე მესამედ ხმაურით დაიხურა – ნეტა, რა ვერ გაათბეს ამდენ ხანს? – ბარბარემ საწოლში ადგილი იცვალა.

– ბომ... გაისმა ისევ აირღუმელის ხმა და ხრიგინით რაღაც გამოაცურეს თეფშით. ბარბარემ დიდი ბალიში წაიფარა თავზე... მაგრამ გაექცა ძილი... გულალმა დაწვა და ჭერს ახედა. ბზარმა ცალკბად გაუღიმა. რა ამინდი იყო გარეთ ვერ გაიგებდი. სამზარეულოში ანთებული ნათურა ფანჯრის ბნელ შუშაში ყვითლად ირეკლებოდა. ვიღაცამ მძიმედ ჩაირბინა კიბე და უცებ შედგა. „ისევ დაავიწყდა რაღაც“, – გაუელვა ბარბარეს. კარმა გაიჭრიალა და სინათლეც ჩაქრა. სახლში სრულმა სიჩუმემ დაისადგურა. ბარბარემ გვერდი იცვალა.... ხმები ისმოდა... ადამიანები არ ჩანდნენ. კარებები ფრთხილი ხმაურით იღებოდა და იხურებოდა, ხმები სუნთქავდნენ, მხიარულობდნენ, რაღაც გაურკვეველ ენაზე საუბრობდნენ, ისმოდა, სიცილი, ხანდახან ხარხარში გადასული და ეს ხარხარი იმდენად ხმამაღალი და შემაწუხებელი იყო, რომ ბარბარე ძალაუნებურად ყურებზე ხელს იფარებდა და ცდილობდა, ამ ადგილებს რაც შეიძლება მალე გასცლოდა. ხანდახან ეს ხმაური მთელი დღე უზუზუნებდა ყურებში და მოსვენებას უკარგავდა, ამიტომ ცდილობდა ყურსასმენებით ევლო და საყვარელი მუსიკისთვის მიეგდო ყური.... დადიოდნენ ქუჩებში მობილურები, ყურსასმენები, ავტობუსები



და ხმები... საათი არ რეკავდა... თითქოს დრო გაჩერდა. მზის სხივმა ხელის ერთი დაქნევით გაკვეთა რიჟრაჟის დაჭიმული წვრილი ბადის ფარდა და ბელურებს ასაჟიჟივებლად ნიშანი მისცა... მუცელდაბერილები უცბად დაჯგუფდნენ და სჯა-ბაასი გამართეს... შაშვებიც თავიანთი დღის განრიგის გარკვევას შეუდგნენ. ბარბარეს თბილისელი ბელურები გაახსენდა, გაელიმა. რიგები ხაჭოზე და „სიროკებზე“, მონეტებივით ვერცხლისფერი და ოქროსფერთავსახურიანი მაწვნის განიერპირიანი ბოთლები, ან მამედას წოდორეთიდან ვირით ჩამოტანილი მაწვნის ქილები, გაზეთ „კომუნისტის“ თუ „ლილოს“ დაგრეხილი სახურავებით გადაკრული... „ტაჩი, ტაჩი“... დანებისა და მაკრატელის მღესავის გამაყრუებელი ყვირილი, ან „სტეკლო სტავლიაუუუუუუ“ მემუშე მუსტაფას ომახიანი შემახილი, მხარზე მუყაოს მონახევით გადებული დიდი შუშით რომ აახმაურებდა ეზოს... ბავშვობაში ყველაზე სულისშემძვრელი „პლომბირ სტაკანჩიკი მაროჟ-ნიეეეეეეეეეეეეეეეეეე“ და „დეეეეეეეეეეე, 20 კაპიკი გადმომიგდეეე“ – ბავშვების მიწიდან მოულოდნელად ამოხეთქილი შადრევანივით ავარდნილი ძახილი და ცვიოდა და რას ცვიოდა რვასართულიანის აივნებიდან ხურდა ფული. მზეზე აბრჭყვიალებულსა და მიწაზე მიმოზნეულს რა თავგამეტებით დაემებდნენ ხოლმე ბავშვები... ან „ბორია გადაეტ, ბორია გადაეტ... (ეს მოგვიანებით... გაწვრთნილი თუთიყუში სიგარეტის ქალაღდში „გამოკვართულ ბედისწერას“ რომ გაამრობდა) პედრო, პედრო“... და ფაშფაშა ბოშის ქალები, მოხტუნავე, ბოლოში რეზინწაბმული ჭრელაჭრულა ბურთებით და ბავშვების გაუთავებელი ღწავილი: „დე... მიყიდე რაააა“... ჭრელბოლოიანი ქურთის ქალები, გრძელტარიანი ხმელი ცოცხებით, დილაადრიან რომ მოედებოდნენ ქალაქის ეზოებს და ხვეტდნენ და ხვეტდნენ... აი, იქ ადამიანები ახსოვდა ბარბარეს, თითქმის ყველას სახე... ყველას იცნობდა, ესალმებოდა და ყველას თითქოსდა რაღაც უხაროდა და გულწრფელად უღიმოდნენ ერთმანეთს... ისე... მართლა ახსოვდა, თუ სიზმრად ნახა ეს ყველაფერი... ესეც ხომ შეიძლებოდა მომხდარიყო... აქ კი ვერ ხედავდა სახეებს, მხოლოდ ხმები ესმოდა... მანქანამ ჩამოიარა და ქუჩა „მოაპილესოსა“... მანქანების კარებები იღებოდნენ და

იხურებოდნენ, სადღაც უჩინარდებოდნენ საშინელი სისწრაფით. ქუჩებში ისმოდა ლაპარაკი და მანქანის ნერვიული სიგნალების, ფეხის სწრაფი ნაბიჯის ხმა, მაგრამ ადამიანებს ვერ ხედავდა ბარბარე. ცარიელი იყო ყველაფერი და უცნაური... არა, არ ეშინოდა... იქნებ, შეშინებოდა კიდეც მალე... მაგრამ ჯერ არა... კარზე ვილაცამ დარეკა... ბარბარემ წაუყრუა, არავის ელოდა... საერთოდ... თან ასე დილაუთენია... წამოიწია და მიაყურადა, კიდეც გაისმა ზარის ხმა. ხელები აჩქარებით უკულმა გადმობრუნებულ ხალათში გაჰყო და კიბეებზე დაეშვა... ფიქრით „ამანათია, ალბათ“. კარს მიღმა სრული სიჩუმე სუფევდა. ბარბარემ კარი გააღო. ადამიანი იდგა. სახე არ უჩანდა. მუქი ტანისამოსი ეცვა... თხელი იყო... გამხდარი „მათხოვარია, ალბათ“, – ჯიბეები მოიქექა. – „ერთი წუთით“, – უთხრა ფრთხილად და უკან შებრუნდა. დაბრუნებულს კართან არავინ დახვედრია, გარეთ გავიდა, მიმოიხედა... არავინ იყო... ისევ იკეტებოდა მანქანის კარებები და ყავის მუყაოს ჭიქები, მობილურები, ყურსასმენები და მანქანები სერავდნენ ქუჩებს. ვილაცამ დაამუხრუჭა, გაისმა დედის გინება... ვილაც დაეცა...

– Are you OK? – რიგითი და ყველაზე კარგად ცნობილი შეკითხვა... ქუჩაზე სისხლმა გამოჟონა... მილიციის და სასწრაფოს მანქანები კვილით შეჯგუფდნენ. საკაცემ რაღაც თუ ვილაც წაიღო. 15 წთ-ში ყველაფერი მიწყნარდა და ისევ იმავე ტემპში ამომრავდა ქუჩა... ისევ ყურსასმენები, მანქანის ხმაური, ყავის ჭიქები, მობილურები... ბარბარემ ხალათზე ქამარი შემოიჭირა და სახლში შემობრუნდა. ფეხსაწმენდზე გამჭვირვალე ბურთი იდო, წახნაგებით. აი ისეთი, ბავშვობაში შუშის მძივები ხომ შეგხვედრიათ, ცალთვალმოჭუტულს გაგიხედავთ კიდეც და სხვადასხვა ფერის სხივების გარდატეხით კარგადაც შეგიქცევიათ თავი, მაგრამ უფრო მსხვილი იყო. ნახევარი კვერცხისოდენა. ასეთი წვრილი მძივებითაა მოკაზმულ-გაფორმებული ხოლმე ბალერიანების კაბები... ო, როგორ აბრმავებს ხოლმე თვალს და რა საოცარ სამყაროში გადაისვრის მნახველს. ბარბარე დაიხარა და ბურთი ხელის გულზე დაიგორა. უცნაურია, თბილი იყო და სრულიად

გამჭვირვალე. ბურთი დაბზრიალდა, გადაგორდ-გადმოგორდა და შედგა, თითქოს თავისი ნიშა იპოვნა, ბილიარდის ბურთივით. ბარბარეს ხელი ჰაერში გაუჩერდა... კიდეც ერთხელ მოავლო თვალი იქაურობას... ვინმემ ხომ არ დაკარგაო, მაგრამ მიმბნელი არავინ ჩანდა. მხრები აიჩეჩა და სახლში შევიდა. უჩვეულო ბურთი სამკაულების იისფერი შუშის ლამბაქზე დააგორა და საწოლში შეწვა... „ტმც“ – გაისმა ხმა... თითქოს ბროლის ჭიქას შუშის ჩხირი შემოკრეს. ბარბარემ ხელი ბალიშის ქვეშ შეაცურა, მოხერხებულად მოკალათდა და თვალეები დახუჭა... „ტმც... ტმც“... თითქოს ვიღაც მხარზე თითებით ეხებოდა და ყურადღების მიქცევას ცდილობდა. ბარბარე წამოჯდა... ყველაფერი ძველებურად იყო... მაგრამ მის გარდა ოთახში აშკარად ვიღაც თანაარსებობდა და ეს არ იყო მარტო ხმა. ბარბარე წიგნს გადაწვდა, სანიშნი ჩამოაცურა და უცებ „ტმც“ – ისევ სამკაულების თეფშზე დაგორებული გამჭვირვალე ბურთი თითქოს ფორმას იცვლიდა, ბრჭყვიალებდა და სიცილით კვდებოდა. ბარბარემ იგრძნო, როგორ წაეყინა ფეხის თითები და კუთხისკენ გაიწია... ბურთი ახლა ლამბაქს მოსწყდა და საოცარი სისწრაფით დაიწყო ოთახში სრიალი. მერე კარის ღრიჭოდან სხვა ოთახებშიც გასხლტა და სიცილით გააყრუა იქაურობა. სახლმაც თითქოს ენა ამოიდგა... ბარბარე დაედევნა და დაჭერა სცადა. ხელი გაუწოდა და ბურთიც მორჩილად დაუგორდა ხელისგულზე. ბარბარემ ორი თითით აიღო ბურთი, ცალი თვალი მოჭუტა და მზეზე გახედა... უამრავი სხივი გადატყდა და ბარბარემ ადამიანები დაინახა, როგორც თავის ძველ ქალაქში... დაინახა და მერე ეს ყველაფერი ისევ დაიბინდა, რადგან ცრემლი უშლიდა ხედვას, „ტმც“ დაიძახა ისევ ბურთმა და ხელიდან დაუსხლტა. დაჰქროდა, ამტვრევდა შუშებს, ქვემოთ ყრიდა ნახატებს, ერთი ფინჯნიდან მეორეში ხტებოდა, ფარდებს უკან იმალებოდა, აწყდებოდა ჭერს და კედლებს. ბარბარე გაოგნებული შეჰყურებდა და მაგრად, მაგრად ხუჭავდა თვალეებს იმ მოლოდინით, რომ გამოელვძიებოდა. მაგრამ ეს არ იყო სიზმარი... ცის სილურჯე ისეთი ღრმა გახდა... ყვავილების ფერები ისეთი მამდარი, სხვანაირად უსმენდა გარედან შემოსულ ხმაურსაც და ადამიანის ხმებსაც. აღარც ოთახების კარებების

ბრაზა-ბრუხს დაგიდევდათ და არც მანქანების კარებების მიჯახუნება-საყვირების გრიალს... ასე იყო ყოველ დღე... დიდხანს... ერთ დილასაც ბარბარე ჩვეულმა ხმამ არ გააღვიძა. ბურთი უწინდებურად სამკაულის პატარა იისფერ თეფშზე დახვდა. ბარბარემ თვალი გაუსწორა და გაუღიმა... ბურთი არ დაბზირიალებულა... არც აბრჭყვიალებულა. ბარბარემ ხელის გულზე დაიგორა. ბურთი ცივი იყო და ცალ მხარეს შავი ზოლი გასდევდა. ბარბარე საწოლიდან წამოხტა და ფეხშიშველა ჩაირბინა კიბე... თენდებოდა. ჩიტები იწყებდნენ გალობას. ნაწვიმარ ქუჩებს სისველის და წვიმის სუნნი ასდიოდა. შავოსანი უცნობი კიბეებზე იჯდა. ბარბარეც თითქოს მის ნახვას ელოდა. მიუახლოვდა და გვერდით მიუჯდა. უცნობსაც არ გაკვირვებია მისი დანახვა, ბურთი ბარბარეს ხელისგულზე იდო, ბურთში ნელ-ნელა კვამლივით იშლებოდა სიშავე. უცნობმა თავი აწია და ბარბარეს თვალი გაუსწორა. ბარბარე მისი თვალების სიღრმემ დაადუმდა. უბრალოდ მუჭში მოიქცია ცივი ბურთი, მეორე ხელი ზევიდან დააფარა და ორი დიდი ცრემლი ჩამოუგორდა თვალიდან, მარტო ორი, მაგრამ შუშის ბურთისხელა. უცნობი ადგა, ტანსაცმელი უხერხულად გაისწორა და უსიტყვოდ გაეცალა იქაურობა ს. ბარბარე კიბიდან ვერ დგებოდა, განთიადისას მობერილმა ნიავმა ძვალსა და რბილში დაურბინა და თითქოს ჩაუსახლდა. ორმა ცრემლმა გზა მაჯებზე გაიკვალა და ხელისგულზე დაგორებულ ცივ ბურთთან ისე შეჯგუფდა როგორც გატეხილი თერმომეტრის სინდიყის ვერცხლისწყლის ბურთულებს ჩვევია ხოლმე. ბურთს სიშავე მოსდებოდა. მზე ამოიწვერა და ბარბარეს ხელისგულეებს დაჰკრა მზერა. ბარბარე თან მზეს უყურებდა და თან ორი ცრემლისგან დაღარულ სახეს არიდებდა... უცებ ბურთმა გათბობა იწყო... და ეს სითბო საოცარი დინებით ბარბარეს მკლავში ჩაეღვარა... ბარბარემ ხელისგული გაშალა... ბურთმა თავისი „კუნაპეტი“ შავი თვალით აღმაცერად ამოხედა და თითქოს ისევ „ტმც“ მისწვდა ბარბარეს ყურებს. – ბურთი ხელისგულზე საოცარი სისწრაფით იზრდებოდა და შავ ფერს ახლა ათასფერი ათინათი ეჭიდავებოდა. ბურთი იზრდებოდა და წონა არ ემატებოდა, როგორც საპნის ბუშტს...

ელავდა და მაღლა მიიწევდა. მალე ყულფიც გამოეხა. ბარბარემ საოცარი სიმსუბუქე იგრძნო და ყულფს ჩაებლაუჭა... ბურთი კი მიიწევდა მაღლა და მაღლა და ბარბარესაც მიაქანებდა ღამისპერანგის კალთების ფრიალ-ფრიალით... ბარბარე ზევიდან დაჰყურებდა ქალაქის მოწითალო სახურავებს, ბეჭდის თვლებით გაბნეულ ტბებს, დაგორგლილ ქუჩებს, მთების მწვერვალებს, მწვანე ლაქებად დაფენილ ტყეებს, ოკეანეც კი ისეთი ბრტყელი, მაგრამ მაინც როგორი დიდი ჩანდა ამ სიმაღლიდან. ღრუბლებს რომ გაუსწორდნენ, რაღაცამ იხუვლა და ბარბარეს შუშის ორი ულამაზესი ფრთა გამოეხსა ზურგზე, მაგრამ ბურთისთვის ხელი მაინც არ გაუშვია. მისი ფრთებიც ისე ბრწყინავდნენ და ათინათობდნენ, როგორც შუშის ბურთი. ბარბარე ხედავდა, როგორ დაცურავდნენ ღრუბლები ოკეანეს თავზე და როგორ ირეკლებოდა მათი სილუეტი წყლის სარკეში. ღრუბლები კი იცინოდნენ, ფორმებს იცვლიდნენ და ერთმანეთს სასაცილო მანქვა-გრეხაში ეჯიბრებოდნენ. იღვიძებდა ქალაქი... ბარბარე კი მიიწევდა სულ მაღლა და მაღლა... ბურთს მინდობილი და აღარაფრის არ ეშინოდა... რადგან უბრალოდ არ იცოდა, რისი უნდა შეშინებოდა. მზის სხივები გზას უთმობდნენ უცნაურ სტუმარს და ერთი სული ჰქონდათ ჭორაობის დრო როდის დაუდგებოდათ...



### „ამ ხვრელშიც ვიყავით, უფროსო, და იმ ხვრელშიც“

ნიუ ორლეანი... ლუიზიანას შტატის პატარა ქალაქი, ვიწრო ქუჩებითა და ძველი ქვაფენილებით, სხვადასხვა ზომის, ფორმისა და ფაქტურის საკვამურებით, დიდი მოჩუქურთმებულ-მოარშიებული აივნებით, გადმოკიდულ-ჩამობმული ჭრელყვავილებიანი ქოთნებით, ნაირფერი დარაბებით, სხვადასხვაფრად შეფეთქილი სახლებით, აქა-იქ ამოწვერილ-აწოწილი თავდაუვარცხნელი, ხან კი ქაჩალი პალმებით, მარაოსებრ გაშლილი ულამაზესი და მრავალფეროვანი მომაქმანებული კარნიზებით... ვიწრო და გისოსებით შეკრული შესახვევებით... ლამპიონებით, რომლებიც გაზით ინთება და ღამით ჩირაღდნებივით ბრდღვიალებს... წითელი ტრამვაის ვაგონებით... მოცეკვავე და მომღერალი ქუჩებით... უცნაურად ზანტი და განიერი, მოყავისფრო, მღვრიე და ცოტა აქოჩრილი მისისიპით... რომელიც ამ მსუბუქ, სადღაც ზღაპრულ ქალაქს გაურკვეველ სიმძიმეს სძენს და შემთხვევით შემოხეტებულ-დამკვიდრებულის გრძნობას ბადებს, თითქოს ამ „თავაწყვეტილი“ მხიარულების გაკონტროლებას და რაღაც ჩარჩოებში მომწყვდევას ცდილობს. ქალაქი, სადაც უამრავი კაფეა და რესტორანი, სამხატვრო სალონები



თანამედროვე (ჩემთვის ძირითადად გაუგებარ-შეუღწეველი) შედეგებით, ეტლებით, რომელთა კოფოზე ხშირად ქალები არიან შემოსკუპებულები და ღიმილიანი, ომახიანი ტონით სტუმრებს ქალაქის ღირსშესანიშნაობებს აცნობენ... დიდი მხიარულებისა და პოზიტივის მუხტი, დამაყრუებელი ჯაგაჯუგი და სიმსუბუქე იმავდროულად, გადაჭედული რამდენიმე ქუჩა და სრული სიჩუმე და უკაცურობა იქვე, ორი ქუჩის გადაღმა, დახურული დარაბებით... თითქოს ირგვლივ არავინაა და შეყვირების სურვილიც კი გიპყრობს, რომ გამოავლიძო და სიცოცხლის დასტური მიიღო.

ამ ქალაქში ოფიციალურადაა დაშვებული ალკოჰოლიანი სასმელით სიარული, ასე რომ, ყველა მოგრძო ქალაღდის თუ პლასტმასის მოცისფრო მაღალი „სასმისებით“ დაიარება და კოქტილის ჩვეულებრივზე გრძელი ჯოხებით სხვადასხვა არომატულ სასმელს დაუსრულებლად წრუპავს. ხალხი მოშვებულია და აშკარად სიამოვნებას ეძლევა, იღიმება და გიღმის ძალდატანების გარეშე, რაც ასე გამაღიზიანებელი და ხელოვნურია ჩემთვის ნიუ იორკში. ეს ბუნებრივობა და კეთილგანწყობა შენზეც მეტად დადებითად მოქმედებს და თითქოს სულიერი „კორსეტის“ თასმებს გიხსნის... კაია... თან ძალაუნებურად იმის შესახებ ფიქრობ... ხომ არ აჯობებდა ამ გადარეულ ქალაქს (ნიუ იორკი რომ ჰქვია სახელად) მოცილებოდი და სადმე აქეთ გადმოხვეწილიყავი, თუ მაინცდამაინც ამერიკაში გიწევს ცხოვრება. მე პირადად დიდი სიამოვნებით, შორს ე.წ. „ცივილიზებული ამერიკისგან“. ჩემს ცხოვრებაში აშკარა დადასტურება ჰპოვა რუსოს აზრმა, რომ, რაც უფრო ახლოსაა ადამიანი ბუნებასთან, მით უფრო ადამიანურია (კარგი გაგებით) და პირიქით.

საღამოს ქუჩები გადატენილია, უზარმაზარი თუთიყუშები უცნაურ მანევრებს აკეთებენ, მათი დიდი სპეციალისტი და მოყვარული დიდი პეტრო (ხშირ შემთხვევაში სრულიად შეუპოვარი) მათ დანახვაზე საოცრად სენტიმენტალური ხდება, ეს ულამაზესი ხასხასა მწვანე ფერის და აქოჩრილი თეთრი თუთიყუშებიც დიდ კეთილგანწყობას გამოხატავენ მის მიმართ

და ხან კლანჭებით ეთამაშებიან და ხან კი ანგარიშმიუცემლად და სრული ნდობით მის მხარზე იკალათებენ. პეტრო აღტაცებულია, მე მგონი, ეს მისი ყველაზე გულისამაჩუყებელი ემოციაა ამჯერად, ფიქრობს, რომ ფრინველთა ასეთი ნდობა დიდი პატივია და მისი პოზიტიური ბუნების ამკარა დადასტურება. ის აქ უკვე მესამედაა და ყველაფერი ზეპირად იცის, ამჯერად ამ სამყაროსთან ჩემი ზიარებისთვის იღწვის და მეც პატარა ბავშვივით კალთაში ხელჩაბლაუჭებული დავყვები და ვცდილობ, არ დავკარგო. ტელეფონის ზარსაც ვერ გავაგონებ, ისეთი აურზაურია. პერიოდულად ჯაჯღანებს, რომ მე მობილურის ტექნიკურ მხარეს სრულიად ვერ ვფლობ და არც ვცდილობ ამ სისტემაში გარკვევას (სოსოს მუდმივი თემა, აქ სოსო და პეტრო შესაშურ ერთსულოვნებას იჩენენ). კრიტიკა მართებულია, აქ ვერაფერს ვიტყვი... შეწინააღმდეგებას აზრი არ აქვს, იჯაჯღანონ, ვიდრე არ მოსწყინდებათ, ანდა, ვიცი, რომ არ მოსწყინდებათ)))

საღამოს ხალხს ერთმანეთისთვის გვერდის ავლა უჭირს, მთელი ქალაქი ნასვამია და, ალბათ, სხვა რაღაც-რაღაცეების ზემოქმედების ქვეშ... არავინ ჩხუბობს... თუმც ყოველ ქუჩაზე პოლიციელები დგანან. ყოველი კუთხიდან ისმის ჯაზის ხმა, აივნები სავსეა ხალხით, რომელთაც ხელში სხვადასხვა ფერის მძივის ასხმები უჭირავთ, ქვემოთ მიმავალ გოგონებს კი მკერდის ჩვენებას თხოვენ, დასტურის შემთხვევაში ამ მძივებს ქვემოთ ყრიან... ეს აქაური „ტრადიციაა“))

ჩვენ რაღაც საინტერესო და „მშობლიურ ბგერებს“ ვიჭერთ... რაღაც „მზიური ველის სერენადის“ მსგავსად ჟღერს... დასწრება თავისუფალია... უკრავენ შესანიშნავად... იქვე ვსხდებით და გვიხარია. ეს 80-ს გადაცილებული ძველი ჯაზმენები არიან... სხვადასხვა შტატიდან ჩამოსულები... თავის ჭიას ახარებენ და ჩვენც ამ ჭიას გვიღვიძებენ... ბავშვობას... ჟრუანტელი გვივლის... უბრალოები, არავითარი სნობიზმი... ერთმანეთს ენაცვლებიან, ხუმრობენ, სასმელს გთავაზობენ, ტანსაცმელსა და მობილურს მეთვალყურეობის გარეშე ტოვებენ, და უკრავენ და მღერიან. ზოგს ვენების გაგანიერების საწინააღმდეგო გეტრები აცვია, ზოგს

მარილებისგან დეფორმირებული ხელები აქვს, ზოგი მეტად მოდურად გამოიყურება დაწნული ჭრელი ქამრითა და ყელში ჩაფენილი ყელსახვევითა თუ ყელსაბამით, „ფეტრის ქუდი“ თუ მუქი სათვალთ, ყველას უხარია და ეს საერთო, საყოველთაო ზეიმის შეგრძნებას ბადებს. აქ არიან მათი ოჯახის წევრებიც, ცეკვავენ, მათ მსმენელებიც უერთდებიან. ხვდები რომ ამ უშუალო დამოკიდებულებისა და მშვენიერი მუსიკისგან პირი ყურებამდე გაქვს გახეული და პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება უჭირს, ყველა ილიმება, რიტმს თავს აყოლებს და ფეხებს ათამამებს (კომისია „შემოხტი და გამიფრინდი, როგორც თოლია“)))).

მეორე დღეს გიორგი გვეპატიუება და ულამაზეს საღამოს ვატარებთ პონჩატრენის ტბის ნაპირად. ამ ტბას ხიდი კვეთს, ეს არის ყველაზე დიდი ხიდი მსოფლიოში, რომელიც სულ წყლის ზედაპირზე გადის და ღელვის დროს იკეტება. გიორგი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ შემდეგ დღეს კარგი ამინდი გამოვა და პლანტატორების სახლების სანახავად დაგეგმილ ჩვენს ექსკურსიას ჩაშლა არ უწერია, მაგრამ ტბის მახლობლად მდგარი დიდი პალმა, რაღაც უცნაურად იწეწება და კარგს არაფერს გვპირდება.

მეორე დღეს კოკისპირული წვიმა და გიორგის კეთილი სურვილები მხოლოდ მაღლიერების გრძნობას აღძრავს.

პალმა სწორი აღმოჩნდა. ვსხედვართ სახლში, მაგრამ საღამოს მაინც ვახერხებთ ახლომახლო გაძრომას.

მეორე დღეს მზე ანათებს. ამინდი მშვენიერია. 4 დღემ მაინც მშვენივრად ჩაიარა და ეს 4 დღის გულში დაგროვილი „მზე“ კარგა ხანს გაგვყვება როგორც ემოცია, შთაბეჭდილება კი – მთელი ცხოვრება. იქნებ, კიდევ გვიწერია აქ ჩამოსვლა... ვინ იცის...

ღამე ფრენა არ მიყვარს, მაგრამ გვიწევს, თან გადაჯდობით. ხალხი ბევრია. ჩრდილოეთ კაროლინაში უნდა ჩავფრინდეთ ჯერ, მერე კი ისევ 2-საათიანი ფრენა გვიწევს ნიუ იორკამდე. თვითმფრინავში ჯდომის დროს არ მტოვებს ფიქრი ფრთების მოწყვეტის შესახებ. ფანჯრიდან გავყურებ ხოლმე ამ მოქანავე უზარმაზარ შვერილებს და სულ იმის განცდა მაქვს, რომ საცაა

გადატყდება შუაში. თვითმფრინავი კი არ მიფრინავდა, არამედ ისეთი გრძნობა მქონდა, რომ სოფლის უსწორმასწორო შარავზაზე სამხედრო მუხლუხო საოცარი სისწრაფით მირიხინებდა და ალაგ-ალაგ გზად ბორბლებს კარგავდა. პეტრო მშვიდად იჯდა და კენდი კრემის თამაშით იტყვევდა თავს რაჭული სიდიდნჯითა და გაწონასწორებულობით. მე მოპირდაპირე სკამის სახურგეს ვიყავი ჩაფრენილი და ტვინის უჯრედების ჩათვლით სპაზმური თასმებით ვიყავი „გაყრონჭილი“. პეტრო ღიმილით გადმოძახედავდა და ეცინებოდა – რა მშიშარა ხარო, მაგრამ, როცა ღრუბლების ფენიდან თავი ვეღარ გამოვყავით და კიდევ გვარიანად დაგვაჯანჯლარა, პეტრომ კენდი კრემის მორიგი „სიმალლე“ დაიპყრო, მიმოიხედა და თქვა: „რაც არ მომწონს ამის რწევას“, უკვე პანიკამ მომიცვა. გვერდით „კაპიმონწა-მოხურულ“ ახალგაზრდა გოგონას ეძინა და ჩემს ცხვირწინ ტალახიანი კეტები ჰქონდა აწყობილი. იქითა რიგში წვრილ-წაწნავიანი სქელი შავი ქალი მადიანად ილუკმებოდა, წინა მწკრივიდან შიშველი ქუსლები მიბრმავებდნენ თვალს. თვითმფრინავში სინათლე გამორთული იყო და მხოლოდ ღვედების შეკრულ მდგომარეობაში ბრძანების ნათურები ენთო. თვითმფრინავის სისწრაფეს მთელი არსებით ვგრძნობდი, გზაში პეტროს ვუმტკიცებდი – „ტბებს და ველებს ვხედავ-მეთქი“. „რაის ტბებს და ველებს, 10 000 მეტრის სიმალლეზე მივფრინავთ“, – სიცილით კვდებოდა და დასძინა: „შეხედე, ვიღაც მოხუცმა კაცმა შემოიხედა ლიუკიდანო“... კი... როგორ არა... მე გაყურსული ვიჯექი... მე და ჩუმი – ეს მეტად უჩვეულო მდგომარეობაა... პეტრომ კენდი კრემის თამაში განაგრძო და პერიოდულად ჩაილიდინებდა: „ესა ვარ, რაცა ვარ... ხვალ იქნებ არ ვიყოთ ან მე ან შენ“... გავარღვიეთ ღრუბლების დაუსრულებელი ფენა და სინათლეები გამოჩნდა ქვემოთ... ამოვისუნთქე და გამახსენდა ქეთი ლომიძის „მოიდა მისისიპი“ და პეტროს ამასწინათ ნიუ ორლეანში ნათქვამი ფრაზა „შერეკილებიდან“: „ამ ხვრელშიც ვიყავით, უფროსო, და იმ ხვრელშიც“... ასე დავარქმევდი ამ ჩანახატსაც.... კარგი რამეა იუმორი.... ძალიან კარგი...

## მარტოობა გავასვირნე

გაწვიმდა... ახლად ამოყრილმა ნარცისებმა სველ ბალახში ჩარგეს თავი... ვაშლის ტოტებმა კი გული გადაიღედეს და სიმჭიდროვით გახურებულ-შეწუხებულებმა მკერდი მიუშვირეს გაზაფხულის წვიმის მსხვილ წვეთებს... ატირდა ღობე... დიდ სხეულში პატარა გოგონამ გამოიღვიძა... დიდმა თავში წამოარტყა და ისევ დასადინებლად შეაგდო...

ძილი წამოდგა და სიზმრების მოსასახამი სააბაზანოში გაიყოლა. რამდენიმე გზააბნეული სიზმარი ბალიშის ქვეშ შეძვრა და ძილი გააგრძელა.

დიდი ფანჯარასთან მივიდა და შუშაში საკუთარ ჩრდილს გაუსწორა თვალი. სველ სარეცხის თოკებზე ანცი წვეთები თავქუდმოგლეჯილი დასდევდნენ ერთმანეთს. პატარამ შიგნიდან მიუკაკუნა.

- არ მცალია, - შეუკურთხა დიდმა და შუშის ნახევარში არეკლილ თავის ლანდს გაუსწორა თვალი.

თვალის უკეებთან ჩამოღვენთილ რბილ ჯიბეებს თითი ჩამოუსვა და ნესტიან, ჯერ კიდევ სუსხშეპარულ ჰაერს კარი მიუკეტა. შიშველ ფეხისგულეებზე სიცივე აეკრა.

ქურაზე შემოდგმული ჩაიდანი ქოთქოთს მოჰყვა.

- გამორთე,- შეეხმინა პატარა.

- დაიძინე-მეთქი!

- როგორ დავიძინო, თუკი ჩაიდანი ასეთ ამბავშია..

გადაღებულია ნიკო  
აბაზაძის მიერ.  
თამუნა ჟვანია  
და ნიცა (ჩემთვის  
ნიციკორედ  
წოდებული)  
აბაზაძე



- უკვე გამოვრთე, დაიძინე!  
- რამდენი უნდა მეძინოს? – გაბრაზდა პატარა და ჟანგისფერ ტალღოვან თმაზე ხელი გადაისვა.

- ადრეა-მეთქი!

- ოოოო... – დაიმანჯა პატარა და მწვანე დალიანდაგებული საბანი თავზე გადაიფარა.

დიდმა ყავა დაისხა და მაგიდას მიუჯდა, მაგიდაზე ძველი თეთრი გაცრეცილი „სალფეთქი“ იდო, ბებიას ხელით ამოგვირის-+ტებულ-მოქარგული.... რამდენი ფიქრი იდო თითოეულ გვირისტში, რამდენი მოგონება და ბებიას ხმა სითბოსთან ერთად...

დიდს სითბო ჩაელვარა. პატარამ ცალი თვალი გამოყო საბნიდან.

- მე რა გითხარი? – დაუცაცხანა დიდმა.

ყავა ცხელი იყო. წვიმამ ოთახი ჩამოაბნელა და კაკუნს უმატა.

- გასასვლელი ვარ.... წამოხვალთ რომელიმე? – იკითხა დიდმა.

- ამ ამინდში გიჟი ხომ არ ვარ გარეთ გავიდე? – აიმრიზა ამპარტავნება, – ვერ ვიტან სისველეს...

- შენ? – ჰკითხა დიდმა სიზარმაცეს.

- არა მგონი, ისევ საწოლში წოლა მირჩევნია... თან რამდენიმე სიზმარი კიდევ დამრჩა სანახავი.

დიდმა მხრები აიჩეჩა.

- იქნებ შენ გამომყვე? – დიდი პასუხისმგებლობას მიუბრუნდა. პასუხისმგებლობამ უკმაყოფილოდ გამოიხედა, ცოცხი კედელთან მიაყუდა, მერე ცხვირი ხმაურით მოიხოცა და თავი გააქნია:

- არა.... აქაც ბევრი საქმე მაქვს!!!

- შენ? შენ გელაპარაკები, აქეთ მოიხედე, ოცნებავ... ოცნებამ თვალეები მოჭუტა და ნებიერად თქვა:

- არა... მე ფრენა მიყვარს... წვიმაში კი ვერ დავფრინავ...

- მრისხანებავ, შენ რაღას აკეთებ დღეს?

- მე? მე რა მოცლილი მნახეთ... გასაბრაზებელის და ტლინკების ასაყრელი ცოტაა?! ვინმე სხვა მონახე და გაასეირნე... შენც აირჩიე რა ამინდი...

– მე წამოვალ, – ჩუმად თქვა მარტოობამ.

დიდმა გახედა:

– დარწმუნებული ხარ?

– სრულიად.

– ძალიან გთხოვ, ოღონდ შენებურად ჯაჯღანს არ მოჰყვე.

– მაგას ვერ დაგპირდები, მაგრამ წამოვალ... ვერც იმას, რომ უსაბელო ძაღლების დანახვაზე არ შეეცვები... მაგრამ არ მოგცილდები, შენთან ერთად ვივლი.

დიდი წამოდგა. საწვიმარი გადაიცვა. დიდ ქოლგას გახედა და გვერდი აუარა. მაღალ ბოტებში, მწვანე კატები რომ ეხატა, შიშველი ფეხები ჩააცურა და კარი გაიხურა. მარტოობა უხმოდ მისდევდა ფეხდაფეხ, ჯიბეებში ხელჩაწყობილი.

ქუჩებში მანქანები ნელა მოძრაობდნენ და ფარების სინათლე სისველეში ირეკლებოდა. სკოლიდან ბავშვები ბრუნდებოდნენ ხმაურით...

დიდი გუბეებში მოურიდებლად აბიჯებდა, მარტოობაც... მხრები სულ სველი ჰქონდა და მაინც არ იღებდა ხმას.

– რამე მაინც მითხარი, – უთხრა დიდმა.

– შენ არ მითხარი, არ იჯაჯღანო...

– ასე მთლა მუნჯურად ნუ ივლი... გაიღიმე მაინც.

– არ მეღიმება.

– ნუთუ არაფერი გაქვს სათქმელი?

– რა? რა უნდა გითხრა ისეთი, რომ არ იცოდე? მე ხომ რაღაცნაირად შენი ბინდისფერი ჩრდილი ვარ... ჩრდილივით ერთგული და მოუშორებელი.

– სულ ასე ცუდ ხასიათზე რატომ უნდა იყო?

– და არ მაქვს მიზეზი?

– მაინც?

– ყველგან ჩემს თავს ვხედავ.... სადაც არ უნდა ვიყო... აი, წარმოიდგინე სარკეებიანი ოთახი... შედიხარ, იქ კი შენი უამრავი გამოსახულება გიყურებს ჯიუტად, დაჟინებით, ძალიან დამთრგუნველი და მოსაბეზრებელია და თან არც ერთი მათგანი არ იღიმება.

მარტოობას წურწურით ჩამოსდიოდა წყალი და დიდი ვერ

ხვდებოდა ეს წვიმის ბრალი იყო თუ მარტოობა ტიროდა. თან შეკითხვისაც ეშინოდა, ვაითუ მართლა ტირისო მარტოობა.

- შეგცივდა? - იკითხა დიდმა.
- როგორც შენ...
- მე ჯერ არა!
- ესე იგი, მეც ჯერ არა.
- მოდი, სადმე შევხეტიალდეთ და რამე ცხელი დავლიოთ...
- მოდი...

გზის განაპირას პატარა კაფე დალანდეს... სველ ვიტრინებს თვალი შეავლეს და კარი შეაღეს. თბილოდა...

პატარამ გამოიღვიძა, შიშველი აწოწილი ფეხები პეპლებიან სახლის ჩუსტებში ჩაყო და ჟანგისფერი თმების დაწვნას მოჰყვა. დიდი აღარ გაბრაზებია. ნამცხვრების თვალიერებით იყო გართული.

კაფე პატარა იყო... თბილი... მოწნული მსუბუქი, ზურგზე გადაქანებული სკამებითა და მრგვალი მოხერხებული შუშის მაგიდებით. თითოეულ მაგიდაზე სხვადასხვა ფერის ნაჭრის ბრა იყო დაშვებული.

- სად დაჯდები? - ჰკითხა დიდმა.
- ფანჯარასთან, - დაიწროპინა პატარამ.
- შენ არავინ გეკითხება, - შეულრინა დიდმა.
- მეკითხება, - გაუბედავად უპასუხა პატარამ და ჟანგისფერი ნაწნავის ბოლოს ღეჭვას მოჰყვა.

- წესიერად!

პატარამ „ცას“ ახედა და პატარა თითები მორჩილად დაიწყო ატყავებულ მუხლებზე.

- აი, იქ, სადაც სტაფილოსფერი ბრაა... - თქვა მარტოობამ, - მიყვარს ეს ფერი... მზისფერია... რაღაცნაირად...

- შეჭამ რამეს?
- არა... ისე ვიჯდები და ვიფიქრებ.
- არც არაფერს დალევ?
- იქნებ მერე... ახლა არ მინდა.

დიდმა დიდ ფინჯანში მუქი ჩაი დაისხა და ლიმონის ნათალი ჩააცურა, სკამზე მოხერხებულად მოიკალათა და პირისპირ მჯდარ მარტოობას გახედა.



მარტოობა ხელეზზე დაყრდნობილი იჟდა და მტირალ ვიტრინებს სევდიანად უმზერდა.

კარმა გაიჭრიალა და დიდ ქოლგას ახალგაზრდა ქალი შემოჰყვა 2 ზავშვით. ქალს ერთი ხელში ეკავა, გახვეული, ალბათ, 4-5 თვის, მეორე – გოგონა კი დაახლოებით 2-3 წლის იქნებოდა. პატარა ცისფერი საწვიმარი ემოსა და სველი, თეთრი, წითელცხენებიანი ბოტებით ჯიუტად და ხალისიანად დააბიჯებდა მონაცრისფრო განიერ ფილებზე და პაწაწუნა სველ ნაფეხურებს ტოვებდა.

გოგონა ვიტრინასთან მივიდა და ციცქნა ცხვირი მიარჭო, მერე დედას გახედა და პატარა თითით მარწყვის ნამცხვარზე ანიშნა.

მუქ ყავაში ლიმონის ნათალი ისე თვლემდა, როგორც მთვარე ღამის ცაზე.

დიდი ფიქრობდა, პატარა უკვე ფრჩხილების კვნეტაზე იყო გადასული, თან რაღაცას ღიღინებდა, მაგრამ მისთვის არავის ეცალა.... გადაუღებლად წვიმდა და წვიმდა.

ციცქნა გოგონას დედა არწევდა და მკერდზე მიკრულს ნეტარი ძილით ეძინა.

2-3 წლის გოგონა მოწნულ სკამზე იჟდა და ჰაერში დაკიდულ ბოტებიან ფეხებს ხალისით აქანავებდა, თან მარწყვის კრემიან ნამცხვარს მადიანად შეექცეოდა. ზედა ტუჩზე კრემი ულვამად გასდევდა და მარწყვის ნარჩენს ენით ილოკავდა. უცებ ჰამა შეწყვიტა, მარწყვი ჩამოუსრიალდა და ცისფერ საწვიმარს დაეცა. მონაცრისფრო-ქლიავისფერი თვალების ნათელი მზერა ვიღაცას გაუსწორა და ღიმილით შეანათა.

პატარამ თითების კვნეტას თავი ანება და გაირინდა. დიდმაც გოგონას მზერას თვალი გააყოლა.

პატარა მარტოობას უყურებდა და იცინოდა.

იცინოდა მარტოობაც, იცინოდა, კი არ იღიმებოდა.

– მოხდა რამე? – დამარცვლით იკითხა დიდმა.

მარტოობამ ღიმილით აიჩეჩა მხრები:

– აქ არ ვარ... აქ ჩემს თავს ვერ ვხედავ.

მუქ ჩაიში ლიმონის ნათალი ძილს მისცემოდა.

გარეთ კი გადაუღებლად წვიმდა და წვიმდა.

## არ შემიბერო სული... გთხოვ...

ბაბუაწვერა ვარ... არ ვიცი, საიდან მოდის ჩემი სახელი...

...არასდროს ვყოფილვარ მოხუცებული, დრო ისედაც ცოტა მაქვს ამქვეყნად. იშვიათად თუ მამჩნევთ, არა... კი მამჩნევთ, მაგრამ დიდად არაფრად მაგდებთ. ხშირად ჩამივლით და სულ გული მისკდება, ხელი არ დამავლოთ, არ მომწყვიტოთ და სული არ შემიბეროთ... ეს ხომ უბრალოდ გართობთ, ხანდახან ჩემს თეთრ სისხლსაც დაჰკრავთ ხოლმე თვალს და გულგრილად მომიხვრიტ. ხშირად ბალახებში ვიმალები, ხან კი დამალვასაც ვერ ვახერხებ, აი მაშინ კი განსაკუთრებით მიცემს გული, მეშინია კიდეც, ჩემი გულის ბაგაბუგმა ვინმეს ყურადღება არ მიიპყროს და არ შედგეს. წვრილ ღეროზე ვდგავარ, ხანდახან მინდა ხოლმე ჩემზე მაღალ ბალახებს გავასწრო, მზისკენ მიმეჩქარება, მისი ნახვა მახარებს და მახალისებს. მზემ სხვაგვარი ალერსი იცის... ჩემს ულამაზეს თეთრ თმებში უწვრილეს სხივებს ჩახლართავს ხოლმე და სიცოცხლითა და ნეტარებით მავსებს, მეც თავს გადავაგებ და ჩემს თხელ სხეულს მივანდობ, ტანზე კი სიამოვნებისგან სულ წვრილ-წვრილ ბუსუსებად დამაყრის ხოლმე. ზოგჯერ სიმბურვალისგან ჩამთვლემს, მაგრამ მზე გადავა თუ არა, მიწა სუსხს მაგრძნობინებს და მაშინვე მეღვიძება, ვინ გაცლის, უმაღლეს მუჯღუგუნს წაგკრავენ.

ხანდახან ბაბუაწვერები ერთად იზრდებიან... გუნდებად. ისეთი ლამაზია ასეთი მინდვრების ნახვა, ყაყაოების ველი – სისხლივით წითელი მწვანე ფერში და თეთრისა და მწვანეს ურთიერთთმეხამება... ეს უფრო სევდას იწვევს, არა... ასე მგონია... მე მარტო ვდგავარ, თუმცა მოშორებით კიდეც ერთი ბაბუაწვერა აქოჩრილა, საფეთქლებთან თმა შეთხელებია და ბოროტად მიყურებს. შური დიდი ცოდვას და დამანგრეველი მეტად.

ჩემი თავი პირველად წვიმის წვეთებში დავინახე, კეთილები აღმოჩნდნენ, ეტყობა მზემ გამომიგზავნა, ერთად შეჯგუფდნენ და ციციქნა სარკედ იქცნენ. სრულიად მომხიბლა ფარშევანგის კუდივით გადაშლილმა თეთრი თმის უჩვეულო სიმრგვალემ. მას შემდეგ ჩემს საოცრად ფაფუკ და ჰაეროვან თმას თავის შეტოკებით

ვისწორებ. მართლა ულამაზესი თმა მაქვს... აბრეშუმით ნაზი და უთეთრესი, რომელიც ყოველთვის ყალყზე მიდგას. შიშისა და იმ უბედურების გამო, რაც ამ დედამიწაზე ხდება. იშვითად ჭიამაია შეიძლება ამომაცოცდეს და ცოტა ხნით თმებში შეიმალოს. მარტო მას ვაძლევ ამის უფლებას. რადგან ვიცი, რომ არ დააზიანებს და თავისი პაწაწკინტელა ფეხებით გადამვარცხნის.

ძალიან მეშინია ქარის, წამოუბერავს, დალალებს ამიშლის და თან გაიტაცებს ხოლმე. ჩემი ბულულები კი ჰაერში დაფარფა-ტებენ, ღრუბლებამდეც კი აღწევენ. იქ კი ზანტად ჩამომსხდარი პატარა ანგელოზები ხელისგულებში იგროვებენ და ბებიებისთვის მიაქვთ, პაწაწინა ბალიშების შესაკერად.

ამბობენ, რომ თმა დიდ ინფორმაციას შეიცავს. ჩემი თმა კი ფიქრითა და აუხდენელი ოცნებითაა სავსე. ანგელოზები კი ამას ყველაფერს სიზმრად ხედავენ და მე ეს ცოტა გულს მტკენს. ჩემი ჩემად უნდა დარჩეს. რატომ უნდა გახდეს ჩემი საიდუმლო ხილული ვინმესთვის, თუნდაც ანგელოზისთვის... ამქვეყნად რაღაც ვერაა ისე კარგად, როგორც უნდა იყოს.

ამიტომ... ნუ შემიბერავთ სულს... გთხოვთ... მომეცით უფლება, ცოტა ხანს დავრჩე დედამიწაზე და ვიოცნებო მაინც... ისედაც ვიცი, რომ ამ ოცნებებს ახდენა არასდროს უწერია.



ელისო  
წიკლაური

# პროზაული თარგმანები

## ანდრე მორუა

### სიბერე

სიბერეში შებიჯება - უცნაური პროცესია, იმდენად უცნაური, რომ ძნელად თუ იჯერებ მის არსებობას. მხოლოდ მაშინ, როდესაც ვხედავთ, როგორ გამოიყურებიან ჩვენი თანატოლები, თითქოს ჩვენს ანარეკლს სარკეში შევყურებთ და მაშინლა ვხვდებით, როგორები ვართ ჩვენ თვითონ. ჩვენ ხომ საკუთარი მზერისთვის ყოველთვის ახალგაზრდებად ვრჩებით. ჩვენ გვაქვს იგივე იმედები და შიშები, რაც ახალგაზრდობაში გაგვაჩნდა, ჩვენი გონება ჯერ კიდევ სხარტად აზროვნებს და ჩვენი ძალებიც თითქოსდა ჯერ მთლად არ მინავლებულა. ვატარებთ ცდას, უბრალოდ გვანტერესებს „თუ მოვახერხებთ ამ გორაკზე ისევე სწრაფად ასვლას, როგორც ამას ახალგაზრდობაში ვახერხებდით?“ კი, მართალია... სუუულ ცოტა სული მეკვრის, მაგრამ იმდენივე დრო დამჭირდა... ისე... მართალი რომ ვთქვა... მანამდეც ხანდახან სულის შეკვრას ვუჩიოდი“.

ახალგაზრდობიდან სიბერეში გადასვლა იმდენად შეუმჩნეველად ხდება, რომ ის, ვისაც ეს ემართება, ვერც კი ხვდება, რა ამბავია მის თავს. აი, წარმოიდგინეთ, ზაფხულს შემოდგომა ცვლის... ეს პროცესი იმდენად თანდათანობითია, რომ მას ძნელიც კია თვალი გავადევნოთ, მაგრამ ისეც ხდება, რომ შემოდგომა მოულოდნელად გვესხმის თავს. ჯერ თითქოსდა ნელ-ნელა აცლის ხეებს ფოთლებს, მაგრამ ნოემბრის ცივმა ქარმა შეიძლება თვალის დახამხამებაში ჩამოგლიჯოს შემოდგომას ოქროს ნიღაბი და ჩვენს თვალწინ გაშიშვლებული ხეების სახით ზამთრის ჩონჩხი დაუნდობლად შემოგვახალოს. ფოთლები, რომლებიც ჩვენ ცოცხლად მიგვაჩნდა, თურმე რახანია აღარ სუნთქავდნენ და მხოლოდ იძულებით ეთამაშებოდნენ გამომშრალ ტოტებს. ძლიერმა ქარმა მხოლოდ გააშიშვლა ეს „ბოროტება“, თვით არასდროს მოუხმია ის თავისთან. ქალი და მამაკაცი შეიძლება ახალგაზრდად გამოიყურებოდნენ, მიუხედავად ასაკისა. „ის ისეთი მომხიბლავია“, - ვამბობთ ხოლმე მანდილოსანის შესახებ, ან „ის ყოველთვის

ფორმაშია“ – არა ერთხელ გვითქვამს მამაკაცის თაობაზე. ჩვენს აღფრთოვანებას იწვევს მათი აქტიური ცხოვრების წესი, საღი და სხარტი გონება, საუბრის საინტერესოდ წარმართვის უნარი. ისეც ხდება, რომ ხანდახან ჩვენს საქციელს ვერ ვაკონტროლებთ, გარკვეულწილად გონიერება გვტოვებს. ასეთი საქციელის შედეგს ახალგაზრდა სრულიად ადვილად გაუმკლავდებოდა, შეიძლებოდა თავის ტკივილს შეეწუხებინა, ან სურდო შეეყოფა, ასაკს კი თავისი გართულებები სდევს თავს, გულის შეტევის თუ პნევმონიის სახით. რამდენიმე დღის შემდეგ ასაკოვან ადამიანთა სახეები ასეთი „გმირობის“ შემდეგ იცრიცება, ფერს ჰკარგავს, ისინი წელში იხრებიან, თვალებში ცეცხლი მიუწვლდებათ ხოლმე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სიბერე შემოგვეპარა და არცთუ ცოტა ხნის წინ.

## **შემოდგომის მისადგომებთან**

### **როდის იწყება ეს ეტაპი**

ცნობილმა ფილოსოფოსმა ონრადმა ბრძანა, რომ, როდესაც ადამიანს 40 წელი უსრულდება, ის თითქოსდა ხედავს მის წინ გაწოლილ შუქჩრდილს და ამ გარკვეული ზღვარის გადაკვეთის შემდეგ სევდანარევი ინტონაციით აღნიშნავს, რომ სიყმაწვილემ თავისი შეუდარებელი ხიბლითურთ უკვე ჩაიარა, ახლა წინ 50 წლის ასაკი გვიდევს. ამ ზღვარსაც როდესაც გადავცდებით, რაღაც შფოთისმაგვარი შეგვიჩნდება და სასოწარკვეთილების ტალღაც არაერთხელ აგვილოკავს ტერფებს, თუმც აქტიურად ცხოვრებას ჯერ კიდევ ვახერხებთ.

სიბერე – ეს გაცილებით მეტია, ვიდრე გათეთრებული თმა, დაყრილი ნაოჭები თუ ფიქრი იმის შესახებ, რომ ჩვენი სათამაშო პარტია უკვე დასრულებულია და სარბიელი უკვე ახალგაზრდებს ეკუთვნით.

სიბერის ნამდვილი სიავე კი არის არა ფიზიკური უძლურება, არამედ სულში ფესვგადგმული განურჩევლობის გრძნობა...

ამ შუქჩრდილის ზღვარს მიღმა ჩვენ ქვეყანასა და ადამიანებს ისეთებად ვხედავთ, როგორებიც ისინი არიან, ყოველგვარი ილუზიის გარეშე. მოხუცი ადამიანი საკუთარ

თავს ხშირად უსვამს ასეთ შეკითხვას: „კი მაგრამ რისთვის? რა საჭიროა?“ და იქნებ, სწორედ ესაა ყველაზე სახიფათო. მოვა დრო და იგივე ადამიანი მშვიდად იკითხავს: „განა ღირს კი ბრძოლა?“, „ღირს კი გარეთ გასვლა?“, „განა საჭიროა საწოლიდან წამოდგომა?“.

უმარტივესი ორგანიზმებისგან განსხვავებით, რომლებსაც უნარი შესწევთ აიცილონ დაბერების პროცესი ორად გაყოფის გზით, ყველა ცოცხალ არსებას აუცილებლად ეწვევა სიბერე. რატომ მისცა უფალმა პეპელას მხოლოდ 2 საათი სასიყვარულო თამაშებისთვის, კუს და თუთიყუშის სიცოცხლის ხანგრძლივობა კი 2 საუკუნეს ითვლის. რატომ უნდა ცხოვრობდნენ ქარიყლაპია და ჭანარი 300 წელი, ბაირონსა და მოცარტს კი მხოლოდ 30 წელი ერგოთ წილად? 150 წლის წინ ცხოვრების ხანგრძლივობის საშუალო ასაკი 40 წელს შეადგენდა. დღეს კი ამ მონაცემებმა შედარებით ცივილიზებულ ქვეყნებში უკვე 70 წელს მიაღწია. თუკი ომები და რევოლუციები არ გააუარესებენ ეკოლოგიურ ვითარებას, იქნებ ეს მაჩვენებელი შემდგომ საუკუნეებში 100 წლამდეც კი ავიდეს, მაგრამ სიბერეს ვერსად წავუვალთ, ის ისევე მოვა, თავისი ჩვეული დინჯი და მყარი ნაბიჯებით.

### **ცხოვრების ქოქოსის ხე**

ცოცხალი არსებები რაც უფრო ახლოს არიან ბუნებასთან, მით უფრო მკაცრად ეპყრობიან უფროს თაობას. სიბერეში შესული მგელი თავის გუნდის წევრებს შორის პატივისცემით მანამ სარგებლობს, ვიდრე მსხვერპლის მონადირების ძალა შესწევს, ვიდრე ახერხებს მის თათებში მოგდებას და მოკვლას. კიპლინგი თავის „ჯუნგლების წიგნში“ აღწერს ახალგაზრდა მგლების საშინელ დაუნდობლობას ხნიერი მგლის მიმართ. აკელა ხელიდან უშვებს მსხვერპლს, რაც მისი ე.წ. „კარიერის“ დასასრულად იქცევა. კბილებჩაცვენილი მოხუცი მგელი მისივე გუნდის ახალგაზრდა წევრების მიერ უმოწყალოდ იდევენება. ამ თვალსაზრისით, მარტივი ადამიანები მეტად წააგვანან ცხოველებს. ერთმა მოგზაურმა, რომელმაც აფრიკა მოინახულა, გვიამბო, როგორი დაჟინებით თხოვდა მას



ერთ-ერთი ტომის ბელადი თმის საღებავის ჩუქებას: „ჩემი ტომის წევრებმა რომ დაინახონ ჩემი თეთრი თმა, სიკვდილი არ ამცდებო“.

სამხრეთ ზღვის ერთ-ერთი კუნძულის მცხოვრებნი თავიანთ მოხუცებულებს ქოქოსის ხეებზე აძრომას აიძულებდნენ და შემდეგ ამ ხეებს დაუნდობლად არწევდნენ. ვინც ამ რწევას გაუძლებდა, მას სიცოცხლის უფლებას უნარჩუნებდნენ, მაგრამ ვაი მას, ვინც თავს ვერ შეიმაგრებდა და მიწაზე დაენარცხებოდა. მათთვის სასიკვდილო განაჩენი გარდუვალი იყო. უდავოდ, წარმოუდგენელი სისასტიკეა... მაგრამ ჩვენც ხომ გვაქვს ჩვენი ქოქოსის ხეები?

სახელმწიფო მოღვაწეების, მსახიობების, ლექტორების შესახებ ხშირად შეიძლება გაიგონით ასეთი ფრაზა: „მისი ამბავი დამთავრებულია“. უმეტეს შემთხვევაში ეს სასიკვდილო განაჩენის ტოლფასია, რადგან პენსიაზე გასვლასთან ერთად იწყება ხელმოკლეობის ეტაპი, ხშირია საშინელი იმედგაცრუების განცდაც, რაც ფიზიკურ უძლურებას იწვევს. ომები კი ხომ საყოველთაო ქოქოსის ხეებად გვევლინებიან.

გლეხები, რომლებიც ბუნების წიაღში იშვნენ და მასთან განსაკუთრებით ახლოს გრძნობენ თავს, გარკვეულწილად არეგულირებენ ურთიერთობებს თაობებს შორის. ახალგაზრდების ტრიუმფი განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება ქალაქებში რევოლუციებთან და საზოგადოებაში მიმდინარე სწრაფ ცვლილებებთან დაკავშირებით, რამეთუ ახალგაზრდობა ბევრად იოლად უღებს ალღოს, ეგუება შექმნილ ვითარებას და ერთვება მიმდინარე პროცესებში, ვიდრე ამას უფროსი თაობა ახერხებს. ცივილიზებულ ქვეყნებში, სადაც შეძლებულ ადამიანთა რიცხვი დიდია, ხშირია უფროსი ადამიანების მიმართ ზრუნვა და მათ მიმართ პატივის მიგების ტენდენცია. ამგვარად უფროსი და უმცროსი თაობა ურთიერთ-მონაცვლეობს და ამ ურთიერთობას თავისი ჩვეული რიტმი გააჩნია.

არანაირი აზრი არ აქვს ამ ურთიერთობის შეცვლასთან

დაკავშირებით ფიქრს. ჩემი ღრმა რწმენით, ამ ორ თაობას შორის ურთიერთობის რეგულირების საუკეთესო სქემა ასე გამოიყურება – სათავეში ახალგაზრდები დგანან, მაგრამ ყურს უგდებენ სახელმწიფო მრჩეველთა აზრს, იმ ადამიანებისა, რომელთაც წლების მანძილზე დაგროვილი სიბრძნე აქვთ და დიდი გამოცდილების მქონენი არიან.

### **წარსულის ტირანია**

ასაკის მოსვლას თან სდევს გარკვეული სირთულეები. თუ მათთან ბრძოლა განიზრახეთ, უნდა მშვიდად აღიაროთ მათი არსებობა. როცა ექიმი სერიოზულად სწეულ ავადმყოფთან მოსანახულებლად მიდის, როგორც წესი, ამბობს: „ასე მოხდება, თუკი თქვენ ასე არ მოიქცევით“. შემდეგ სიმპტომების ჩამოთვლას მოჰყვება, ყოველი სიმპტომი კი წინადასახელებულზე უარესია და ცდილობს დაარწმუნოს პაციენტი, რომ ყოველივე ამას აიცილებს, თუკი პრევენციულ ზომებს მიმართავს.

შესაბამისად, ამიტომ მინდა გაიმხოთ იმის შესახებ, თუ რა სირთულეებს შეიძლება გადააწყდეთ სიბერის ჟამს და როგორ აარიდოთ მათ თავი. ეს ერთგვარი გაფრთხილებაა.

სიბერეშეპარული სხეული დიდხანს მომუშავე ძრავას წააგავს. ყურადღებით თვალყურის დევნების, დროული პროფილაქტიკის წყალობით მან შეიძლება კიდევ დიდხანს, დიდხანს იფუნქციონიროს. მართალია, ისეთივე სრულყოფილი ვერ იქნება, როგორც თავდაპირველად და უდავოდ დანდობასაც საჭიროებს. მაგრამ მის მიმართ გონიერი მიდგომის მეშვეობით სიბერის დროსაც შეიძლება შევინარჩუნოთ მისი აქტიურობა.

ასაკოვან ადამიანებში ხშირად თავს იჩენს ხოლმე საოცარი ეგოიზმი, რაც გარკვეულწილად ხელს უშლის ახალგაზრდებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას. ეს რომ არ იყოს, სიტბოსა და გამოცდილების ერთობლიობას შეიძლება მოეზიდა კიდევ თქვენსკენ ასაკით უმცროსი ადამიანები.

ასაკის ერთ-ერთი სერიოზული ნიშანი ხელმომჭირნეობაა. ასაკოვან ადამიანს კარგად ესმის, რომ მისთვის ფულის გამომუშავება უკვე რთულია და ამიტომ ხელების თრთოლვით დაჰფოფინებს არსებულ თანხას. კიდევ ერთი მიზეზი ის გახლავთ, რომ ყოველ ცოცხალ ადამიანს გააჩნია სწრაფვა რაღაცის მიმართ, სწრაფვამ ფულის მიმართ კი შეიძლება იოლად ჩანაცვლოს სხვა მიდრეკილებანი. ხელმომჭირნეობა ერთგვარ თამაშად იქცევა ხოლმე და ასეთი ადამიანები დიდ კმაყოფილებას პოულობენ ამ დროს. ამ თამაშს არ სჭირდება არც ძალღონის დახარჯვა, არც ახალგაზრდობა და არც ჯანმრთელობის მყარი მდგომარეობა.

დაბერების პროცესს თან სდევს აზროვნების შენელებაც. მათ უჭირთ ახალი იდეების წარმოქმნა-მიდევნება. ამიტომ ხშირად მხარს უჭერენ იმ აზრებს, რაც მათთვის ახალგაზრდობის დროს იყო ახლობელი და საინტერესო. საპირისპირო მოსაზრება მათ სერიოზულ აღელვებას იწვევს, რადგან ეს მათ მიმართ გამოვლენილი უპატივისცემლობის დადასტურებაა. მათთვის ძნელი ხდება დროისთვის ფეხის აწყობა, ამიტომ უმეტესწილად წარსულის შესახებ საუბრითა და მოგონებებით იქცევენ თავს.

მარტოობა – ეს არის სიბერის ყველაზე დიდი სიავე. ერთმანეთის მიყოლებით მიდიან ძველი მეგობრები თუ ნათესავები, ეს არის აუნაზღაურებელი დანაკლისი. სიბერეს მიაქვს ძალები და, მასთან ერთად, ჩვეული სიამოვნებაც.

„სიბერე – ეს არის ნამდვილი ტირანი“, – ამბობდა ლაროშფუკო, – „ის კრძალავს ახალგაზრდულ სიამოვნებას, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კი სიკვდილის განაჩენით იმუქრება“. უპირველეს ყოვლისა, დაუმეგობელია ახალგაზრდული, გადარეული, ვნებიანი სიყვარული. ასაკოვანი ადამიანები ხშირად ღელავენ იმის გამო, რომ მათი ფიზიკური სურვილები შესაძლებლობებს არ შეესაბამება. ხშირ შემთხვევაში სხეულთან ერთად ბერდება სულიც.

ძველბერძნულ ისტორიაში ცნობილი ფაქტია, რომ ერთ პატრიცს მთელი ცხოვრება უყვარდა ერთი ქალბატონი, რომელმაც მის გამო დატოვა ოჯახი, შვილები, უარი თქვა მეგობრებზე და თავის საპატიო ადგილზე საზოგადოებაში. პატრიცს არ შეეძლო ქალის შერთვა, რადგან დაოჯახებული გახლდათ. ქალმა მთელი თავისი სიცოცხლე ამ სიყვარულს შესწირა, მისთვის სიამოვნების მოგვრას და მისი კარიერის აღმასვლას. დროთა განმავლობაში ეს დიდი სიყვარული ფაქიზ და ნატიფ მეგობრობაში გადაიზარდა. პატრიცი 80 წლის იყო, ქალბატონი კი 70-ს. ისინი ყოველ დღე ხვდებოდნენ ერთმანეთს. როდესაც ქალი გარდაიცვალა, ვინც კი იცოდა მათი სიყვარულის ამბავი, მამაკაცის მიმართ დიდი სიბრაღულით განიმსჭვალა, შიშობდნენ, რომ პატრიცი ამ დარტყმას ვერ გაუძლებდა, მაგრამ პატრიცი ამ ქარტეხილის შემდეგ მალევე მოეგო გონს. ის მარტო სიყვარულისთვის კი არ იყო მეტისმეტად ასაკოვანი, არამედ იმისთვისაც, რომ სათანადო დონეზე განეცადა ეს ამბავი.

### **ატარეთ პარიკები და სამკაულები**

დაბერების ხელოვნება ითვალისწინებს ბრძოლას ბევრ უსიამოვნო შეგრძნებასთან, მაგრამ შესაძლებელია კი ეს, თუკი სხეული ჰკარგავს თავის ხიზლს? განა სიბერე არ ითვალისწინებს ორგანიზმის ბუნებრივ ბიოლოგიურ ცვლილებას? რისი მიღებაც არ გვინდა, მაგრამ გვინდა თუ არა, მოგვიწევს?

ცივილიზაციამ და გამოცდილებამ ადამიანებს ბრძოლის მეთოდები ასწავლა, თუ როგორ გამკლავებოდნენ მის გარეგნულ გამოვლინებას. ელეგანტური სამოსი და მოხდენილად შერჩეული სამკაულები თვალს ატკბობს და ფიზიკურ ნაკლოვანებებზე თვალს ახუჭინებს ადამიანებს. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა სამკაულების მორგებულ გამოყენებას. მარგალიტის მძივების მაცთური ლიცლიცი აუფერულებს ყელის ნაოჭებს, ბეჭდების ქვათა ციალი და სამაჯურების ასხმა ასაკს უკარგავს ხელებს და მაჯებს მოხდენილს აჩენს. ლამაზი თმის სარჭები თუ საყურეები იმდენად იპყრობს მზერას, როგორც ველურ ტომის წარმომადგენელთა სვირინგები

და ისე ახალისებს ჩვენს წარმოსახვას, რომ სახეზე არსებული ნაოჭები შეიძლება ვერც კი შევნიშნოთ.

მცდელობა იმისა, რომ შეძლებისდაგვარად შევამციროთ ზღვარი სიბერესა და ახალგაზრდობას შორის, ეს არის უნარი და მისწრაფება ცივილიზებული ადამიანებისა.

პარიკების დანიშნულება იყო, დაეფარათ შეთხელებული თმა ან მელოტი თავები. კოსმეტიკის კვალიფიციურად გამოყენება კანის დაბერებას შეუმჩნეველს ხდის. ჩაცმა მოხდენილად და მორგებულად ეს ხელოვნებაა და ფიზიკური არასასურველი ცვლილებების წარმოჩენისგან გვიცავს.

ხშირად არის საუბარი იმის შესახებ, რომ ადამიანის ასაკს განსაზღვრავს არა მისი წლოვანება, არამედ მისი სისხლძარღვებისა და ძვლების მდგომარეობა. 50 წლის ადამიანს შეიძლება ზოგჯერ 70 წელი მისცეთ, მეტიც. კარგად ნავარჯიშოვი სხეული ხანგრძლივად ინარჩუნებს მოქნილობას და მაშინ დაბერების პროცესს თან აღარ ახლავს მძიმე დაავადებათა ჯაჭვი. აზრი კი იმაშია, რომ ივარჯიშოთ ყოველ დღე და არა ხანდახან, სურვილისამებრ. შეუძლებელია შეაჩეროთ დაბერების პროცესი, მაგრამ შეგიძლიათ წინ აღუდგეთ მას.

ცნობილმა ფილოსოფოსმა მონტენმა ბრძანა: „ვისურვებდი, რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს ჩემი მოხუცებულობა, ვიდრე სიბერის მობრძანება დროზე ადრე მოხდეს“.

ხშირად ისეც ხდება, რომ ახალგაზრდობა ჩაივლის, ლტოლვაც მიწელდება და სიყვარული ასკეტიზმის გარკვეულ ელემენტებს ირგებს. ამასაც აქვს თავისი ხიბლი. ფიზიკური ლტოლვის ჩაცხრომასთან ერთად ქრება სექსუალური შეუთავსებლობაც. ამ დროს წყვილები წააგვანან მდინარეებს, რომლებიც სათავეში დიდ ზვირთებად მოღელავენ, შხეფებს

თამამად ისვრიან, მაგრამ ზღვასთან მიახლოებისას თითქოსდა სვლას ანელებენ და მათ განიერ ზედაპირზე ვარსკვლავები იწყებენ ციმციმს.

სიყვარული ასაკში შეიძლება იყოს ისეთივე გულწრფელი და შთამბეჭდავი, როგორც ახალგაზრდობის დროს. ვიქტორ ჰიუგო გვიამბობდა, თუ როგორ მოხიბლა მადამ რეკამიესა და შატობრიანის ურთიერთობამ. ქალი ბრმა იყო, შატობრიანი კი პარალიზებული. „ყოველ დღე დღის 3 საათზე შატობრიანი მიჰყავდათ მადამ რეკამიესთან შესახვედრად. ქალი, რომელსაც თვალისჩინი დაკარგული ჰქონდა და ვერაფერს ხედავდა, მამაკაცის საზოგადოებას ეძებდა, მამაკაცისა, რომელსაც შეგრძნება ფაქტობრივად დაკარგული ჰქონდა. მათი ხელები ერთმანეთს ხვდებოდნენ... სიკვდილი სულ ახლოს იყო, მაგრამ მით უფრო ძლიერი იყო მათი სიყვარული“.

### **ის, ვინც თამაშს მიღმა არ დარჩენილა**

ცხოვრების ემოციური მხარე სრულიადაც არ განისაზღვრება მხოლოდ სასიყვარულო იმპულსებით.

უფროსი თაობა ხშირად უფრო მეტად არის მიჯაჭვული თავის შვილიშვილებთან, ეს ურთიერთობა მათ ცხოვრებას ავსებს და ახალისებს. ჩვენ მათი სიხარული გვახარებს და საწუხარი გვაფორიაქებს, მათი სასიყვარულო განცდებიც გულთან ახლოს მიგვაქვს და მათ ბრძოლაშიც ცხოველ მონაწილეობას ვიღებთ. როგორ უნდა ვიგრძნოთ თავი თამაშს მიღმა დარჩენილ ადამიანებად, როცა ახლა ისინი თამაშობენ ჩვენს ნაცვლად? განა მათი ბედნიერების შემყურე ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ უბედურები? როგორი სასიამოვნოა, თუკი ისინი გატაცებით კითხულობენ იმ წიგნებს, რომელიც ჩვენ ვურჩიეთ...

მესამე თაობა ხშირად უკეთ პოულობს საერთო ენას თავიანთ შვილიშვილებთან, ვიდრე შვილებთან. ფიზიკურადაც კი, ისინი ბევრად ახლოს გრძნობენ თავს ამ თაობასთან. ისინი ვერ დარბობდნენ შვილებთან ერთად, მაგრამ სიამოვნებით

უწყობენ ფებს შვილიშვილებს. ჩვენს პირველ და უკანასკნელ ნაბიჯებს თითქოს ერთი რიტმი გააჩნია.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანების დაბერების პროცესი შესამჩნევად ნელდება, თუკი მათ ცხოვრებას რაიმე სერიოზული მიზანი გააჩნია. არსებობს მოსაზრება, რომ ცხოვრების აქტიური წესი ასაკოვან ადამიანს, გარკვეულწილად, ცვეთს. ამ მოსაზრებას მე არასგზით არ ვეთანხმები. სიბერისკენ სვლა – ეს ძალიან ცუდი ჩვევაა, რომლისთვისაც დაკავებული ადამიანი ვერასდროს მოიცლის.

ხშირ შემთხვევაში ასაკოვანი ადამიანები ბევრად უფრო კარგი ლიდერები არიან, ვიდრე ახალგაზრდები. ხანდაზმულ დიპლომატებსა და ექიმებს დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ და სიბრძნე გააჩნიათ. ახალგაზრდული ვნებები მათ ნაკლებად ატყვევებთ და გადაწყვეტილებებსაც მშვიდი გონებით, დინჯად იღებენ.

ციცერონმა ბრძანა: „დიდი საქმეები ყოველთვის კეთდებოდა ასაკისთვის ნიშანდობლივი დადუღებული სიბრძნის წყალობით და არასოდეს დიდი ფიზიკური ძალის ზეწოლის მეშვეობით“.

## **სინათლის ხაზი**

დაბერების ორი გონიერი გზა არსებობს. პირველი – არ მისცეთ თქვენს თავს დაბერების უფლება. ეს გზა ეკუთვნის იმ ადამიანებს, ვინც მოახერხა სიბერისგან თავის დაღწევა და ცხოვრების აქტიურ გზას შეუდგა. მეორე – სიბერე უნდა მიიღოთ მშვიდად და ცივი გონებით. ბრძოლის დრო დასრულდა. არის კატეგორია ასაკოვანი ადამიანებისა, რომელიც არა მხოლოდ შურის თვალით შეჰყურებს ახალგაზრდებს, არამედ სიბრალულის გრძნობაც ეუფლება, რადგან ისინი ახლა ცხოვრების მბორგავი ნაკადის წინაშე დგანან. ის სიამოვნება კი, რომელიც მათ თავის დროს ვერ იგემეს, ახლა ამ ახალგაზრდების ხელშია.

დაბერების პროცესს რამდენიმე არასასიამოვნო მხარე აქვს. ერთ-ერთი და ყველაზე მძიმე იმის გააზრებაა, რომ რაღაც სამუდამოდ ჩაიწრიტა თითებს შორის და უკან დაბრუნება აღარასდროს უწერია. საუბედუროდ, არსებობენ ადამიანები, რომელთა ცხოვრება უკანასკნელ წუთამდე დაუკმაყოფილებლობის შეგრძნებითაა მოწამლული.

დაბერების ხელოვნება იმაშია – თავი ისე გვეჭიროს, რომ შემდგომი თაობისთვის ერთგვარ საყრდენად ვიქცეთ და არა ქვეშედამტან ქვის ლოდად, ნდობით სავსე პიროვნებად და არა მეტოქედ.

საჭიროა პენსიაზე გასვლის საკითხსაც შევეხოთ. ეს თემა ხშირად არაერთგვაროვან რეაქციას იწვევს ხოლმე. ამავე დროს ადამიანისთვის, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენია გაცემის უნარი, ეს ცვლილება შეიძლება დიდი სიამოვნების დასაბამადაც კი იქცეს. საკუთარ სახლში, ბაღში, იქნებ, მათ დიდი ხნის ოცნება აიხდინონ, ბოლოს და ბოლოს თავისი ჭირს გახარების შესაძლებლობა მიეცეთ.

ეს ეტაპი კიდევ უფრო საინტერესო იქნება იმ ადამიანისთვის, ვისაც პოეზია იზიდავს, ლიტერატურა უყვარს, ბუნების სილამაზეს ეტრფის და დიდ ხელოვანთა შედევრებს დიდი გატაცებით შეჰყურებს – ისინი ხომ ჩვენი ერთგული და უკვდავი მეგობრები არიან.

ასეთივე განუყრელი მეგობარია მუსიკა. მათთვის, ვისაც ადამიანებთან ურთიერთობამ იმედგაცრუება მოუტანა და გარკვეულწილად გული გაუტეხა, მუსიკის ზღაპრულ სამყაროსთან ზიარება შეიძლება ნამდვილ სასწაულად იქცეს.

პასკალმა თქვა: „ადამიანის ცხოვრება შეიძლება ჩაითვალოს ბედნიერად, თუკი ის მას სიყვარულით იწყებს და პატივმოყვარეობით ასრულებს“. თუ ამბიციები დაკმაყოფილებულია, სიბერეში ცხოვრება მშვიდად მიედინება.



მაშ ასე, 10 ან 20 წლის შემდეგ, მას მერე, რაც ადამიანი შუქრდილის ხაზს გადალახავს, მას უკვე ძალია შესწევს სინათლის ხაზსაც გადააბიჯოს. ის თავს მშვიდად და ბედნიერად ბრძნობს. მისი კეთილგანწყობილება და გულწრფელობა მის სულის მდგომარეობაზე მეტყველებს. არა, სიბერე არ არის ჯოჯოხეთი, რომლის შესასვლელთან ასეთი წარწერაა ამოტვიფრული: „ყველა იმედი, რაც გაგაჩნდა, აქ დატოვე“. თუ ხანდაზმული ადამიანები იმსახურებენ მეგობრობას, ისინი ყოველთვის გარშემორტყმულნი არიან ხალხით... და... ბოლოს და ბოლოს, სიკვდილის შიში შეიძლება ყოველთვის იქნეს დაძლეული რწმენითა და ფილოსოფიით.

### **ძილის დროა, სულ ესაა**

საინტერესოა, მოახერხებს თუ არა მეცნიერება ოდესმე სხეულის დაბერების პროცესის შეჩერებას? ნუთუ, ოდესმე იარსებებს ისეთი შადრევანი, რომლის ნაკადის ქვეშ განზანის შემდეგ ჩვენ კვლავ შევძლებთ ჩვენი სიყმაწვილის დაბრუნებას? ბიოლოგებმა ეს მოახერხეს უმარტივეს არსებებზე ცდების ჩატარებისას, მაგრამ ღირს კი ამდენ ხანს ადამიანის ცხოვრება?

80 წლის ადამიანს უკვე ყველაფერი აქვს განცდილი: სიყვარული და მისი დასასრული, ამბიციები და შემდგომი სიცარიელე, გულუბრყვილო ილუზიები და გამოფხიზლება, რაც მათ მსხვრევას ხშირად სდევს თან.

სიკვდილის შიში არცთუ ისე ძლიერია სიბერის ჟამს, მიჯაჭვულობა და ინტერესები წარსულში დარჩა, რამეთუ გვაკავშირებდა იმ ადამიანებთან, ვინც უკვე ამ ქვეყანას გაერიდა.

**რა არის შემდეგი? სიკვდილი – ცხოვრების ყველაზე სახიფათო თამაში.**

როცა ჰერბერდტ უელსს 70 წლის იუბილეს აღუნიშნავდნენ, ის სიტყვით წარსდგა აუდიტორიის წინაშე და თქვა, რომ ამ დღემ მას შორეული ბავშვობა გაახსენა. მიძა ხშირად

ეუბნებოდა მას: „ჰენრი, თქვენი ძილის დროა“. როგორც წესი, ის ძიძას წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ გულის სიღრმეში კარგად ესმოდა, რომ ძილს მოსვენება სდევდა თან.

„სიკვდილი – კეთილი და, იმავდროულად, მკაცრი ძიძაა, და როცა დრო მოდის, ის ამბობს: „ჰენრი, ძილის დროა“. ჩვენ კვლავ ცოტას ვიწვრილებთ, მაგრამ კარგად გვესმის, რომ დასვენების დრო მოვიდა და გულის სიღრმეში ველით კიდეც მას.“

\*\*\*\*\*  
\*\*\*\*\*

ეს ტექსტი ალექსანდრე გერმანის კედელზე ეკიდა. ეს არის მოხუცი ადამიანის ლოცვა, რომელსაც მისი მამა კითხულობდა ხოლმე, ცნობილი მწერალი იური გერმანი.

უფალო, შენ ჩემზე უკეთ უწყი, რომ მალე სიბერე შემომიღებს კარს. ნუ გამავლებინებ გონებაში საბედისწერო აზრს, რომ აუცილებელია ყველაფერზე ჩემი მოსაზრება გამოვთქვა.

მიხსენი ცთუნებისგან, არ მსურს ვინმეს საქმეში ცხვირი ჩავყო, არ მინდა ადამიანებს თავი მოვაბეზრო, სჯობს ვიაზროვნო და ხალხი არ შევაწუხო, რამე სასიკეთო გავაკეთო და არა დესპოტად ვიქცე.

მიხსენი სურვილისგან, რომ დეტალური თხრობით ხალხს თავი შევაწყინო. მიბოძე ფრთები, რომ უძლურმაც კი შევძლო მიზნის მიღწევა. დამადუმე, თუკი ჩემი ავადმყოფობების შესახებ საუბარს წამოვიწყებ. მათი რაოდენობა მატულობს და მათ შესახებ საუბარი, რაც დრო გადის, სულ უფრო ტკბილი ხდება.

არ გთხოვ, რომ გააუმჯობესო ჩემი მეხსიერება, მაგრამ ჩემში კაცთმოყვარეობას ნუ ჩაკლავ, მოთოკე ჩემი თვითდაჯერებულობა, როცა ჩემი მეხსიერება სხვისი მეხსიერების წინაშე წარსდგება.

გემუდარები, უფალო, ნუ დამზოგავ, როცა ჩემთვის რაიმეს სწავლების საშუალება მოგეცემა. შემაგნებინე, რომ მეც შემძლია შეცდომის დაშვება.

თუკი ვახერხებდი ვყოფილიყავი კეთილგანწყობილი, შემინარჩუნე ეს უნარი. მართლია, მე არ ვაპირებ წმინდანად ქცევას, ზოგჯერ ისინი აუტანლებიც კი ხდებიან ახლო ურთიერთობის დროს, მაგრამ ადამიანები, რომელთაც არცთუ იოლი ხასიათი აქვთ – ხანდახან თვით ეშმაკის სრულყოფილი ქმნილებანი არიან.

მასწავლე, როგორ გავაკეთო სიკეთე იქ, სადაც ამას არ ელიან და აღმოვაჩინო და დავაფასო დაფარული ნიჭი სხვა ადამიანებში.

ეს „მოხუცი ადამიანის ლოცვა“ მამას გამოუგზავნა მწერალმა და მეცნიერმა დანიილ დანიმმა, ყოველმხრივ დაჯილდოებულმა საოცარმა ადამიანმა. მან უნივერსიტეტის ორი ფაკულტეტი დაამთავრა და როცა გადაიარა სტალინური ეპოქის ქართვეილებმა, კარგისა და ცუდის გარჩევა შეწყდა და დაიწყო ბრძოლა „უჯიშო კოსმოპოლიტების“ წინააღმდეგ, ის უბრალოდ ამ ვითარებას გაერიდა და ექსპედიციას შეაფარა თავი. ამ ექსპედიციაში დაჰყო მან სტალინის გარდაცვალებამდე. მოგვიანებით, „დათბობის“ დადგომასთან ერთად, ის უცხოეთში მიიწვიეს. დანიმმა ინგლისურის შესწავლა გადაწყვიტა და „სამი გოჭით“ დაიწყო. კითხულობდა ინგლისურენოვან ჟურნალებს. ამ ლოცვასაც იქ გადააწყო და თარგმნა გადაწყვიტა. თარგმანი კი მამას გადმოუგზავნა. მას მერე ამ ლოცვამ ჩვენს ოჯახში დაიდო ბინა. ის ჯერ მამაჩემის სამუშაო მაგიდის თავზე ეკიდა, თუმცა მამას ხნიერი არასოდეს ეთქმოდა, ახალგაზრდა გარდაიცვალა.

– თქვენ როდისღა დაკიდეთ ეს ლოცვა თქვენი მაგიდის თავზე? რა ასაკში?

– მამას სიკვდილის შემდეგ, მამა კი 1967 წელს გარდაიცვალა. ... მას შემდეგ აქ კიდი.

- და... როდის გახდა ის თვენი გულისთვის ახლობელი, როდის გაითავისეთ?

- ის ყოველთვის „ჩემი“ იყო, 40 წლის ასაკში თავს უკვე ასაკოვან ადამიანად ვგრძნობდი. ეს, როგორც ჩანს, გენეტიკურია. მამასაც 50 წლის ასაკში თავი ძალიან ხნიერად მიაჩნდა, თუმც უცნაურია, სრულიად არ ჰგავს მოხუც ადამიანს, თუკი მის იმ დროის ფოტოსურათებს შეავლებთ თვალს.

ალექსეი გერმანი

## ოლგა ვასერდამი

ოლგა ვასერდამს წელს 96 წელი შეუსრულდა, ესაა ერთ-ერთი სრულიად განსაცვიფრებელ ქალბატონთაგანი, რომელსაც ჩემი ცხოვრების მანძილზე შევხვედრივარ, მისი ცხოვრების წესი და ახალგაზრდული შემართება უტყუარი დადასტურება იმისა, რომ ასაკი სულის თვისებაა და მას წლოვანებასთან ბევრი არაფერი ესაქმება. ჩინელებს აქვთ ერთი შესანიშნავი გამოთქმა: „მინდა მოკვდე, რაც შეიძლება გვიან და რაც შეიძლება ახალგაზრდა“... და ეს ნამდვილად შესაძლებელი ყოფილა ოლგა ვასერდამის მაგალითზე, ღმერთმა კიდევ დიდი ხნის სიცოცხლე მისცეს...



ოლიას ბავშვობიდან ვიცნობ. ის საქართველოშიც ყოფილა და თავისი შესანიშნავი მოდელების ჩვენებაც არაერთხელ გაუმართავს. თავისი მოლბერტითა და ფუნჯ-საღებავებით შეიარაღებული დაიარეზოდა მთელ თბილისში და შესანიშნავ ეტიუდებს ჰქმნიდა.

ჩვენი ამერიკაში მოხვედრაც მისი და მისი ვაჟის, მამაჩემის მეგობრის, ვალოდია ვალოდინის დამსახურებაა. სწორედ მათ გაითამაშეს ჩვენთვის მწვანე ბარათი. თვითონ კი აქ 1995 წლიდან დამკვიდრდნენ.

ოლგა ვასერდამი მხატვართა საერთაშორისო კავშირის წევრია. მისი ინტერესთა მრავალფეროვნება, სულიერი შემართება და ახალგაზრდული სულისკვეთება ჩემს აღფრთოვანებას და დაბნეულობას ერთდროულად იწვევს.

მოსკოვში ცხოვრების დროს ოლგა ვასერდამი აწყობდა ჩვენებებსა და გამოფენებს, ხელმძღვანელობდა ჰრაკერვის წრეებს, გამოსცემდა წიგნებს ხელსაქმის შესახებ, რომელთაც დახლის ქვეშიდანვე იტაცებდნენ. თავისუფალი დრო არასდროს ჰქონია, მისი ყოველი წუთი გაჯერებული იყო ახლის ძიებით და სრულყოფილებისკენ სწრაფვით.

აქ ახლად ჩამოსულს მიკითხავდა თავის მოთხრობებს. მოთხრობები გულს მიჩუყებდა თავისი გულწრფელობით და ცხოვრებისეული სინამდვილის მისეული სიღრმისეული წვდომა-წარმოჩენით. არა ერთხელ ცხარე ცრემლითაც მიტირია. გადავწვიტე რამდენიმე მოთხრობა ქართველი მკითხველისთვისაც მიმეწოდებინა, დარწმუნებული ვარ, რომ ისინი გზას მკითხველის გულუბისკენ ადგილად გაიკვალავენ.

## ნინა ლისაგორსკაია

ნინა უჩვეულო, საინტერესო ქალი იყო. უჩვეულო იმიტომ, რომ ბოროტებას იოლად აკეთებდა, საინტერესოს რომ ვამბობ, გარეგნულ სრულყოფილებას ან სულიერ სინატიფეს როდი ვგულისხმობ. არა! აქ ყველაფერი სწორედაც რომ საპირის-პიროდაა.

ბავშვობაში მაღალი იყო, ხმელი, ჭოკივით თავალერებული. თხელი სწორი თმები აქეთ-იქით გამოფშეკოდა. წინა ორი გამოჩრილი კბილი, აშკარად არღვევდა დაშვებულ ზღვარს, სახეზე ჭორფლი რაღაცნაირად ულამაზოდ ეყარა. სკოლაში ყველას ათვალისწუნებული ჰყავდა, სწორედ ამ მავნე ზნის გამო იოლად იგდებდა ყველას აბუჩად და ჭკუას ასწავლიდა. მასთან ურთიერთობა უჭირდათ და თავს არიდებდნენ. მეც ყოველმხრივ ვცდილობდი, გვერდის ავლას, ბიჭებმა „მელია“ შეარქვეს და ეს მეტსახელი ბოლომდე შერჩა კიდევ.

დამთავრდა ომი, სკოლაც დავამთავრეთ. მე სამხატვრო აკადემიას მივაშურე, ნინა არქიტექტორი გახდა, ცოლად მოსკოვის მთავარი არქიტექტორის ვაჟს გაჰყვა. ერთ თვეში გასცილდა. ვაჟი შეეძინა, ბორისი – ბუბკა, რომელიც ჩემს ვაჟზე ერთი წლით უმცროსი იყო.

ნინას ბუბკასთან ერთად არქიტექტორთა სახლში საახალწლო ნაძვის ხეზე გადავეყარე. ძლივს ვიცანი. კულულები ტალღებად ეყარა, თვალები დაეხატა, წამწამები აეპრიხა, ლოყები ვარდისფრად უღვიოდა, პომადაც გვარიანად ესვა. ოდესღაც უშნო ჭორფლიც სულ სხვანაირად იმზირებოდა და რაღაცნაირ ხიბლს სძენდა მის სახეს. ჩემდაუნებურად მიეუახლოვდი და აღფრთოვანებულმა მისი გარეგნობით ჩემი ალტაცება გულწრფელად გამოვხატე. ნეტაი, ვინ მექაჩებოდა ენაზე... ჩემდა საუბედუროდ, ნინამ ჩემთან მეგობრობა გადაწყვიტა.

ნინა ყოველ კვირას ქალაქგარეთ მიმართევდა ღრმა რწმენით, რომ სუფთა ჰაერზე ყოფნა ნაოჭების გაქრობას სასიკეთოდ წაადგებოდა, ანდა სად გვექონდა მაშინ ნაოჭები – 30 წლამდე ჯერ დიდი დრო იყო. როცა შემეძლო, უარს ვერ ვეუბნებოდი და იძულებული ვხდებოდი, დამეთმო და

გავყოლოდი. გზად ათასი სისულელით მიჰქედავდა ყურებს, უმეტესწილად, ჩვენი ნაცნობების ლანძღვა-გინებით იქცევდა თავს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ტრანსპორტში ჩხუბი არ აეტება, ვილაც არ გამოეღანძლა, არ გაეთათხა, მუჯლუგუნის კვრით მიიკვლევდა გზას და სხვას სთხოვდა პასუხს, აქაოდა, ხელს მკრავთ და უხერხულობას მიქმნითო.

ისე... რაღაც დადებითიც ჰქონდა... მიწა უყვარდა... ყვავილებს რგავდა, რწყავდა, უვლიდა... ძაღლების მიმართაც სინაზეს იჩენდა.

ხშირად მივყავდი ხოლმე ვაგანკოვის სასაფლაოზე. იქ ვისოცკის საფლავის შორიახლოს ნინას მშობლები და მისი ბებია განისვენებდნენ. მე თან მიმქონდა პატარა დასაკეცი სკამი, რომელზეც მჯდარი ტყეში ეტიუდებს ვაკეთებდი. ამ სკამს საფლავებს შორის ჩავდგამდი, ჩხირებს ამოვიღებდი და ვქსოვდი ხოლმე.

ნინას კიდევ ერთი თვისება მაცნობდა და საგონებელში მაგდებდა – ადამიანთა თითქმის სიძულვილის ფონზე მიცვალებულების მიმართ საოცარი ერთულებისა და სიყვარულის უნარი. ნინა დიდი მონდომებით და რუდუნებით უვლიდა მიწას საფლავებზე და მათ ირგვლივ. სულ თვალწინ მიდგას მისი ტალახში ამოთხვრილი ხელები და მიწის მუქი კანტი ფჩხილებქვეშ.

ნინას ორი ძაღლი ჰყავდა, რა ჯიშის, არ მახსოვს, მაგრამ ორივე უბეწო, შიშველი ტანით, უსახური, შეხედვისთანავე ბურბულებს რომ დაგაყრიდა. ნინასთან სტუმრად მისვლას ვერ მოასწრებდი, რომ დაგეტაკებოდნენ და უხამსად დაგიწყებდნენ გლესვას... სტუმარი თავს უხერხულად გრძნობდა, ნინა კი, ვითომდა აქ არაფერიაო, ალერსით სავსე ინტონაციით დაუყვავებდა: „ბობიკ, დეზი, მორჩით ახლა, თქვენს საქმეს მიხედეთო“.

ნინა პატარა, სოფლის ყაიდის ორსართულიან სახლში ცხოვრობდა. მის სამოთახიან ბინას ამ სახლის მეორე სართული ეჭირა და გადავსებული იყო ძველი ავეჯით. ვერ გაივლიდი. ერთ კედელს თავიდან ბოლომდე ასდევდა უცნობი მხატვრის ნახატი, ალბათ, ასლი. სურათიდან ულამაზესი ახალგაზრდა ქალი შემომყურებდა. მისი ფიგურა მთელ სიმაღლეზე იშლებოდა, ლამაზი საღამოს კაბა ემოსა კრენოლინით დამშვენებული,

შავი თმა კეფაზე ყულფად შეეკრა და უწესრიგოდ ჩამოშლილი მხრებზე სცემდა. მე კარგად მახსოვს ეს სურათი, იმდენად გამოირჩეოდა ამ ძველი ავეჯის ფონზე.

ყოველ წელს, 8 სექტემბერს, ნინა დაბადების დღეზე თავისთან ეპატიჟებოდა რამდენიმე კლასელს. არავის გულზე არ გვეხატებოდა და... მაინც ბევრი რამ გვაკავშირებდა – ბავშვობა, სკოლა... თან დაპატიჟება დაჟინებული ტონით, მოთხოვნასავით ჟღერდა.

კლასში ერთი არაჩვეულებრივი გოგონა გვყავდა, მარა სიმკინა, არცთუ მაღალი, მკვეთრი ნაკვეთებით, ხვეული თმით, უზარმაზარი, ბოჩოლასავით მორჩილი თვალებით, ცხოვრებას რომ სულ აღტაცებითა და სიყვარულით შეჰყურებს. სკოლაში თავი მეტად თავმდაბლად ეჭირა, მისი გულუბრყვილობა და სისუფთავე გხიბლავდა. სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა და საბავშვო ექიმად მუშაობდა.

აი, მარა ნინამ მაშინვე ამოიღო მიზანში და სიცოცხლე გაუმწარა. ყოველ დაცემინებაზე იძახებდა და სისხლს უშრობდა. ისიც მორჩილად მიდიოდა, მიჰქონდა აუარება წამალი და მკურნალობდა, როგორც შეემლო.

ერთ დღესაც ნინას სახლისკენ მიმავალ გზაზე მარამ ველარ მოითმინდა და ნინას აუტანელი ხასიათის შესახებ შემომჩვილა. „მისი აგდებული ტონი და ბოროტების კეთების უნარი გაუსადმლისია“, – მითხრა აღელვებულმა, – „დროა, საკმარისია! დღეს ყველაფერს გულწრფელად ვეტყვი და ყველაფერს თავის ადგილს მივუჩენ“. ვურჩიე, დაბადების დღეა და იქნებ, ამისთვის სხვა დრო შეგერჩია-მეთქი, მაგრამ, როგორც ჩანს, მარას მდგომარეობა იმდენად გაუსადმლისი იყო, რომ შუა ზეიმის დროს ეს ჩვენი მშვიდობიანი, მოკრძალებული მარა წამოდგა, ჭიქა ასწია, ულამაზესი თვალები ცრემლებით ავესო და თქვა: „ნინა, შენ უღირსი ადამიანი ხარ, უმადური, ცხოვრება ჯოჯოხეთად მიქციე“. გაკაპასებული ნინა სკამიდან წამოხტა და დაჰკვივლა: „ეს შენ ხარ არა ადამიანი, აქ მოხვედი, ჩემს გამომცხვარ ტკბილეულს მიირთმევ და კიდევ ამდენს ბედავ??“ ყვიროდა დიდხანს, მარას თავს ლაფს ასხამდა და დაუნდობლად ილანძღებოდა. უნდა ითქვას, რომ ნინა კულინარიაში



დიდი ხელოვნებით ვერ გამოირჩეოდა, მისი ნამცხვრები ყოველთვის უგემური იყო. ყველანი ავდექით და უსიტყვოდ დავტოვეთ ნინას სახლი.

გავიდა დრო. ნინამ იტალიის მონახულება განიზრახა, ერთორ თვეში სალაპარაკოიტალიურიც შეისწავლა. ისე, უნდა ითქვას, რომ ბევრ რამეში ძალიან ნიჭიერი იყო: გადაიკითხა ლიტერატურა იტალიის ღირსშესანიშნაობების შესახებ და საფუძვლიანად მომზადებული გაუდგა გზას. იტალიაში ვიღაც ცნობილ ცოლიან პოლიტიკურ მოღვაწესთან რომანიც გააბა. ამ რომანმა რამდენიმე წელი გასტანა და ამანათების დიდი ნაკადით დასრულდა. ნინა თავს ხშირად იწონებდა საყვარლების გამოგზავნილი ჩექმებითა, თუ პალტოებით.

მისმა ვაჟმა, ბუბკამ არქიტექტურის ფაკულტეტი დაამთავრა. სიყვარული ეწვია და ცოლის მოყვანა გადაწყვიტა. ნინა თმებს იგლეჯდა და მთელი ხმით გაჰკიოდა: „არ მოგცემ უფლებას, ეს არასდროს მოხდება!!! ვალის უხეში პირის ოვალი აქვს. ვის დაემსგავსებიან ბავშვები?“. ვალია ორსულად შეიქნა და ბუბკამ ქორწინება ოფიციალურად გააფორმა, დაიბადა გოგონა, მაგრამ ნინამ მათ სახლში ფეხი ამოუკვეთა. რამდენიმე წელი ისე გავიდა, შვილიშვილი თვალით არ უნახავს. შემდეგ გონს მოეგო, მაგრამ ახლა ვალია დადგა ჯიქურ და მის ნახვაზე სასტიკი უარი განაცხადა. ნინამ სარჩელი სასამართლოში შეიტანა. ნინას შვილიშვილის კვირაში ერთხელ ნახვის ნება დართეს. ბუბკას ცხოვრება ჯოჯოხეთს დაემსგავსა. ორ ცეცხლს შორის უწევდა ტრიალი და მეტად იტანჯებოდა.

ნინა ბელორუსიის რკინიგზაზე პოდმოსკოვიეს “რუსკი ვაგზალს” კურირებდა და ამ რაიონში მიწის ნაკვეთის შეძენა შემომთავაზა. დავთანხმდი და ძველ რუხში მიწის ნაკვეთი ვიყიდე პატარა სახლითურთ. ნინას მიწის ნაკვეთი უკვე ჰქონდა. რამდენიმე წლის განმავლობაში გაზაფხულზე კარტოფილის ჩითილებსაც მაძლევდა, ახლაც მახსოვს მისი სახელი, „სინეგლაზკა“. არაერთხელ უკითხავს რჩევა, თუ როგორ დაელაგებინა კრამიტი სააგარაკო სახლის სახურავზე, რა ფორმის კვლები გაეველო, როგორი იქნებოდა უმჯობესი ყვავილებისთვის.

ჩემს აგარაკზე ყოფნა დიდ სიამოვნებას მანიჭებდა, ჩემი მიწის ნაკვეთის თითოეული კუთხე-კუნჭული მოვლილ-მოწესრიგებული მქონდა.

მახსოვდა ნინას სიყვარული მიწის მიმართ და მისი მონათხრობის საფუძველზე ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მისი ნაკვეთი მოვლის თვალსაზრისით ჩემსას ბევრად სჯობდა. საბოლოოდ ვესტუმრე და ჩემ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, სახლის სახურავის მხოლოდ ნახევარი უძვირფასესი კრამიტით იყო გადახურული, მეორე ნაწილი კი სულ მთლად ღია იყო და სიცარიელე ჩამომყურებდა. სახლი დაუმთავრებელი იყო, ბუჩქის ირგვლივ, რომლის შესახებაც არა ერთხელ და ბევრი გვილაპარაკია, სარეველა უხვად ამოყელყელავებულიყო, მარწყვისა და ბოტნეულის კვლები გაუმარგლავი და მოუვლელი ჩანდა, ყველაფერს უწესრიგობის და უპატრონობის კვალი აჩნდა.

დაიწყო დიდი ორდინკის რეკონსტრუქცია, პატარა სახლები ნგრევის ზონაში მოექცა, ნინას სანაცვლოდ სხვა რაიონში სამოთახიანი ბინა შესთავაზეს. მან დანილოვის მეტროსთან აგურის შენობა აირჩია და ბინის სანახავად ბუბკასთან ერთად წასვლა მთხოვა. ურთიერთობა ამ დროისთვის მათ შორის მეტად გამწვავებული იყო.

შეგხვდით მეტროსთან, მთელი 20 წუთი, გზად ამ შენობამდე, თვალზე ცრემლმორეული ბუბკა მემუდარებოდა, რომ დედისთვის აზრი შემეცვლევინებინა ამ სამოთახიან ბინაში გადასვლასთან დაკავშირებით. ბუბკა მზად იყო ორმოთახიანი ბინა დედისთვის დაეთმო, თვითონ კი თავისი ოჯახით სადმე ერთმოთახიანში გადასულიყო, თუნდაც ქალაქგარეთ, თუნდაც საერთო ბინის ერთ ოთახში, ოღონდ დედისგან ცალკე. „ეს დედა არაა, დამიჯერეთ, ეს რაღაც საშინელი ბოროტი აფთარია, მე სიკვდილი არ ამცდება, თუ მასთან ერთად მომიწევს ცხოვრება“, – მოსთქვამდა საბრალო.

ბინა მართლაც საუცხოო აღმოჩნდა, ორი დიდი ნათელი ოთახითა და ერთი პაწაწინათი. ნინას ბუბკას თხოვნა რომ გადავეცი, გადაირია და პირზე დუჟი მოადგა. სხვა რა გზა იყო, მალე ნინამ 2 დიდი ოთახი დაისაკუთრა და ბუბკა თავისი

ოჯახით ამ პატარა ოთახში შეყუჟა. ეს იყო სრულიად გაუგონარი ამბავი, მით უმეტეს, ჩემთვის. მეც დიდი გადაცვლა-გადმოცვლა მომიხდა, ვიდრე ჩემს შვილს ბინა ჩემივე შენობაში არ გადმოვაცვლევი, რადგან მასთან სიშორე ჩემთვის ნამდვილი ტრაგედიის ტოლფასი იყო.

ნინა საავადმყოფოში მოხვდა. რამდენჯერმე მოვინახულე, ყოველ მისვლაზე, განზრახ მთელი პალატის გასაგონად უკმაყოფილებას გამოთქვამდა მიტანილი ხილის ვარგისიანობა-ხარისხთან დაკავშირებით, არადა, მე მათ ყოველთვის ბაზარში ვყიდულობდი და დიდი გულისყურით ვარჩევდი.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ ამერიკაში გამგზავრება გადაწყვიტეთ. წამოსვლის წინ ნინაც მოვინახულე. მისი ბინა ვერ ვიცანი – ჭუჭყს მიჰქონდა ყველაფერი, ყველგან არეულობა და უწესრიგობა სუფევდა. ძველ, კოხტა, თეთრ ალუმინის ჩაიდანს შავი ფერი დასდებოდა, სურათზე მშვენიერი გოგონაც თითქოს ზომით დაპატარავებულიყო, ჭერი ხომ აქ გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე ძველ ბინაში. ნინაც რაღაცნაირად დაჩივდა, ნაოჭებმა გზა გამოიკვლიეს, წინა კბილების ნარჩენები რატომღაც საგულდაგულოდ ბამბით ჰქონდა გადახვეული, ყოველთვის ძალიან უფრთხოდა კბილის ექიმებს.

ბუბკაც ძლივს ვიცანი, გახდა, გამოიფიტა რაღაცნაირად. მხრებში მოიხარა, სახეზე ფითრისფერი დაჰკრავდა. ჩემს მზერას უიმედო ხელის ჩაქნევით უპასუხა.

ამერიკაში ახალი ჩამოსულები ვიყავით, როცა ბუბკას გარდაცვალების შესახებ შევიტყვეთ. ახლა ნინა რუდუნებით უვლის მის საფლავს. თვალწინ მიდგას მისი ტალახში ამოვლბული ხელები და შავი კანტი ფრჩხილებს ქვეშ!

ნინამ არდერძი თავისი შვილიშვილის სახელზე დაწერა. ეს ერთი სასიკეთო საქმე მაინც გააკეთა, თუმც მისი ბოროტი ბუნებიდან გამომდინარე, თავისუფლად შეემლო ყველაფერი უცხო ადამიანებისთვის დაეტოვებინა, შინაურების გულის გასახეთქად.

უფალი იყოს მისი მსაჯული... სხვათა შორის, საოცარია, მაგრამ ნინას თავი დიდ მორწმუნედ მიაჩნდა...

## ჩემი კინოფესტივალი

ამბობენ, რომ ყველაზე რთული პირველი ფრაზის დაწერაა, ამას ჩემს შესახებ ვერ ვიტყვოდი. იოლად ვახერხებ, გულწრფელად რომ ვთქვა, წერილების გარდა არც არაფერი მაქვს დაწერილი. თუმცა... მოიცა... მე ხომ უზარმაზარი წიგნიც გამოვეცი, თან მილიონობით ტირაჟით. ის გაყიდვაშიც კი არასდროს ყოფილა, დახლისქვეშიდან გაიტაცეს, იმდენად დიდი იყო მისი პოპულარობა, მაგრამ ეს ერთგვარი „ტექნიკური ლიტერატურა“ – სპეციალობასთან დაკავშირებული. მას ცალკე და მოზრდილი თავი მიემდვება, თუკი დაწერას გადავწყვიტ, თუკი ჩემს ამ წამოწყებას აქვე არ დავუსვამ წერტილს და ამ ფურცელს ნაკუწ-ნაკუწ არ ვაქცევ... მაშ ასე! ჩემი კინოფესტივალი!

ყველა დღესასწაულზე მეტად მიყვარს საერთაშორისო კინოფესტივალები, რომელიც მოსკოვში 2 წელიწადში ერთხელ იმართება. მე ყოველთვის ვყიდულობ აბონემენტს, თან არა ერთს. ხანდახან დღეში 4 ფილმსაც ვუყურებ, რატომაც არა, ზამთრის განმავლობაში მეტად დაძაბული რეჟიმი მაქვს, უამრავს ვმუშაობ, სად მაქვს კინოში წასასვლელი დრო? ზაფხულობით კი ხანგრძლივი შვებულება მეკუთვნის.

1975 წლის 10 ივლისი. მოსკოვი, კინოთეატრი „რასია“. დილის 9 საათი და 30 წთ. ფესტივალის გახსნის თარიღი. შადრევანსა და კინოთეატრში შესასვლელ კიბესთან უამრავი ხალხი ირევა. ვის აღარ ნახავთ აქ... ექსტრავაგანტულად აცვიათ... მადლობა ღმერთს, დღეს ყველაფრის ტარებაა დაშვებული, აღარაფერი გვიკვირს, ფერთა სიხასხასე და სიმკვეთრე თვით მზესაც კი ჭრის თვალს. ლიტვის ბაზარი თუ საბინაო გაქირავების პუნქტები მრავალფეროვნებით აქ რა მოსატანია. აქ თავს ყოველთვის სხვა საზოგადოება იყრის, ასე ვთქვათ, არტისტული, ვისაც კინოხელოვნება უყვარს. არავითარი ასაკობრივი ზღვარი. ყველაზე მეტად ჩემს ყურადღებას შეკრებილთა სახეების გამომეტყველება იპყრობს – „მე კი არ ვყიდი, ცცვლი“, თითქოს ამის თქმა სურთ, „მე კარგად ვიცი, რომელი

ფილმის ნახვა ღირს და რომელი სათვალავშიც კი არაა ჩასაგდები“.

ამ კორიანტელში ვითქვიფები, მის განუყოფელ ნაწილად ვგრძნობ თავს. „ვინ ყიდის აბონემენტს?“, „რა გნებავთ?“, „აქ არაფრის ყოდვა არ შეიძლება, მხოლოდ გაცვლა, თუ გსურთ“. უმეტესობას ბილეთების თუ აბონემენტების დასტა აქვს ჩაბღუჯული. ზოგს კისერზე პატარა დაფა აქვს ჩამობმული წარწერით: „ინგლისელს ვცვლი რეპორტიორზე“, „ბელმონდოს რაფაელზე“, – გაჰკვივის ვიღაც ან „სოფი ლორენს გაბენზე“. ირგვლივ ყურისწამლები ხმაურია.

ნახევარსაათიანი ბოდიალის შემდეგ ფეხზე ძლივს მდგომ ნასვამ კაცს ვაწყდები და ბედნიერი ვტოვებ აბობოქრებულ მასას. ხელში 12-მანეთიანი აბონემენტი მიჭირავს, რომელიც 15 მანეთად მომყიდეს.

ჩემს სკამს ვპოულობ. არც კი ვიცი, რა ფილმს აჩვენებენ. ვერაფრით ვერთვები. დარბაზს ვტოვებ. სატელეფონო ჯიხუ-რისკენ გავრბივარ.

– პანია, საყვარელო, როგორ ხართ? ბორისი როგორაა?

– ჯერჯერობით ცუდად, ვცდილობ სხვა რამეზე ვიფიქრო.

დარბაზს ვუბრუნდები. „ჩემო ძვირფასო, საყვარელო დედიკო, მაინც როგორ მოხდა ეს ყველაფერი“, – მიფეთქავს ტვინში და პასუხს ვერ ვპოულობ...

დედაჩემი თავის ტყუპისცალზე 5 წთ-ით ადრე დაიბადა. მსგავსება დიდი იყო, ერთმანეთისგან ვერ ანსხვავებდნენ. დედა ქუჩაში მოდის.

– გამარჯობა, პანია.

– მე გალია ვარ, ჩემს დაში აგერიეთ.

– ბოდიშს ვიხდი, ჩემგან გულითადი მოკითხვა გადაეცით. ამჯერად დედაჩემი მოარღვევს ქუჩას.

– გალია, გამარჯობა, ხომ კარგად ხარ?

– მე პანია ვარ, გალიას და...

– საოცარი მსგავსებაა, მომიკითხეთ...

ოჯახურ ფოტოებზე მათ გარჩევას მარტო მე ვახერხებდი. დედა და პანია სიცილით იხოცებოდნენ, როდესაც იხსენებდნენ, როგორ დადიოდნენ ახალგაზრდობაში ერთმანეთის

ნაცვლად პაემანზე. ისეც მომხდარა, რომ სახლში მოსულ მამას დედას ნაცვლად შემთხვევით პანიასთვის უკოცნია ლოყაზე: გამარჯობა, გალჩოო“...

მთელი ცხოვრების განმავლობაში დები განუყრელი მეგობრები იყვნენ. მათი უთანხმოების არც ერთი შემთხვევა არ მახსოვს. მათი ბედისწერაც უცნაურად მსგავსი გამოდგა. ორივემ 30 წლის წინ დაკარგა ქმარი. მამა 1937 წელს დიაბეტის მსხვერპლი გახდა და სულ რაღაც 35 წლის ასაკში გარდაიცვალა. ფიმა კი, პანიას მეუღლე, მფრინავი იყო და მეორე მსოფლიო ომს შეეწირა. ომის დამთავრების შემდეგ ორივე ხელმეორედ გათხოვდა. დედა ცოლად ბორისს გაჰყვა, პანია კი არსენს.

პანია დედას მიმართ საოცარი თავდადებით გამოირჩეოდა და ეს ერთგულება განსაკუთრებული ძალით დედას ცხოვრების ბოლო ორი წლის განმავლობაში გამოვლინდა, თუმც არც მანამ დაუკლია რამე. მე სულ გაბმული ვიყავი, მეტისმეტად დამაბული რეჟიმი მქონდა, გავრბი-გამოვრბოდი. ზოგჯერ ტელეფონითაც კი ვერ ვახერხებდი ყოველ დღე შეხმიანებას, მაგრამ კვირაში ერთხელ მაინც აუცილებლად შევირბენდი მოსანახულებლად.

- ლიალია, იქნებ შემოგვირბინო, სულ რაღაც ხუთი წუთით, პანია მოვიდა, რაღაც-რაღაცეები მოგვიტანა, - მირეკავდა დედა.

- დე, დღეს ვერაფრით, სახლი დასალაგებელია, სარეცხი თავზე მაყრია, სადილიც მოსამზადებელი, ვნახოთ... იქნებ... საღამოს... რაღაცნაირად... მაგრამ ახლა ვერაფრით...

- ლილია, სიხარულო, იქნებ ერთი წუთი მოგეცალა, პურს და კეფირს ხომ ვერ შემოგვიტანდი, თავს რაღაც მთლად კარგად ვერ ვგრძნობ.

- დედა, საყვარელო, არაფრით არ გამომივა... ნიომას უთხარით და ყველაფერს გიყიდით, უთხარით, თუ კიდევ რამე გჭირდებათ.

- სიხარულო, პანია მოვიდა, ხომ არ მოხვიდოდი?

- კი, დე, მოვრბივარ!

დედას სახლი ჩვენი სახლის მოპირდაპირე მხარეს იდგა, ქუჩის გადაღმა. ბინების გადაცვლა-გადმოცვლის დიდი ხათაბალა მე ავიტეხე. ამ რთულ ამბავს ერთი წელი დასჭირდა, მაგრამ, რაც მთავარია, მიზანს მივაღწიე და მთელ ნათესაობას ერთ რაიონში, ცალ-ცაკლე ბინებში მოვუყარე თავი.

ზადეში კარტოფილს ვყრი და სამ წუთში ჩემებთან ვარ. პანიას, დედას და ბორისს ლოყაზე ვკოცნი და ისევ ვფათხა-ფუთხობ, მეჩქარება.

- სულ ერთი წუთით მაინც ჩამოგექეი, სულ როგორ უნდა გარბოდე, - ბრაზობს დედა, - მამაშენი იყო და ამ სამსახურისთვის იკლავდა თავს, სულ მის ჯიშზე როგორ უნდა წასულიყავი?... ბორის, იქნებ ჩაგეცვა, ხომ გინდოდა გარეთ გასვლა? შარფის მოხვევა არ დაგავიწყდეს, ლილიაც ცოტას გამოგყვება...

- არა... სეირნობას არ ვაპირებ, აქვე სადმე... შორიახლოს სკამზე ჩამოვჯდები.

ეს ბოლო სამი წელია ბორისი მაინცდამაინც თავს კარგად ვერ გრძნობს. ადენომის ოპერაციამ რაღაც გართულებები დაუტოვა. ბოტკინი, ჰიპერტონია, ასთმა. საავადმყოფო და სახლი ერთმანეთს ენაცვლებოდა, ხან სასწრაფო იდგა ჩვენს კარებთან და ხან კერძო ექიმს იძახებდნენ.

- ლილია, დედა მართალია, შენ მართლაც მამას დაემსგავსე... არაჩვეულებრივი კაცი იყო, კეთილი, ყველას მოყვარული, ამიტომაც სიყვარულით პასუხობდა ყველა. ბორისს კი არ ჰგავდა, საკუთარი თავის გარდა, რომ არავინ ადარდებს... თან ხარბია და მის პრეტენზიებს ხომ ვერ აუხვალ....

- პანია, კარგი რა... ვიცი, რომ ბორისი მაინცდამაინც გულზე არ გეხატება, მაგრამ მიყვარს და ამას ხომ უნდა გაუწიო ანგარიში? ამ 30 წლის განმავლობაში მის ყველა ნაკლს შევეჩვიე... თან ისე ფაქიზად მიხსნის ხოლმე სიყვარულს, გული სინაზით მევესება.

- ხო... ისე ფიქვს მეც ხშირად ვიხსენებ... არა... მასავით

არსენი არასდროს მყვარებია. ისიც კარგი ეგოისტი იყო, თან თურმე არა ერთხელ გავუცვლივარ სხვა ქალში. გახსოვს, როგორ გასკდა ეს ამბავი? მთელი 25 წელი დაბრმავებული ვიყავი და მის ურთულეს ხასიათს ვიტანდი, მისგან ღალატი თავში არასდროს მომვლია. მის ერთგულებაში დარწმუნებული ვიყავი. ყოველი დილა, საწოლის გასწორება მისი ჩემდამი გულწრფელი სიყვარულის თვითშეგონებით იწყებოდა და, როცა გარდაიცვალა, თითქოსდა ჩემი მწუხარების შესამსუბუქებლად ტოსიამ და მუსიამ მისი რომანების შესახებ მიაძხეს. შემსუბუქება კი არა, ჩემი დამემართა, ტკივილი გაუსაძლისი გახდა. როგორ არ მოვკვდი, დღესაც მიკვირს. ხმის ჩამწერ სტუდიასთან ყოველი ჩემი გავლა ცრემლებით მთავრდებოდა, სულ გული მწყდებოდა, რომ ფიქსს ხმა არ ჩავიწერე და არ შემოვიწახე.

– ახლა არ გამაგიჟოთ, შეწყვიტეთ ძველ სიყვარულზე ცრემლების ფრქვევა. თქვენ ხომ ორი მხიარული მოხუცი ხართ, ხომ გახსოვთ, რა თქვა თქვენს შესახებ ავტობუსში იმ ახალგაზრდა კაცმა? ხომ იცით, როგორ მიყვარხართ... ხოდა ცრემლების ღვრას, სჯობს ერთმანეთს მოვეფეროთ და ერთმანეთთან ურთიერთობით დავტკბეთ, – ვცხარობდი მე.

– ლილია, ძირფასო, მთელი ღამეა თვალი არ მომიხუჭავს, იდაყვზე რაღაც გამომიხტა, მეშინია, კიბო არ იყოს, ალბათ, ექიმთან წასვლაა აუცილებელი...

– დე, დამშვიდდი, მსგავსი რამ ვის არ გამოსვლია?

– და მაინც, სიხარულო, იქნებ, ექიმთან გამომყვე?

– დედა, ძალიან გთხოვ, გონებას მოუხმე, არაფერი აქ საშიში არ არის, დამიჯერე.

– ლილია, პოლიკლინიკის ექიმმა გინეკოლოგთან მიმართვა მომცა. ფეხქვეშ მიწა მეცლება. მოდი რა, შენ, პანია და მე ერთად ხომ არ წავსულიყავით? იქნებ, ვალოდია და ნიომაც გამოგვყოლოდნენ.

– დედა, ძვირფასო, ეს უბრალო შემოწმებაა. ექიმი გაგსინჯავს და ყველანი მშვიდობით დავბრუნდებით სახლში.



დამშვიდდი, გთხოვ და დაიმახსოვრე, რომ კიბოს შენთან არაფერი ესაქმება, გესმის? და კიდევაც რომ აღმოგაჩნდეს, საგანგაშო არაფერია, ოპერაციას გაგიკეთებენ და კიდევ 10-20 წელიწადი სიცოცხლე გარანტირებული გაქვს. ამ დროის განმავლობაში კი შეიძლება სრულიად სხვა რაღაცამ მოგიღოს ბოლო.

ყურმილს ვკიდებ, ძალიან მეცოდება. ნუთუ ამ ასაკში მეც ასეთი გავხდები და ყველა წვრილმანზე ასეთ ამბავს ავტებ? ასეთი პანიკური შიში ამეკვიპატება?

როცა ბორისი საავადმყოფოში ხვდება, დედა უცებ მოდის გონს და საოცრად ორგანიზებული ხდება. დილას ადრე მიდის საავადმყოფოში და მთელ დღეს ბორისის საწოლთან ატარებს. მე კიდევ რომ წავიდე მის მოსანახულებლად, არაფერი შეიცვლება, ის მაინც მივა, დღეს არ ჩააგდებს. ვისღა ახსოვს საკუთარი ჯანმრთელობა? დედა ბორისის მდგომარეობითაა მთლიანად მოცული და მის ავადმყოფობის დეტალებს უღრმავდება. სამწლიანი ავადმყოფობის შემდეგ ბორისმა ყველაფერზე ხელი აიღო და მთელი საყოფაცხოვრებო საკითხები დედას გადააბარა, თუმც ამ მხრივ არც მანამდე იყო დიდი ბედოვლათი – საყიდლებზე სირბილი, სახლის მოვლა-პატრონობა, სადილის გაკეთება და ათასი საყოფაცხოვრებო რამ დედას დააწვა მხრებზე. პანია ხანდახან რაღაცაში თუ წაუკრავდა ხოლმე ხელს, პროდუქტებს თუ შემოუტანდა, მაგრამ დედას ავადმყოფობის დროს უკვე ყველაფერი მე ავიღე საკუთარ თავზე.

ხანდახან ისეც ხდებოდა, რომ წუთიც კი არ მრჩებოდა ჩემებთან შესარბენად და ეს დედას გულისწყრომას იწვევდა. არაერთხელ უთქვამს ნიომას ჩემთვის: „წესად უნდა მიიღო, კვირაში ერთხელ ყოველგვარი მიზეზის გარეშე უნდა მიხვიდე მათთან, თორემ მერე გვიან იქნება და ეს სინანულის და დანაშაულის გრძნობა მოსვენებას არ მოგცემს“-ო.

15 ივნისს ქალაქგარეთ გავედით. დედა დილით მაინცდამაინც კარგად ვერ გრძნობდა თავს. საღამოს მოსაკითხად

შევხმებიან, „არა მიშავსო,- მიპასუხა, – სასწრაფოს გამოძახება არ დაგჭირდა. როგორც ჩანს, ყველაფერი გადაღლის ბრალია, ბორისის გამო ბევრი ვინერვიულე. მადლობა ღმერთს, საავადმყოფო უკან მოვიტოვეთ და წინ და უკან სირბილი აღარ მომიწევს... ცოტას დავისვენებ და ყველაფერი წესრიგში ჩადგება“.

16 ივნისი

– დე, თავს როგორ გრძნობ?

– უკეთესად, საყვარელო.... ისე კარგი იქნებოდა, პანიაც წაგეყვანათ თან, ქალაქგარეთ, ხომ იცი, რა მარტოდ გრძნობს თავს.

ერთი საათის შემდეგ ბორისმა დარეკა. სასწრაფოდ დაბრუნებას გვთხოვდა. დედას მკერდის არეში აუტანელი ტკივილები დაეწყო.

თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი. სასწრაფოს ექიმმა ადგილზე მწვავე ტკივილის გაყუჩება კი ვერაფრით მოახერხა. პანიაც მოვიდა. ყველა შფოთმა და მღელვარებამ მოგვიცვა. დედას დაუყოვნებლივ საავადმყოფოში გადაყვანა გადავწყვიტეთ.

გადაღებულმა კარდიოგრამამ სტენოკარდიული შეტევა აჩვენა. ვრეკავ სახლში და ბორისისა და პანიას დაშომშინებას ვცდილობ. დედა საკაცით მეხუთე სართულზე აგვყავს. ინფარქტია და საკმაოდ სერიოზული ვითარება. დედას სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია.

– პანია, დედას ინფარქტი აქვს, მე ამაღამ აქ დავრჩები, ბორისს სჯობს ჯერ არაფერი უთხრა, ინერვიულებს, იფიქროს, რომ სტენოკარდიული შეტევაა, ასე აჯობებს.

რამდენიმე დღე საავადმყოფოში ვრჩები. მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა, დაიწყო გართულებები. პერიოდულად მორიგეობის დროს ვალოდია მცვლის.

– ლიალია, თუ შეიძლება, საბანი გამისწორე... ხო... აი ასე, მაგრამ ეს ვალოდიას უკეთესად გამოსდის.

ვეფერები მის ხელს და ვკოცნი.

– ვალოდია უფრო ნაზად მკოცნის ხოლმე, – ამბობს დედა.

მეშვიდე დღეს გაუმჯობესება იწყება. პირველ დღეებში დედა საჭმელს ახლოს არ იკარებს, ახლა კი ხბოს და ქათმის ხორცს ითხოვს და კენკროვან ხილს... ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ყველაზე ცუდი და სახიფათო უკან მოვიტოვეთ. ექიმები კი თავს უხერხულად აქნევენ და დიდ იმედს არ გვაძლევენ. „ამგვარი გარეგნული გამოვლინებანი ბევრს არაფერს წყვეტს, მდგომარეობა კვლავ მეტად სერიოზული რჩება“.

22 რიცხვში მივრბივარ საავადმყოფოში. რატომღაც ტუმბო საწოლიდან მოშორებით დგას.

– ლიალია, საყვარელო, ფილტვები გამიშუქეს, – მეუბნება შეშინებული დედა, – ეჭვობენ, რომ ფილტვების ანთება შეიძლება მქონდეს, ეტყობა, საიდანღაც გამკრა, წარმოგიდგენია, რა სახიფათოა ეს ყველაფერი ჩემთვის? იქნებ წახვიდე და გაიგო, რა აჩვენა რენტგენმა?

მკურნალი ექიმი და განყოფილების გამგე კაბინეტში საუბრობენ. დაუკითხავად შევრბივარ.

– პასუხი მზად ზეგ იქნება, – ცდილობენ ჩემს დაშოშმინებას.

– ნურაფერს დამიმაღავთ, გთხოვთ, მინდა ყველაფერი ვიცოდე, ყველაფერს გავიგებ, – ვემუდარები მე.

– სამწუხაროდ, ფილტვების ანთება დადასტურდა, მაგრამ გაციება აქ არაფერ შუაშია, ეს არც წოლითი რეჟიმის ბრალია, ინფარქტის შემდეგ გართულებას მოჰყვა ეს ყველაფერი, ამას ფილტვების ანთებაც არ შეიძლება ეწოდოს, ეს ფილტვის ინფარქტია.

– ესე იგი, მდგომარეობა დამძიმდა... ნურაფერს ეტყვიტ მას ამის შესახებ.

– რა თქმა უნდა, არა, ნეკნთაშორის ნევრალგიას მოვიმიზეზებთ.

ვბრუნდები პალატაში. დედას დაწყნარებას ვცდილობ.

– მადლობა ღმერთს, – შვებით ამბობს დედა, – ტკივილს ფერდში უკვე ველარც ვგრძნობ!

დედა დღითი-დღე სულ უფრო ყოჩაღად გრძნობს თავს. ბალიშზე მიყრდნობილი წამოჯდომასაც კი ახერხებს და მარჯვენა მხარესაც კი ბრუნდება. პალატაში სხვა პაციენტებსაც ხალისით ესაუბრება. პალატაში შემოსულ მედლებსაც ეხუმრება. როგორ არ დავიჯერო, რომ კრიზისმა უკვე ჩაიარა, ნელნელა მომავლისკენაც მეპარება ფიქრი,

– ლიალია ახლა უკვე აღარაა საჭირო მთელი დღეები ჩემს გვერდით ყოფნა. იქნებ ბინების გადაცვლაზე გვეფიქრა, პანიას და ჩემი ბინების გაერთიანებას ვგულისხმობ... როგორ ფიქრობ, ასე უფრო არ გაგიადვილდებოდა ჩვენი მოვლა. პანიაც ნუ მოვა, სჯობს ბორისს მიხედოს. კარგია, რომ ბორისისთვის არაფერი გითქვამთ, იფიქროს, რომ სტენოკარდიული შეტევა მაქვს და მეტი არაფერი, მერე მე თვითონ ვუამბობ ყველაფერს. ვალოდია რას შვრება? ალას როდის უწევს გასტროლებზე გამგზავრება?

23 ივნისს დედა განსაკუთრებით კარგ გუნებაზე იყო და თავს საუკეთესოდ გრძნობდა. ასეთი კარგა ხანია არ მენახა. მთელი დღე მასთან გავატარე და დამშვიდებული გულით დავადექი გზას სახლისკენ.

სალამოს ჩვენთან შევიკრიბეთ. ვალოდია, ალა და სერიოჟაც შემოგვიერთდნენ. 8 საათისთვის მოულოდნელად სატელეფონო ზარი გაისმა. გულმა რეჩხი მიყო. საავადმყოფოდან რეკავდნენ და სასწრაფოდ მისვლას გვთხოვდნენ.

საშინლად დავიბენი, ნიომამ ჩემი დამშვიდება სცადა – იქნებ, დედას თხოვნით ვინმე ფეხზე მოსიარულე პაციენტი გირეკავსო, მაგრამ ვგრძნობდი, რომ რაღაც საბედისწერო გველოდა.

ვალოდია მომეცემა, ტაქსში ვსხდებით. ორი ადამიანის საავადმყოფოში ღამით დარჩენას აზრი არ აქვს, ვალოდიას ვტოვებ და მე მარტო მივდივარ. ცუდი წინათგრძნობისგან ხელფეხი არ მემორჩილება და ციებზიანით ვცახცახებ.

დიდ ლიფტში შესვლისას ლიფტიორი მატყობინებს, რომ მეხუთე სართულზე რეანიმატოლოგების ბრიგადას გამოუძახეს. თავქუდმოგლეჯილი შევრბივარ პალატაში. დედას საწოლთან ექიმი დგას და ხელის მოძრაობით მაშუშებს. გარეთ ვიცდი.

ლოდინი დიდი ხანი არ მჭირდება. ექიმი გამოდის.

– რაო, ექიმო, რა ხდება? – ვეკითხები.

– გარდაიცვალა, – ულონოდ შლის ხელებს.

მედდა რაღაც კოლბისმაგვარ ჭურჭელს მაწვდის, ვალერინის მძაფრ სუნს ვგრძნობ, ექიმი ხელს მაშველებს.

– ოღონდ არ იყვიროთ, გთხოვთ!

– არ ვაპირებ... მის ბოლო წუთებზე მითხარით რამე.

– გონებაზე იყო, თქვენ გემახდათ.

– მიხვდა, რომ კვდებოდა?

– არა, ვფიქრობ, მორიგი შეტევა ეგონა, დარწმუნებული იყო, რომ ექიმები უშველიდნენ, ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა... ტრომბი...

მერე მედდას მიმართავს – ქალბატონი ჯერ შოკშია, ვერ ხვდება, რა მოხდა.

შევდივარ ოთახში. დედას თვალები ღია აქვს, პირი ოდნავ გაპოხილი, ხელები ულონოდ „გაფანტული“, გამომეტყველება მშვიდი.

ახლა, როცა ამ სურათს ვიხსენებ, ხორკლები მაყრის, მაშინ კი, არ ვიცი შოკის, არ ვიცი დამამშვიდებლის ზემოქმედებით თავი მშვიდად მეჭირა.

ქუჩაში გავდივარ. მანქანები შხუილით დაჰქრიან, მხიარულად მოცინარი ახალგაზრდების ნაკადი გვერდს მიქცევს, მშვიდად მოდიან მოხუცები. ცხოვრება გრძელდება, თან ისე, თითქოს არც არაფერი მომხდარა. ის კი უკვე აღარ არის ამქვეყნად! ჩემი დედა... აღარ არის!!!! ასეთი სათნო, კეთილი, ადამიანების ასე მოყვარული!!! სხვის გასაკიცხად სიტყვა რომ არასდროს დასცდენია. ყველა უყვარდა ირგვლივ, განურჩევლად. ყველას მიმართ მოწყალე იყო და მიმტევებელი.

მინდა მისი კუბო წითელ მიხაკებში ეფლობოდეს.

30 წელია ჩვენს ახლობელთაგან არავინ წასულა. ვალოდია ამ უბედურებას პირველად შეეყრება პირისპირ. ვალოდიას დედა უსაზღვროდ უყვარდა.

ოთხი ღამეა თვალი არ მოგვიხუჭავს. ვერაფრით გადაგვიწყვეტია, როგორ მოვიქცეთ, ვუთხრათ თუ არა ბორისს დედას გარდაცვალების ამბავი. პანიას მიაჩნია, რომ დამშვიდობება აუცილებელია, მე კი ვფიქრობ, რომ ეს ამბავი შეიძლება ბორისისთვის საბედისწერო აღმოჩნდეს.

აზრს ბორისის მკურნალ ექიმს ვეკითხებით, გვირჩევს, ნელნელა შევაპაროთ.

– მე მას გარეთ გასვლაც კი ავუკრძალე, იოლი მდგომარეობა არ აქვს. პირდაპირ თქმას არ გირჩევთ. შედეგი შესაძლოა სავალალო იყოს, – ამბობს ექიმი.

3 ივლისი, ზაფხულის ცხელი დღე. დედას ვასაფლავებთ. ვალოდია და მე მორგში მივდივართ.

– დედა, – მეუბნება ვალოდია. – ემოციებს ნუ აკავებ, ისე მოიქეცი, როგორც შენს გულს უნდა. ტკივილის გამოხატვა ადამიანს აკეთილშობილებს... პანია რაღაცას ამბობდა ბებიას ოქროს კბილების შესახებ... რა სისულელეა, ჯანდაბას, მოიპარონ... შენი სინდისი ხომ სუფთაა!

– არ ღირდა დასაფლავებაზე ორკესტრის მოწვევა... ახლა ეგლა გვაკლდა.

– ორკესტრი მოშორებით დაუკრავს და მუსიკა პროცესის მსვლელობას ფონად დაედება, – მპასუხობს ვალოდია.

სასაფლაოზე ვართ. კუბოს უხვად აყრია წითელი მიხაკები. შოპენის მუსიკა სწვდება ჩვენს ყურთასმენას, ნელა ვუახლოვდებით საფლავს, პანიას ძლივს ვაკავებ, ხელებს წინ იწვდის, დედას ცხედართან მიახლოებას ცდილობს.

საფლავთან ვჩერდებით. ვემშვიდობებით. წყნარი მუსიკა თითქოს გულს გვისერავს. იქნებ, დედასაც ესმის ეს მელოდია და სიამოვნებს კიდევ, ვინ იცის. საფლავს ვაწესრიგებთ, მიხაკების გორაკად ქცეული მიწაყრილი, სულ ესაა, რაც დარჩა დედისგან, დისგან, ბებიისგან, ცოლისგან...

ამ სასაფლაოზე 30 წლის წინ დაასაფლავეს ჩემი ბებია, გალიას და პანიას დედა. მოგვიანებით, იქვე ახლოს ჩაასვენეს

პანიას მეუღლე – ფიმა. დაახლოებით ერთი თვის წინ დედა და პანია იყვნენ აქ მოსულები. დედას სიცილით უთქვამს: „აი, მე მოვკვდები და დედას გვერდით დამასაფლავებენ, შენი ადგილი კი ფიმას გვერდითაა“. იცინოდნენ კიდეც, ყოველთვის მხიარული მოხუცები იყვნენ, დედა დარწმუნებული იყო, რომ სიკვდილს ჯერ მისთვის არ ეცალა, მეც... ბორისის აღსასრულს ველოდი და ამ ორი დის ერთად ბინაში გადაყვანაზე ვფიქრობდი.

ბორის ეფიმოვიჩმა, ჩემმა მამინაცვალმა ჩვენს ოჯახში ფეხი 1940 წელს შემოდგა. დედას მეგობარმა ქსენიამ დედას ის ძალიან უქო, როგორც კარგი ადამიანი, და დედა მისთვის ერთი ოთახის დაქირავებაზე დაითანხმა. ბორისი უკვე სამეზობის განქორწილებული იყო და არსად ჰქონდა წასასვლელი. დედა მეოთხე ცოლი აღმოჩნდა. მახსოვს, როცა ჩვენთან დაიწყო ცხოვრება, თავიდან დედასაც და მეც ხშირად გვეპატიჟებოდა სასეირნოდ პარკში თუ ქალაქგარეთ. ჩემთვის ეს გასვლები მეტად მომაბეზრებელი და დამქანცველი აღმოჩნდა. არა მხოლოდ იმიტომ, რომ მე უკვე პატარა არ ვიყავი და ჩემი ინტერესები გამაჩნდა, არამედ იმ ისტორიების გამო, რომელთაც ბორისი გვიყვებოდა და რომლებიც უშუალოდ მის ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული. მათ მოსმენას ჭკუიდან გადაყვავდი იმის გამო, რომ თხრობის მანერა მეტად ღუნე და ნელი ჰქონდა, როგორც წესი, დიდ პაუზებს აკეთებდა, სიტყვებს წელავდა და ხშირად იმეორებდა. დედა კი პირიქით, აღფროთოვანებას ვერ მალავდა და მასთან დაქორწინების პერსპექტივა თავბრუს ახვევდა... ქალების უმეტესი ნაწილისთვის ქმრის ყოლა ცხოვრების მიზანს წარმოადგენს, ოჯახი მათთვის ყველაფერია, ამ კატეგორიას განეკუთვნებოდა დედაჩემიც. ამის გარეშე დანარჩენი ყველაფერი აზრს ჰკარგავდა, ან უკანა პლანზე გადადიოდა. ქორწინების შემდეგ დედა ბორისის უმორჩილეს ლეკვივით ერთგულ არსებად იქცა. მთელი ცხოვრება ბორისს თვალებში შესცივინებდა და მის ნებისმიერ სურვილს ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ასრულებდა. დედა უჭკუო ქალი არასდროს ყოფილა, მაგრამ

დროთა განმავლობაში ბორისმა ის საოცრად დაიმსგავსა. მათ მსოფლმხედველობას თუ სამყაროს ემოციურად აღქმის ასპექტს, ფაქტობრივად, ერთმანეთისგან ვერ გამოარჩევდით. ეს პანიას განსაკუთრებით აღელვებდა და აღიზიანებდა.

ბორისი მთელი ცხოვრება რადიო ქარხანაში მუშაობდა და თავის სფეროში მეტად კვალიფიციური სპეციალისტის სახელიც დაიმსახურა. ჰქონდა გამოგონებაც, რომელიც მის სახელს ატარებდა. მივლინებით ამერიკაშიც კი გაუგზავნიათ. დედას უყვარდა და მის ნაკლოვან მხარეებს ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ მის მომჭირნობასთან შეგუება კი მეტად უჭირდა. დედა თავისი ბუნებით სრულიად უანგარო და ღია ადამიანი იყო. უყვარდა მაღაზიებში სიარული და ათასი წვრილმანის შეძენა. ბორისი კი ყოველ კაპიკს უთვლიდა და ყოველდღიურ ანგარიშს სთხოვდა. ასაკთან ერთად სიძუნწის შემოტევამ უკვე ავადმყოფური ხასიათი მიიღო.

როგორც კი დედა სახლში პროდუქტებს მოიტანდა, ბორისი მათ თითებს შეავლებდა, კარაქს აუცილებლად გასინჯავდა და, თუკი გემო მისთვის მოსაწონი არ იქნებოდა, დედას აიძულებდა უკან, მაღაზიაში დაებრუნებინა და რაიმე სხვაში გადაეცვალა, არად დაგიდევდათ ეს მაღაზია სახლიდან რა სიმორეზიც უნდა ყოფილიყო. დედაც ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, მორჩილად დაადგებოდა გზას, რაც არ უნდა დაქანცული ყოფილიყო. მსგავსი რალაცეები, ბუნებრივია, პანიასა და ჩემს აღშფოთებას იწვევდა. დედა კი ამ შემთხვევაშიც ახერხებდა ბორისის საქციელისთვის გამართლების მოძებნას, რომ ის „ავადმყოფი ადამიანი“ იყო და მისთვის გულისტკენა არ იქნებოდა ღირსეული, მართებული და სამართლიანი საქციელი.

პანია და მე განსაკუთრებით ტელევიზორთან დაკავშირებული მა ამბებმა გაგვაგულისა. ბოლო სამი წლის განმავლობაში ბორისი ვერ თუ არ უყურებდა სატელევიზიო გადაცემებს, დედას კი ტელევიზორის ყურება ძალიან აინტერესებდა. მაგრამ დედა ხომ ბორისის სურვილს უნდა დამორჩილებოდა!



დედას და ბორისის ბინა ძალიან კარგად იყო დაპროექტებული. სასადილო ოთახი 20 კვადრატულ მეტრს შეადგენდა, სამზარეულო – 10-ს. ტელევიზორის სასადილო ოთახიდან სამზარეულოში გადატანა არანაირ სირთულეს არ წარმოადგენდა და ბორისს ამის შესახებ არა ერთხელ ვთხოვე. მიზეზიც ავუსხენი. ბორისი ყოველთვის რაღაც აბდაუბდა, გაურკვეველ პასუხს გამცემდა ხოლმე, ცდილობდა დავერწმუნებინე, რომ ეს დიდ სირთულეს წარმოადგენდა და ამ საქმეს არც ერთი ხელოსანი ხელს არ მოჰკიდებდა.

დედას გარდაცვალების შემდეგ ტელევიზორის სამზარეულოში გადატანა პანიამ დაბეჯითებით მოითხოვა და ვალოდიას ამისთვის სულ რაღაც ხუთი წუთი დასჭირდა.

– გალია, ჩართე რადიო! გალია, გამორთე რადიო! გამისწორე ბალიში, გამოაღე, დახურე უჯრა! – ისმოდა გაუთავებლად.

ურთულესი იყო დედას ხვედრი... ან ბორისის დაბანა რად ღირდა.. მაგრამ დედა, როგორც ყოველთვის, პირზე ხელს გვაფარებდა და ამბობდა: „ხომ იცით, ავადაა, ნუ ანერვიულებთ, ყველაფერს მე მივხედავ!“

იყო თუ არა ბორისი დამნაშავე დედას სიკვდილში, მე მგონი, არა! იმაში, რაც ხდებოდა დედას თავს, თვითონ დედა იყო დამნაშავე... ეს იყო მისი არჩევანი, თვითონ გაანებივრა და ახლა შედეგებს იმკიდა, თუმც ამის გამო არასდროს დაუჩივლია. ბორისის კარგად ყოფნა და მასზე ზრუნვა დედას ცხოვრების აზრს შეადგენდა. რაც უნდოდა, ის მიიღო – ჰყავდა ქმარი და ჰქონდა ოჯახი, მისმა ოცნებამ ფრთები შეისხა.

მაშ ასე... დედას გარდაცვალების ამბავი ბორისს დავუმალეთ! პანიამ რამდენიმე დღე მასთან დაჰყო, მაგრამ ვერ გაჩერდა, ბორისთან გადასვლა მე მომიწია. ჩვენი სახლები გვერდიგვერდ იდგა. ვდგებოდი დილის 6 საათზე, მივრბოდი ჩემებთან, ვასაუზმებდი ნიომას და მის 86 წლის მამას, რომელიც ჩვენთან ცხოვრობდა, მოვაწესრიგებდი ყველაფერს და 8 საათზე გამოვრბოდი ბორისთან. მთელი დღეს მასთან

ვატარებდი, მაღლობა ღმერთს, ხანგრძლივი შვებულება მქონდა. ვუმზადებდი საჭმელს, მე სამზარეულოში მეძინა ე.წ. „ლეჟანკაზე“, ბორისს – სასადილო ოთახში. ბორისთან თავს ვიკატუნებდი, ვითომ კარგ განწყობაზე ვიყავი, სამზარეულოში კი ღაპღუპით ჩამომდიოდა ცრემლები. ეს იყო უმძიმესი დღეები ჩემთვის. ვიცოდი, რომ ნელ-ნელა უნდა მომემზადებინა, შემეპარებინა ეს ამბავი, მაგრამ როგორ? გზა ვერ მომენახა.

ვეუბნები, დედას მდგომარეობა გაუარესდა-მეთქი და გული უზდება ცუდად. ერთხელ საავადმყოფოს ტელეფონი გამომართვა და დაჟინებით დაიწყო რეკვა. დედას მდგომარეობის შეტყობა სურდა, ძლივს დავითანხმე, ამ განზრახვაზე ხელი აეღო. ავუხსენი, რომ დედას ინფარქტი აქვს და არა სტენოკარდიული შეტევა. რომ საჭიროა მის ჯანმრთელობაზეც ვიფიქროთ, ექიმს დავეკითხოთ და მერე ყველაფერს ვეტყვით დაუფარავად. ჩვენ ხომ მის გულს ვინდობთ და ვუფრთხილდებით... დღესაც მიკვირს, სად აღმომაჩნდა ამდენი სულიერი ძალა ყოველივე ამის სათქმელად....

სამი დღის შემდეგ ბორისის ექიმის ნებართვით ნიომა, ვალოდია და მე მის სახლში შევიკრიბეთ.

– ბორის, გახსოვთ ამასწინათ დედას მდგომარეობის შესახებ გესაუბრეთ. რაღაც-რაღაცეები დაგიმალეთ. ახლა, როცა თქვენმა ექიმმა ნებართვა დაგვრთო, ყველაფერი გვინდა აგისხნათ და დაუფარავად გითხრათ.

თხრობა დავიწყე და თანმიმდევრულად ვუამბე ყველაფერი. ავუხსენი, რომ ეს არ იყო სტენოკარდიული შეტევა, არამედ სერიოზული ინფარქტი. მივედი მთავარ მომენტთან.

– შევრბივარ პალატაში და... თურმე... დამაგვიანდა...

სიჩუმე, მძიმე და ხანგრძლივი.

– და... რა მოხდა მერე? – მეკითხებო ბორისი.

– მერე?... აღარაფერი...

– ახლა როგორაა, – ბორისი პაუზის შემდეგ.

– ახლა? ახლა აღარაფერი აწუხებს... უკვე...

– ეს როგორ?

– ფილტვების ინფარქტი... ტრომბი... – ვამბობ მე

ისევ დუმილი.

– ახლა როგორ მკურნალობენ?

– ახლა... უკვე ... აღარანაირად...

– არ მესმის... რა სჭირს ბოლოს და ბოლოს, არ მეტყვიot?  
გარკვევით მითხარით, რას მიმაღავთ?

პაუზა... დუმილი...

– დღეს ღამე გალია მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ მას აღარ მკურნალობენ, – ამბობს ბორისი და ხელებს სახეზე იფარებს....

დედას გარდაცვალების ამბავი ბორისმა შედარებით იოლად გადაიტანა, ვიდრე ჩვენ ამას ველოდით. მისი გონება იმდენად მოცული იყო საკუთარი გულის მდგომარეობაზე ზრუნვით, რომ ცდილობდა დედას შესახებ არაფერი ეკითხა და ნაკლებად ელაპარაკა. დედას წასვლას ვერაფრით ეგუებოდა პანია. არც მე მტოვებდა დედას შესახებ ფიქრი. თავს სულ დამნაშავედ ვგრძნობდი იმის გამო, რომ სათანადო ყურადღება ვერ გამოვხატე მის მიმართ, სულ დაკავებული ვიყავი და ხშირად მის ნახვას ვერ ვახერხებდი, ხანდახან რაღაც წვრილმანების და სისულელების გამო ხმასაც კი ვუწევდი... სულ თვალწინ მედგა ეს შემზარავი სურათი – შევრბივარ პალატაში და ის... უკვე აღარაა.

პანია ბორისთან მოსავლელად მოსვლას ვერ ახერხებდა. აშკარა იყო, რომ მალე პანიასაც მომვლელი დასჭირდებოდა. ამიტომ მათი ბინების გაერთიანებაზე დავიწყე ფიქრი. მინდოდა მათი ბინების ოროთახიან ბინაში გადაცვლა, რომ პანიას თავისი ოთახი ჰქონოდა და თავი სტუმრად არ ეგრძნო. სხვაგვარად არაფერი გამომივიდოდა და ყველაფერს ერთად მეუკვე ვერ გავწვდებოდი.

გუშინ დედას და პანიას დაბადების დღე იყო. სასაფლაოზე წავედით და უამრავი ყვავილი წავიღეთ. საფლავი ასტრებმა ერთიანად გადაათეთრა. პანია საფლავს მიუჯდა და ჩუმად უთხრა:

– გალია, გილოცავ, საყვარელო....

ხალხის ტალღამ შურდულიდან გატყორცნილი ქვასავით გამომისროლა გარეთ. ცხვირწინ ვიღაც ქალი ამეტუზა და ფილმის შესახებ მკითხა:

– ნუ, როგორი ფილმია?

არ ვიცი, – მივუგე, – მე მგონი, ძალიან მძიმე..

– რაზეა?

– არც ეგ ვიცი...

მზე აცხუნებდა, კაშკაში გაუდიოდა. უსაშველოდ ცხელოდა. მზის სხივებში ნებივრობდა შადრევანი და ათასფერად აელვარებულ შხეფებს ისროდა ირგვლივ. კინოთეატრ „რასია“-ს სკვერში საოცარი გამოცოცხლება იგრძნობოდა. ცხოვრება თავისი გზით მიედინებოდა, თავის გზას მიიკვლევდა „კინო-ფესტივალი“.

## რედი

მე დედასთან ერთად ვცხოვრობ. დილას 6 საათზე ვიღვიძებო. დედა შხაპს იღებს, მე ვიცდი, დედა ხილისგან წვეწვს წურავს, მე კვლავ ველოდები. დედა მვარცხნის, მე ადგილზე გაჩერება მიჭირს და გაუთავებლად ვწრიალებ. დედა ჩემს საბელს იღებს და მე მზად ვარ სიხარულისგან ჭერს თავი ავარტყა, სასეირნოდ მივდივართ, ვაშაააა! გზად მესამე სართულზე ვალოდიასთან შევდივართ, წვეწვს შევუტანთ და ქუჩაში გავალთ. მწვანე ბუჩქებს, ნაგვის ბუნკერებს თუ გუბეებს მზე ერთნაირად დაჰნათის. სიცოცხლის სიხარული თავბრუს მახვევს და ხტუნვას ვიწყებ, რის საშუალებასაც ჩემი 7 მეტრიანი საბელის სიგრძე მაძლევს, ცხვირს მიწაზე მიმობნეულ ხმელ ფოთლებში ვაცურებ და ქალაქის ნაგლეჯებს ვეთამაშები. ხან დედასთან გავრბივარ და საცეკვაო ილეთებით ვართობ. ვერაფრით ვაცხრობ სიხარულის მოვარდნილ კორიანტელს. უი... აი, ქათმის ბარკლის ნაგლეჯს გადავაწყდი.... „რედი, შეეშვი“ – ყვირის დედა და ჩემს მონაპოვარს პირიდან მაცლის. მაგრამ ასეთ რაღაცას ადვილად ვერ დავთმობ, ეს ჩემია... გზას ვაგრძელებო. შესახვედრად კუკი მოდის, პატარა გრძელბეწვიანი, ცხვირმიჭყლეტილი ძაღლი, ენა სულ გარეთ აქვს გამოგდებული. კუკი ჩემი მეგობარია. ჩვენ გვიყვარს ერთად თამაში, ერთმანეთს ვლოკავთ და ვეალებით, ერთად დავხტივართ. ჩვენი საბელები ხშირად ერთმანეთში იხლართება. მალე გრეტაც დაგვაფასებს – სამეფო შავი პუდელი, მედიდური იერით რომ დაიარება. ის ადვილად თავს არ მიყადრებს. მე კი მის გამოწვევას ვცდილობ, კუდზე პირს ვავლებ და ყურებზეც ვქაჩავ, მერე წინ გავრბივარ და დედასაც მთელი ძალით მივათრევ. დედა მომსდევს, ცდილობს ფეხი არაფერს წამოჰკრას. ხან ბელურას დავაფრთხობ და ხან ციყვს გავუხეთქავ გულს. უი.. გზაზე რაღაცა დაუხევევითა და აშკარად მყრალი სუნის ასდის... ეს სუნის თავისკენ მექაჩება, ვინ რა იცის, ჩემთვის საინტერესო რამდენი რამ შეიძლება შიგაღმოვაჩინო, კბილი გაგკრა, დავაგემოვნო, მაგრამ გაგიგონია, ვინ გაცლის, დედა ილანძღება და ბრაზობს, რომ ნაგავი

დროზე არ გაიტანეს და ისე ქაჩავს ღვედს, რომ კისერი მტკივა. ეჰ... დედამ რა იცის, რა სიხარულს მაკლებს, მე კი მისი პრობლემების არა გამეგება რა.

საშინლად მიყვარს სატელეფონო საუბრების მოსმენა. ძალიან ვფორიაქობ, თუკი დედას რაიმე აწუხებს. მაგალითად, ჩემმა უფროსმა ძმამ, ვალოდიამ სახლის ყიდვა გადაწყვიტა. ჯერ ჩვენი სახლი უნდა გაიყიდოს, რომ პირველი შესატანი გადავიხადოთ. ამას კიდევ უამრავი რამ მოჰყვება. თუ დედა და მე საცხოვრებლად უფრო იაფფასიან ბინაში გადავალთ, მაშინ ვალოდია მორგიჩის და სახლის მომსახურეობის ხარჯებს ველარ გასწვდება, თუკი ვალოდიასთან ერთად დავსახლდებით, სახლი დიდი უნდა იყოს, რომ ყველას ეყოს ადგილი და ნორმალურად მოთავსდეს. მოკლედ... პრობლემები უხვად გვაქვს... დედა სახლის ძიებითაა დაკავებული.

ჩემი ყველაზე ადრეული მოგონებანი, რა თქმა უნდა, დედასთანაა დაკავშირებული, ისე მეფერებოდა და მკოცნიდა (თუმც ახლაც ასეა), რომ ჩემი გული სიამისა და მადლიერებისგან საგულედან ხტებოდა. მეც, რა თქმა უნდა, ხალისით ვუბრუნებდი ამ სიტბოს.

მე ჯერ კიდევ პატარა ვარ, ადრე ხომ მთლად ციციქნა ვიყავი. მე ახლაც კი სულ თამაში მინდა, ადრე კი თამაშის გარდა არც არაფერი ვიცოდი და არც არაფერი შეემძლო. ყველგან ვთამაშობდი, მაგრამ განსაკუთრებით ქუჩაში გართობა მხიბლავდა. ვისაც არ უნდა ჩაევლო ჩვენს გვერდით, აუცილებლად ნაბიჯს შეანელებდა, მზერას შეაჩერებდა და ჩემს სილამაზეს აღნიშნავდა. ჩემი გარეგნობაც მოსწონდათ და შეფერილობაც, მეც მივეჩვიე ამას. ამიტომ გულგრილად ვერავის ჩავუვლი გვერდით, მაშინვე მივირბენ და ველი როდის მოიცლიან ჩემთან სათამაშოდ. თუმც არიან ისეთები, ჩემი საქციელი რომ აზნევთ, უცებ განზე რომ გახტებიან და წუწუნს მოჰყვებიან – „შეგვაშინაო“, რაზეც დედა ღიმილით მიუგებს: „რამ შეგაშინათ? ეს ხომ ჯერ პატარა ლეკვია“. მე კი გული მწყდება, განა ასე შეიძლება ჩემს შესახებ ლაპარაკი, აბა, სცადოს და

მსგავსი რამ ჩემი ძმის, ვალოდიას შესახებ თქვას... ისე... სადღაც მართალია, ვალოდია მართლა დიდია და მარტო უკანა ფეხებზე დაიარება.

თუ დედა ყველის ნაჭერს დამანახებს და მეტყვის: „რედი, იცეკვე!“ მე, რა თქმა უნდა, მის ამ სურვილს დაუყოვნებლად შევასრულებ და ცეკვას მოვყვები. ეს დედას სრულ აღფრთოვანებას იწვევს. თუკი მოისურვებს შევდგე და ადგილი მოვნახო, მე მაშინვე ვუსრულებ თხოვნას, თუმც არცთუ დიდხანს ვძლებ მჯდარ მდგომარეობაში. განა ადვილია თავშეკავება? მით უმეტეს, თუ მაგიდა სავსეა სასუსნავით, რომელიც ჩემთვის არაა გამიზნული?

ო, რამდენად კარგი სურნელი ასდის მაგიდაზე დაწყობილ საჭმელს! დამერწმინეთ, ბევრად უკეთესი, ვიდრე ქუჩაში გაბნეულ კურკლებს, თუმცა გამოგიტყდებით, რომ არც მათი არომატი მეხამუშება, ეს დედა ცდილობს, რომ მომარიდოს და დაყნოსვის ნებაც კი არ დამართოს. გაუთავებლად ჯაჯღანებს იმასთან დაკავშირებით, რომ არავინ ასუფთავებს ირგვლივ არაფერს და ყველაფრის გაკეთება სხვის მაგივრად მას უწევს, რომ არ სურს ჭუჭყიან ქუჩაში სიარული, სადაც მისი უფროსი ვაჟი და მეგობრები დასეირნობენ... მე კი ყველაფერ ამას ვყნოსავ და ვაგემოვნებ.

გუშინ დილით სასაცილო ამბავი შეგვემთხვა. ანეკდოტი... კრილოვის ნამდვილი არაკივით. დედა და მე ოკეანის ნაპირს მივუყვებოდით. ვხედავ ბელოკს, რომელსაც ბუბლიკისთვის წაუვლია პირი. მეც გამოვუდექი. ის გაჩერდა, მეც შევდექი. უკანა ფეხებზე ავიწიე და ვუცდი – რას მოიმოქმედებს. თვალებში შევყურებ. უცებ ბელოკმა პირი გააღო და ბუბლიკი ჩემს კბილებში მოქცეული აღმოჩნდა ამ დროს დედამ დამკვივლა და მე იძულებული გავხდი ბუბლიკი დაუყოვნებლად გამეგდო პირიდან. მერე კი ვალოდიას მივაკითხეთ, რომ ეს სასაცილო ამბავი გვეამბნა.

დღეს კი დედამ გალია იყიდა და ქლორით მის ხეხვას შეუდგა, საშინელი სული დადგა, შემდეგ ქლორი არ იკმარა და სპირტით წმინდა, შიგ ჩემი საბანი დააგო, შიგ შემსვა, კარი

გადამიკეტა და თვითონ კი სადღაც წავიდა. გავვოგნდი, თვალებს არ ვუჯერებდი, მე ხომ ძალი ვარ და არა მხეცი? მხიარული პუდელი, იქნებ აღარც, უბრალოდ, ადამიანი! ტყუილად როდი ამბობენ, რომ პუდელები ადამიანებს ჰგვანანო...

რა თავის აგდებაა და სამარცხვინო ამბავი! სირცხვილი და თავის მოჭრა!!!

დედა აღრე ოთახში მკეტავდა ხოლმე. ეგრე არ უნდაო და, პროტესტის ნიშნად, კარადიდან გამოვათრევედი ხოლმე ხან კაბებს და ხან რას. როგორ არ ცდილობდნენ ვალოდია და დედა ამ კარადის დაკეტვას, მაგრამ მე მაინც ვახერხებდი მის გაღებას. ამის გამო მათ მე „გუდინი“ შემარქვეს. შემდეგ ელექტროსადენის ღრღნამ გამიტაცა, შემდეგ ფარდები ჩამოვვლიჯე. ვალოდია რომ მოვიდა, შეშინებული სავარძლის უკან დავიმალე, დარწმუნებული ვიყავი, დასჯა არ ამცდებოდა, მაგრამ შევცდი. ამის შემდეგაც არ მომკლებია ალერსი. „ჩვენო საყვარელო და ულამაზესო“, მეუბნებოდნენ, მეაღერსებოდნენ და მკოცნიდნენ. და, თუ მართლა ასეთი ძვირფასი ვარ, რატომღა მტოვებთ მარტო სახლში???? ჰა????

მერე საპირფარეოში გამომკეტეს, ტუალეტის ქალაღი და ბაუნტი სულ წვრილ ნაფლეთებად ვაქციე, ის კი არა, უნიტაზის სახელურიც დავღრღენი, რაღაც ჭანჭიკებიც კი ამოვხრახნე. პირსაბან ნიჟარაზე ავძვერი და კარადის კარებებიც გავაღე, კბილის პასტის ტიუბს სახურავი მოვხსენი და გვარიანად ამოვიგანგლე, კბილის ჯაგრისები იატაკზე მივფანტ-მოვფანტე... ყველაფერი კი ჩემი გალიაში გამომწყვდევიტ დასრულდა. მაგრამ მე სად შემიძლია გალიაში მოკუნტული ჯდომა, ან ფეხების გაუშლელად წოლა, ეს ხომ დამღლეღიცაა და მეტისმეტად მოსაწყენიც. მეც ავწრიალდი, გალიაც ამყვა და აქეთ-იქით დაიწყო ტრიალი, მაგრამ კარი არ იღებოდა, არადა, კაუჭს ვხედავდი, გისოსებს შორის თათი გავყავი და კაუჭის გადაგდება ვცადე... ერთხელ... ორჯერ... კიდევ... არ მოვეშვი და ჰოი, საოცრებავ, კარი გაიღო! ვაშააა... მე უკვე აღარც მხოლოდ საბაზანოში ვარ, აღარც მხოლოდ საძინებელში, მე ყველგან ვარ და დავქრივარ, მთელი ბინა ჩემ განკარგულებაშია. რით



დავიწყო? კარადებს მივადექი და რაც პალტო და ქურთუკი  
ვნახე, ყველა იატაკზე მიმოვყარე, შემდეგ სამზარეულოს მივა-  
დექი. მაცივრის გაღება ვერ მოვახერხე, წინსაფარი ჩამოვგლი-  
ჯე და ნაკუწებად ვაქციე... კიდევ... რით შემიძლია დედას  
გახარება და განცვიფრება? იქნებ მირჩიოთ რამე... თუმც მე  
ყველაფერი ისედაც მშვენივრად ვიცი...

მე რედი მქვია და დედაჩემს ოლგა ვასერდამი!

## სერიოჟა

მოსკოვი, ივლისის ბოლო. შეხვედრაზე მიმეჩქარება. ტიშინის ბაზრის მოედნისკენ მიძევს გზა. გალიას უნდა შევხვდე, ალას დედას. ჩემმა უსაყვარლესმა ვაჟმა სამი დღის წინ ცოლი შეირთო – ალა. ალამ ვალოდიას დაუმალა, რომ პატარა ბიჭუნა ჰყავს და ბავშვთა სახლშია ჩაბარებული. ვალოდია ყურებს არ უჯერებს – როგორ შეიძლება საკუთარი შვილის ბავშვთა სახლში ჩაბარება? ამიტომ მთხოვა, რომ ბავშვი ამ საშინელი ადგილიდან დამეხსნა – შვილი დედასთან უნდა იზრდებოდესო.

და აი, გალიას ხელიდან ვართმევ პატარა 3 წლის ჩაფსკვნილ ბიჭუნას, სწორი ქერა თმებით, დაბერილი ლოყებით და აპრეხილი სველი ცხვირით.

უცხო, მაღალ, მზით გარუჯულ უცნობ ქალს სერიოჟა გაურკვეველი მიმართულებით მიჰყავს. პატარას შიში იპყრობს და მისი კივილში გადაზრდილი ტირილი ცას სწვედება. ცრემლები მრგვალ ლოყებზე მოხტან. ცხვირიდან ჩამოდენილი წვინტლები პერანგს უსველებს. ალერსის არანაირი სიტყვა არ ჰრის, ტირილი და ყვირილი ერთმანეთს ენაცვლება. რას იზამ... აქ ყველაფერი ამაოა, ეს ყველაფერი გადასატანია.

ბელორუსიის ვაგზალს ვუახლოვდებით. გზად ბოსტნეულის მაღაზია გვხვდება. შევდივართ. სერიოჟას კედელთან ვაყენებ და ხილის არჩევას ვიწყებ. საშინელი ყვირილი ახლა უკვე მაღაზიას აყრუებს. სერიოჟასთან ვბრუნდები, ჩანთას ვხსნი და ვაშლებზე და მსხლებზე გადაწოლილ ბულგარული ყურძნის მტევანს ვაჩვენებ. ტირილი წყდება, სერიოჟას გაოცებული მზერა პირს იკრავს, აღარც ცრემლებია და ცხვირიც თითქოსდა უცებ შრება.... სახლისკენ უცრებლებოდ მივემგზავრებით.

არავითარ შემთხვევაში არ იტირებდა პატარა სერიოჟა, რომ სცოდნოდა, რომ ეს ქალი, რომელსაც მოგვიანებით ოლგა ლვოვნას დაუძახებს, მის გვერდით იქნებოდა თითქმის მთელი ცხოვრება და მყარ საყრდენად გაუხდებოდა. სამწუხაროდ, მიწევს სიტყვა „თითქმის“ გამოყენება, რადგან ამ ბოლო დროს ჩვენ იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს. სხვაგვარად რომ

ყოფილიყო, არაფრით დავუშვებდი და სერიოჟას უნივერსიტეტის მიტოვების უფლებას არ მივცემდი.

გალიამ, ალას დედამ, ცხოვრების მეტად არასახარბიელო წესი აირჩია, საყვარელს საყვარელზე იცვლიდა და არც ღვინოსა და არაყთან იყო მწყრალად. ალას ბებია ზრდიდა, ცხოვრობდნენ საერთო ბინის ერთ დიდ ოთახში. სკოლის დამთავრების შემდეგ ალამ საცირკო სასწავლებელში ჩააბარა გიტარის განხრით. შეუყვარდა თავისი პედაგოგი, ცოლიანი, ორშვილიანი. დაფეხმძიმდა. მასწავლებელი სხვა ქალაქში გადასახლდა და უკვალოდ გაქრა. როგორც იტყვიან, დაიკარგა შარშანდელი თოვლივით. ბებია გარდაიცვალა. ალამ თავისი დიდი ოთახი პატარაში გადაცვალა და სასწავლებლის პირდაპირ დასახლდა. სწავლის დასრულების შემდეგ ანსამბლ „გოგონებში“ მოეწყო და სერიოჟა ბავშვთა სახლში გაამწესა.

ვალოდია დიბენკოზე ცხოვრობდა, ოროთახიან ბინაში, რომლის მიღებასაც დიდი შრომა და ძალა შევალე. ალა და სერიოჟაც იქ გადავიდნენ. მე ხშირად ვსტუმრობდი მათ. პროდუქტებით სავსე ჩანთებისგან ხელები დაწყვეტაზე მქონდა. იმ დროისთვის ვალოდის ხელფასი სულ 120 მანეთს შეადგენდა, მე ჩემი ხელსაქმის წრეების წყალობით გვარიანი შემოსავალი მქონდა და მათ დახმარებას ვახერხებდი.

- სერიოჟა, დედას ჭურჭელი დაუტოვებია გასარეცხად....მთელი ნიჟარა სავსეა.

- არ იდარდოთ, ოლგა ლვოვნა, ახლავე ყველაფერს მივხედავ, უკვე დიდი ვარ, ხომ იცით, უკვე 6 წლის გავხდი, – მპასუხობდა სერიოჟა.

- ღმერთო ჩემი, დილი ისევ აწყვეტილი გაქვს... ასე როგორ შეიძლება სიარული?

- ნუ ღელავთ, ოლგა ლვოვნა, მამა დამპირდა, რომ დამეხმარება და ერთად მივაკერებთ.

- ამასწინათ 10 კოლოფი საკმაოდ ძვირფასი სარეცხი ფხვნილი მოგიტანეთ, 4 ვარია და 1 ბოთლი ზეთი, ხომ არ იცი, სად დევს?

- გალიამ შემოიარა და ყველაფერი წაიღო...

- გალიას გადაეცი, რომ მე თქვენ გეხმარებით - შენ, დედას და ვალოდიას, ასე რომ დროა სამსახური მოძებნოს.

მოსვენებას არ მამღევედა ის ფაქტი, რომ ბინა მათთვის მეტად პატარა იყო, ადგილი არ ჰყოფნიდათ. ალას ერთი ციდა ოთახი ჰქონდა სათავსოთურთ, ეს იყო ძველი შენობა და ეს სათავსოს მსგავსი ოთახი თავი დროზე მოსამსახურეებისთვის და საკუჭნაოდ იყო განკუთვნილი. შემდეგ ასეთი ბინები კომუნალურად გადააკეთეს. რაღაც სასწაულით ალას ეს მოცუცქნული ოთახი 18 კვადრატულ მეტრიან ოთახში გადავცვალე, დიდ სახლში, სადღოვო კალცოსთან, აბრაზცოვის თოჯინების თეატრის მახლობლად.

მალე გარდაიცვალა დედაჩემი. პანია, დედას და, დედას ბინაში გადავიყვანე საცხოვრებლად. პანიას ბინაც გადავცვალე და ბოლობოლო ალა 20 კვადრატულმეტრიან მშვენიერ ერთოთახიან ბინაში მოვათავსე. ბინას ცალკე 10 კვადრატულ-მეტრიანი სამზარეულოც ჰქონდა და შესანიშნავი შუშაბანდიც, რომელიც შჩეპკინის ქუჩას გადაჰყურებდა. ვაპირებდი ვალოდიას და ალას ბინების გაერთიანებას და 3 ოთახიანში გადაცვლასაც.

ანსამბლი „გოგონები“, სადაც ალა მუშაობდა, მალევე დაიშალა. ალა სხვადასხვა საკონცერტო გამოსვლებში იღებდა მონაწილეობას, ხმა არ უვარგოდა, გიტარაზე უდიდამოდ მღეროდა, ძირითადად პერიფერიებში ჰქონდა გასტროლები, მოსკოვში კონკურენციას, ბუნებრივია, ვერავის გაუწევდა. ერთ-ერთი მორიგი მივლინებიდან დაბრუნებული ვალოდიას ღალატში გამომიტყდა. ვთხოვე, ვალოდიასთვის არაფერი ეთქვა და მომხდარი დაევიწყებინა, მაგრამ ყური არ მათხოვა. დიდი გაჭირვებით მივაგენი 3 ოთახიან არაჩვეულებრივ ბინას, მაგრამ რად გინდა... ვალოდიამ ყოველივეს გათვალისწინებით ალასთან დაუყოვნებელი განქორწინების გადაწყვეტილება მიიღო.

ალა და სეროჟა შჩეპკინის ქუჩაზე მდებარე ბინაში დარჩნენ. მე დედას მთელი ავეჯიც მათ ვუსახსოვრე. ამის გამო პანიასგან არა ერთი საყვედური მიმიღია, მაგრამ გულს იმით

ვიწყნარებდი, რომ სერიოჟას სანახავად მისული თვალს შევაკლებდი და დედას გავიხსენებდი.

როგორც კი ალა ვალოდიას გაეყარა, სერიოჟას თავი დაუყოვნებლივ სკოლა ინტერნატში უკრა, თან ერევანში. გაოგნებულ ვიყავი. აქ უკვე თავი ვეღარ შევიკავე და ავყვირდი:

– შეგიძლია ამიხსნა? რატომ ინტერნატში და ისიც ერევანში?

– შჩეპკინის ქუჩაზე სკოლა უვარგისია, ჩვენთან კი არ იღებენ, რადგან ბავშვი სხვაგანაა ჩაწერილი, – იყო ალას პასუხი.

სერიოჟას დეპეშამაც არ დააყოვნა. 400 მანეთის გამოგზავნას მთხოვდა თვითმფრინავის ბილეთის საყიდლად, რადგან იქ გაჩერება უკვე აღარ შეეძლო.

სკოლაში საჩუქრებით დატვირთული წავედი და სკოლის დირექტორისგან სერიოჟას სკოლაში მიღების ნებართვაც გამოვთხოვე. ასე რომ, მე-9 კლასამდე სერიოჟა სულ ჩემს თვალსაწიერში ტრიალებდა, სკოლის მერე ჩვენთან შემოირბენდა, ისადილებდა, მერე კი რემი გაჰყავდა სასეირნოდ. ასე გადიოდა დრო, მაგრამ მე-8 კლასის დასრულების შემდეგ ალას ახალმა აზრმა შემოუტია, სერიოჟა სკოლიდან გამოიყვანა და მედმების კურსებზე მიაბარა. ამჯერადაც არაფერი უკითხავს ჩემთვის.

ოცნებად მქონდა, სერიოჟას საფუძვლიანი უმაღლესი განათლება მიეღო, დღესაც არ ვიცი, რატომ არ უწევდა ალა ჩემს აზრს ანგარიშს, ჩვენ ხომ სრულიად ნორმალური ურთიერთობა შევინარჩუნეთ.

მედმის კურსების დასრულების შემდეგ სერიოჟას ჯარში წასვლა მოუწია, კრასნოიარსკში, მედპუნქტში გაამწესეს. პირველი წელი მეტად მძიმე გამოდგა. დარდობდა და განუწყვეტლად მწერდა წერილებს, მგონი, 250-მდეც კი დაგროვდა. დღესაც ზოგიერთ მათგანს სათუთად ვინახავ. „ოლგა ლვონა, მძიმე სამსახური მიწევს. მედპუნქტში ვმუშაობ. როცა უკიდურესად გამიჭირდება, თვალებს ვხუჭავ და ჩვენს აგარაკს წარმოვიდგენ, როგორ ვალეხ ჭიშკარს, როგორ გამორბის რემი და ფეხებს მილოკვს, მერე თქვენ ჩნდებით ზღურბლზე

გახარებული შეძახილით „ჩვენი სეროიჟა ჩამოვიდა“ და სულში უმაღლესი საოცარი შვება ისადგურებს.“

ჯარში მსახურების პირველი წლის ბოლოს ერთი ამბავი მოხდა. ახალგაზრდა ჯარისკაცი სამხარეულოში მორიგეობდა. წყლის დიდი ბაკი გახურებულ ქურაზე დაექცა და ფაქტიურად ამ ორთქლში მოიხარშა ბიჭი, რა ელოდა, კაცმა არ იცის, რომ არა სეროიჟა... მხსნელი დააჯილდოვეს და 1 კვირით შვებულებაში გაუშვეს, მეორე წელმა შედარებით იოლად ჩაიარა. არმიის შემდეგ სეროიჟა უგამოცდოდ ჩაირიცხა უნივერსიტეტში. ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. პირველი კურსის შემდეგ ალამ სეროიჟა პოლონეთში გაგზავნა ლოდში, თავის ნაცნობებთან სტუმრად. პოლონეთმა მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ჰოსპიტალში მედმად სამუშაოც კი იშოვა, ოთახიც იქირავა და ვინ გაემგზავრა მის მოსანახულებლად, თუ იცით? დედა? არა... უცხო დეიდა – ოლგა ლვოვნა.

ეს მგზავრობა ჩემთვის სახალისოც იყო, ჩემი ხელსაქმის წრის მეცადინეობისგან ვისვენებდი, გარემოს ვიცვლიდი, მაგრამ, რაც მთავარია, წინ სეროიჟას ნახვა მელოდა. გადავწყვიტე თავი წესრიგში მომეყვანა, შავი თმები პირველად შევიღებე ხნით, პროპორცია ვერ გავთვალე და მთლად ცეცხლოვანი წითური გავხდი, ვფიქრობ, სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ საზღვარზე განსაკუთრებული ყურადღებით ამოწმებდნენ ჩემს ბარგს.

სეროიჟა ვარშავაში დავხვდა. ხელში წვეწვევის პაკეტი ეჭირა. მატარებელში მგზავრობის დროს ფულს ვზოგავდი, ვცდილობდი არაფერ არასაჭიროზე არ დამეხარჯა, ამიტომ დღესაც მახსოვს ის ნეტარების შეგრძნება, რომლითაც ამ წვეწვევს დავეწაფე. მაშინ ხომ პოლონეთი „მიუწვდომელ“ საზღვარგარეთად იყო მიჩნეული.

ლოდში ორი კვირა დავყავი. მასპინძელს, ვისთანაც სეროიჟა ბინას ქირაობდა, ორი პატარა ოთახი ჰქონდა. პირველში დიასახლისი ცხოვრობდა და ფანჯარასთან მიდგმულ დივანზე ემინა, სეროიჟას ოთახში რომ მოხვედრილიყავი, რისი ვაივაგლახით უნდა აგეარა გვერდი ამ დივანისთვის. თავდაპირველად სეროიჟამ თავის „ლეჟანკაზე“ დაწოლა შემომთავაზა,

თვითონ იატაკზე ცდილობდა მოკალათებას, მაგრამ იატაკზეც იმდენად ცოტა ადგილი იყო, რომ ფეხებს ვერსად გაშლიდა. მაშინ დიასახლისმა თავისი დივანი გაშალა, მე ფანჯრის მახლობლად მიმიჩინა ბინა, თვითონ კი კიდეზე მოთავსდა. ჩვენი ბალიშები ერთი ციდა დერეფნის გასასვლელში აღმოჩნდა გამოჩრილი. იქ კი ბებერი ავადმყოფი გერმანული ნაგაზი ბინადრობდა და გვარიანად ხვრინავდა, საღამოობით ჩვენს ფეხებთან სხვა, უჯიშო ეზოს ძალი მოიკალათებდა ხოლმე, ბალიშებთან კი ორი კატა ნებივრობდა. მაგრამ ყველა ეს უხერხულობანი მავიწყდებოდა სეროიჟასთან ურთიერთობის სიხარულის ფონზე. აღარ იცოდა, როგორ მომფერებოდა, რითი ესამოვნებინა, რა საჭმლით გავენებებინე. იმ წელს პოლონეთში პროდუქტების მხრივ დიდი გასაჭირი იყო. მაწუხებდა, რომ ჩემთვის ამდენ ფულს ხარჯავდა, დელიკატესებს მთავაზობდა, ის კი ამაზე მპასუხობდა:

– ოლგა ლვოვნა, გახსოვთ ჩემს დაბადების დღეებზე რამდენ ნამცხვარს და რა გემრიელ პეროგს მიცხობდით? რა დამავიწყებს, როგორ მანებივრებდით საჩუქრებით? აი ეს პერანგი, ახლა რომ მაცვია, ისიც თქვენი ნაჩუქარია, ეს ფეხსაცმელიც, ვალოდიამ მისახსოვრა, ახლახან კი მისგან ინგლისური ენის ლექსიკონი მივიღე, ეს კი იმდენს ნიშნავს ჩემთვის... მე ხომ ინგლისურს ვსწავლობ.

ყველა ჩემი ნახატი გავყიდე, რაც ჩავიტანე, მახსოვს, პოლონელები წრეში მომიქცევდნენ და მეკითხებოდნენ ხოლმე: „პანი სამა მალიუეტ?“ რაც მე ძალიან მომწონდა. მართლაც რომ ძალიან სწრაფად ვხატავდი. ერთი, ორი და სურათი მზად იყო.

სეროიჟას ვიზა დაუმთავრდა, გაგრძელება ვერ შეძლო და იძულებული გახდა მოსკოვში დაბრუნებულიყო და სწავლა კვლავ უნივერსიტეტში გაეგრძელებინა.

ყველა ზაფხულს სეროიჟა ჩვენთან ერთად აგარაკზე ატარებდა, თუ ბანაკში ისვენებდა, სამლიტრიანი ბიდონით მოწეული მარწყვი მიმქონდა ხოლმე. მოუსავლიანი წლებიც

იყო, რა თქმა უნდა, მარწყვი ხანდახან სულ ცოტას ისხამდა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. „ეს ხომ ბავშვია“, – იტყოდა ხოლმე ვალოდია. სერიოზოსთვის კუთვნილი პორციის მიწოდებას ჩვენს წმინდათაწმინდა მოვალეობად მივიჩნევდით.

ჩემს ვაჟს, ვალოდიას, ყოველთვის ძალიან ვანებივრებდი, მაგრამ, როცა ვინსერფის ყიდვა განიზრახა, შეეწუხდი, რადგან იმ დროს მატერიალურად მთლად წელში გამართული ვერ ვიყავი, მაგრამ ვალოდიას სურვილი იმდენად მძაფრი იყო, რომ ძალაუნებურად მის ნებას დავეყვეი. აღნიშნული ვინსერფი სერიოზუმ და ვალოდიამ პირველად მოჟიასკის წყალსაგუბარზე გამოსცადეს და დიდი სიამოვნებაც მიიღეს.

ცნობილმა ქირურგმა მეტად უხეიროდ გამიკეთა თვალის ოპერაცია და სარეაბილიტაციო ცენტრში ყოფნა თითქმის 2 თვე მომიხდა. ყველაზე ხშირად მოსანახულებლად ალა მოდიოდა. მიკვირდა და მიზეზს ვეკითხებოდი. „გამეტებული ბინა და ნაჩუქარი ავეჯი კარგად მახსოვს, ეგეთი რალაცეების დავიწყება შეუძლებელიაო“, – მპასუხობდა.

ურთიერთობა მეტად თბილი გვექონდა და ნათესაური. უკვე ჩვენი ამერიკაში წასვლის დრო ახლოვდებოდა. გამგზავრება 1995 წლის გაზაფხულს გვიწევდა. ყველაფერი გავყიდეთ, ბევრი რამ გავაჩუქეთ.. ვინსერფი ვალოდიამ სერიოზოს უსახსოვრა. ვიღაცამ გვითხრა – ამერიკაში მეტად ცხელი ზაფხული იცისო, ამიტომ გამგზავრება შემოდგომისთვის გადავდეთ. ბოლო ზაფხული მოსკოვის მახლობლად გავატარეთ, აგარაკი უკვე გაყიდული გვექონდა, ამიტომ წყლის ნაპირას სახლი ვიქირავეთ. ვალოდიამ სერიოზო დაპატიჟა და ვინსერფით ცურვა შესთავაზა. რატომღაც სერიოზომ თავი შორს დაიჭირა: „მე სხვა გეგმები მაქვს, ვინსერფი უკვე ჩემია, თუ მაჩუქე, მაჩუქე... დროებითაც ვერ გათხოვებო“ უცნაური იყო ეს ყველაფერი, თან ასეთი თბილი და ნდობით სავსე ურთიერთობის ფონზე. შევეცადე ყველაფერი მშვიდად ამეხსნა, რომ ვინსერფი მისია, რა თქმა უნდა, რომ ვალოდია სამი თვით კი არ მიემგზავრება, არამედ სამუდამოდ და არავინ იცის, შეხვდებიან თუ არა ისინი კვლავ ერთმანეთს, ვალოდია ერთადერთი ადამიანია, რომელსაც



სერიოჟა „მამას“ ეძახდა, რომ 2 თვის მერე ვალოდია მას ვინსერფს უკან დაუბრუნებს, ამ ორი თვის განმავლობაში კინებისმიერ დროს სერიოჟას შეუძლია ჩამოსვლა და ცურვა, ან, თუ შესაძლებლობა აქვს, ეს 2 თვე მათთან გაატაროს.

არაფერმა გაჭრა.... სერიოჟა ყოველმხრივ ცდილობდა თავის სიმართლეში დავერწმუნებინეთ. ალაც მხარს უბამდა და ჩვენ უსამართლობაში გვდებდა ბრალს. ვალოდია ძალიან გულნატკენი ჩანდა. მე ვხვდებოდი, რომ სერიოჟა ცუდ წრეში მოხვდა და აშკარად ვიღაცის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, არა ქალის! მასთან სახლში მეტად არასასიამოვნო მამაკაცს გადავეყარე, სერიოჟამ ის თავის მეგობრად გაგვაცნო. ჩვენ უკვე დიდიხანია ერთად აღარ ვცხოვრობდით. სერიოჟა უკვე კაცი იყო, რა უფლება მქონდა, მერჩია, ვისთან ემეგობრა და რა წრეში ეტრიალა. ალას აზრს ის არასდროს უწევდა ანგარიშს. დავტოვეთ მოსკოვი. სერიოჟა გამოსამშვიდობებლად არცკი მოსულა, ამან ისე გაუტეხა გული ვალოდიას, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში მისი ხსენებაც კი არ უნდოდა.

ეს რვა წელი, რაც ამერიკაში ვიმყოფებოდით, არასდროს გამიწყვეტია კავშირი სერიოჟასთან. სამწუხაროდ, მას არ დაუმთავრებია უნივერსიტეტი, ბიზნესში ჩაერთო. ალა სერიოჟასთან ერთად იმავე ბინაში განაგრძობდა ცხოვრებას. მათ ურთიერთობას ცვალებადი ხასიათი ჰქონდა, ხშირად ჩხუბობდნენ, ალა, რასაკვირველია, არსად არ მუშაობდა.

ტკივილი ვინსერფთან დაკავშირებულ გაუგებრობაზე დროთა განმავლობაში მინელდა, განსაკუთრებით მას მერე, რაც ჩემი თხოვნით სერიოჟამ ვალოდიას რამდენიმე თბილი წერილი გამოუგზავნა.

რამდენიმე წლის წინ ალას და სერიოჟას მწვანე ბარათის გასათამაშებლად საბუთების გამოგზავნა ვთხოვე. პირველმა წელმა სრულიად უშედეგოდ ჩაიარა, სერიოჟას მწვანე ბარათის მოგების შესაძლებლობის უბრალოდ არ სჯეროდა. შემდეგ წელს სერიოჟამ საბუთები გამოგზავნა. ალას არაფერი მომსვლია. ამიტომ ერთი ამბავი ავუტეხე. სიზარმაცესა და

თავმოუბმელობაში დავდე ბრალი. ერთი წლის შემდეგ სერიოჟამ მწვანე ბარათი მოიგო.

10 მარტს სერიოჟამ ალას ინსულტის შესახებ შეგვატყობინა. 8 მარტს უჩხუბიათ და ალა სახლიდან წასულა. 2 დღე სერიოჟას დედა არ მოუკითხავს. დარწმუნებული იყო, რომ ღამეს მეგობრებთან ათევდა. 10 მარტს რომ აღარ გამოჩნდა, შეშფოთდა, მეგობრებს გადაურეკა. დედა არც იქ აღმოჩნდა. სხვა გზა არ იყო, დედის დაკარგვის შესახებ პოლიციაში განაცხადა. ალა სკლიფასოვსკის კლინიკის რენიმაციის განყოფილებაში აღმოაჩინეს. 8 მარტს მეტროს ბაქანზე მდგარს გონება დაუკარგავს და ლიანდაგებზე დაცემულა. ამოუყვანიათ და საავადმყოფოში მოუთავსებიათ. ალას საბუთები თან არ აღმოაჩნდა. 2 თვე გონზე არ მოსულა, ტვინში სისხლჩაქცევა დაუდგინდა. სერიოჟა მთელ დღეებს საავადმყოფოში ატარებდა. მე თითქმის ყოველ დღე ვრეკავდი. ორი თვის მერე ალა გონს მოვიდა, მაგრამ არაფერი ახსოვდა და შესაბამისად არაფრის ახსნა არ შეეძლო. მაისის დასაწყისში სერიოჟამ დედა სახლში გადაიყვანა. გამოჯანმრთელება სწრაფი ტემპით წარიმართა და მალე არა მხოლოდ გარეთ გასვლას და სიარულს, არამედ საჭმლის მომზადებასაც კი ახერხებდა.

დღეს 2003 წლის პირველი ივლისია. აგვისტო-სექტემბერში სერიოჟას ამერიკაში გამომგზავრება უწყევს. ვალოდია და მე მას ძალიან ველოდებით.

P.S. (ეს ჩემგან რ.ჭ.)

დღეს 2018 წლის 7 აგვისტოა.... ამ ჩანახატის დაწერის შემდეგ უზარმაზარი დროა გასული, მთელი 15 წელიწადი... საოცარია, რამდენი ადამიანიც არსებობს, იმდენი განსხვავებული ბედისწერაა, იმდენი განსხვავებული სიმართლეა, აზრია, სიყვარული თუ სიძულვილი. სერიოჟას მე დღეს საკმაოდ კარგად ვიცნობ. ის 2003-ში ჩამოვიდა აქ, ჩვენ მას მოვყევით 2004-ში. როგორც მისი, ასევე ჩვენი ჩამოსვლაც ვალოდიას და ოლიას დამსახურებაა, მათ გაითამაშეს ჩვენთვის „მწვანე ბარათი“... სერიოჟამ თვითონ დაგვირეკა და პირველი ტურის მერე ძალიან ზუსტი და სწორი რჩევები მოგვცა, კარგად დაგვაკვლიანა, მთელი გულით, რისთვისაც ძალიან ვემადლიერებით მას. დღეს ის პუერტო რიკოში ცხოვრობს, მარტო.... ძირითადად კომპიუტერული ტექნიკის გარემონტებით და საიტების შექმნითაა დაკავებული. ოლგას საიტიც მისი შექმნილია და ოლიას სურათების დიდი კოლექციაც მისი შეტანილია ინტერნეტში. სიმპათიურია, გამბდარი, მაღალი, ზღვასავით ლურჯი თვალები აქვს, სულ მომდიმარი სახე და ხალისიანი საუბარი... შესანიშნავი ინგლისური, მაგრამ ეს საოცარი სიმართოვე სადღაც სულის სიღრმეში ჩაბუდებული და თვალის ფსკერზე დალექილი მინც ჟონავს. მეცოდება, მაგრამ მასთან ერთ სივრცეში თავს რაღაცნაირად არაკომფორტულად ვგრძნობ, რაღაც წრიალი მიპყრობს, მოულოდნელოდნელობით აღსავსე უცნაური ტალღა იწყებს ხოლმე შრიალს. პირველად რომ ვნახე, სულ ცდილობდა ჩვენთან დაახლოებას, ჩაიხეც ხშირად ვეპატიჟებოდით... მაგრამ ვალოდიას მიმართ გამოვლენილმა აგდებულმა ტონმა, რაღაც ქედმაღლურმა, ისევ ვალოდიასა და ოლიას მიმართ, უხილავი კედელი აღმართა ჩვენს შორის, ამიტომ არც ქართულის გაკვეთილების ჩატარებაზე დავთანხმდი, თუმც მისი ნიჭიერების პატრონი, ადვილად დასძლევდა. ეს იყო დაახლოებით 12 წლის წინ. ახლახან ჩამოვიდა ისევ და ვალოდიასთან ცხოვრობდა 2 თვე. შევხვდით. დავპატიჟეთ. მოვალე. არ გამოჩენილა. ხშირად იწონებს ჩემს ფოტოებს, მაგრამ კონტაქტზე არ გავდივარ.

მისი ამერიკაში გამგზავრებამდე ალა ფანჯრიდან გადმოვარდა და თავი მოიკლა. ოლიას თავისი ვარაუდი აქვს ამ ფაქტთან დაკავშირებით, რისი გაჟღერაბაც არ ღირს.

მადლიერება დიდი და იშვიათი გრძნობაა. უპირველეს ყოვლისა მისთვის, ვინც ამ ამაღლებულ გრძნობას განიცდის!! ეს დიდი ნიჭია, ნიჭი კი ყოველთვის ღვთისგან ბოძებული გახლავთ და ყველას როდი აქვს ეს პატივი....